ბაკურ მეფარი

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 აგვისტო **ხუთშაბათი** 2011
№ 187 (13484) ფასი 80 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაორებული შთაბეჭდილება

მესამე წაგება ცუდია, მაგრამ შეტევა გავიხსენეთ და ახლებსაც ყოჩაღ

2

ახალგაზრდული გაგვიბრაზეს

2:2



მოლდოველმა მსაჯმა სასტვენს მოლდოვურად შეუბერა

ეჰ, ამხანაგო სიდენკო, იტყოდნენ ხოლმე ძველად:

მსაჯი საპონზე!

● ეროვნული ნაკრები

შედეგი არ ვარგა, შეგვევას ვიხსენებთ, ორ ახალს – ბრავო!

10.08. ლუბინი. დიალოგ არენა. 5 000 მაყურებელი

პოლონეთი	1
საქართველო	0

1:0 ბლაშჩიკოვსკი (36)

პოლონეთი	საქართველო
4-2-3-1	4-2-3-1
შჩესნი	ლორია
ვოიტკოვიჩი	ლოგჟანიძე
იოლლოვიჩი	ხუგუტია
გლოვაცკი	ამისულაშვილი
ვავრინიაკი	კალაძე
მურავსკი	კანკავა
პოლანსკი	კოზიასვილი
ბლაშჩიკოვსკი	გრიგალაშვილი
მეირჟეჩევსკი	თარგამაძე
ოგრანიაკი	მარცვალაძე
რ. ლევანდოვსკი	დვალიშვილი
მწვრთნელი	მწვრთნელი
ფ. სმუდა	თ. ქეცბაია

პოლონეთი

60. ლევანდოვსკი – **ბროუეკი**
60. მეირჟეჩევსკი – **პეჯო**
75. პოლანსკი – **დუდკა**
79. ობრანიაკი – **პაელოვსკი**
85. მურავსკი – **მატუშიკი**
90. ბლაშჩიკოვსკი – **რიგუსი**

სათადარიგოში: სანდომიერსკი, რეეანჩაკი, ვოლაკიევიჩი

საქართველო

46. ამისულაშვილი – **გრიგალავა**
46. დვალიძვილი – **გურული**
62. გრიგალაშვილი – **გ. კაშია**
62. მარცვალაძე – **ვანაძე**
73. კანკავა – **დაუშვილი**
81. კობიაშვილი – **კვირკველია**

სათადარიგოები: მამალაძე, ალადაშვილი

გაფრთხილება: **თარგამაძე (3), კობიაშვილი (74), ბლაშჩიკოვსკი (90)**
არბიტრი: **ა. შანდორი (უკრაინა)**

რამდენიმე თვის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების წაუგებელი სერიით ვამაყობდით, ახლა კი თავმოსაწონი ბევრი აღარაფერი გვაქვს – ჩვენი ქვეყნის უმთავრესმა საფეხბურთო გუნდმა ზედიზედ მესამე თამაში წააგო. მარცხი ამჯერად ამხანაგურ მატჩში განვიცადეთ, რაც არასდროსაა ტრაგედია, მაგრამ მაინც უსიამოვნოა, როცა აგებ გუნდთან, რომელიც შენზე მაინცდამაინც უკეთესი არ არის და თანაც, ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე კარგ შანსს გაუშვებ ხელიდან.

კარგი კი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა გაგვახსენა, შეტევაც რომ შეუძლია. სპლიტური შეხვედრისგან განსხვავებით, **თემურ ქეცბაიამ** ძირითად შემადგენლობაში არაერთი შემტევი ყაიდის ფეხბურთელი გაამწესა და იმის მიუხედავად, რომ არცთუ მტკიცე პოლონური დაცვის დაჯაბნას ხშირად ვერ ვახერხებდით, მაინც გამოჩნდა, რომ საჭიროების შემთხვევაში წინ ნასვლაც შეგვიძლია. თანაც, **ჯანო ანანიძისა** და კიდევ რამდენიმე მოთამაშის არყოფნაში ლიუბინში ჩვენი შემტევი პოტენციალი სრულად ვერც წარმოჩნდებოდა.

კარგია ისიც, რომ ქეცბაია თამამად ენდო ახალწვეულებს და ორი მათგანი პირდაპირ ძირითადში ჩართო. **შოთა გრიგალაშვილს** ნაკრებში **კლაუს ტოპმიოლერის** დროს კი უთამაშია, მაგრამ დღევანდელი ფორმაციის ნაკრებისთვის მაინც ახალი ფიგურაა და არაერთი გამოსაცდელისგან განსხვავებით, რომლებიც წარმატებული საკლუბო კარიერის მიუხედავად, ნაკრებს ვერაფერში გამოადგნენ, დაგვანახვა, რომ ეროვნულ გუნდშიც ისევე თამამად და სასარგებლოდ შეუძლია იმოქმედოს, როგორც "ზესტაფონში"; არანაკლები ქების ღირსია გრიგალაშვილზე გაცილებით უმცროსი **დავით თარგამაძე**, რომელმაც სადებიუტო სანაკრებო მატჩში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, ითამაშა სრულიად შეუბოჭველად (ისევ და ისევ ქეცბაიას მიერ შანსმიცემული ბევრი ფეხბურთელისგან განსხვავებით) და დაამტკიცა, რომ ნაკრების შემტევი პოტენციალის გაძლიერება მასაც შეუძლია.

ამხანაგური შეხვედრის მთავარი მიზანი სწორედ ნაკრებისთვის გამოსადეგი კადრების აღმოჩენაა და ჩვენთვის ორი ასეთი მოთამაშის „პოვნა" ნამდვილად სახეირო ამბავია. თუმცა მთავარი შედეგი, გუშინ რომ მივიღეთ, 0:1-ია, რამაც მატჩის ამხანაგური სტატუსისა და არცთუ ხელწამოსაკრავი მეტოქის მიუხედავად, ხასიათი მაინც წაგვიხდინა.

ქართველებმა თამაში თამამად დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე პოლონელთა საჯარიმოში შეჭრილი თარგამაძე დაეცა, თუმცა მსაჯმა სიმულაცია დააფიქსირა და დებიუტანტი პენალტის ნაცვლად გაფრთხილებას გამორჩა. პირველი ტაიმის შუამდე მასპინძლებს **გიორგი ლორია** საერთოდ არ შეუწუხებიათ, სამაგიეროდ, **კახა კალაძის** შორეული დარტყმა **ვოიცეხ შჩესნიმ** გაანეიტრალა, ხელსაყრელ პოზიციაში მდგომმა **ოთარ მარცვალაძემ** კი ბურთს ფეხი კარგად ვერ მოუმარჯვა.

ტაიმის დასკვნითი ნაწილი პოლონელებმა აღმავლობით ჩაატარეს. **მეირჟეჩევსკის** ძლიერი დარტყმა ქართველთა კარის ხარიხას გაეხახუნა, ლორიას შეცდომის შემდეგ კი **ალექსანდრე ამისულაშვილმა** გვიხსნა.

35-ე წუთზე გრიგალაშვილმა თარგამაძე მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დროულად ვერ დაარტყა. დაუწერელი საფეხბურთო კანონი დაუყოვნებლივ ამოქმედდა, **რობერტ ლევანდოვსკიმ** საუცხოო პასით ჩვენი ცენტრალური მცველები სახტად დატოვა და **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ** თავისიანები დააწინაურა.

ორივე მწვრთნელმა ცვლილებას არაერთხელ მიმართა, თუმცა ტემპი დიდად არ შეცვლილა. პოლონელებსაც და ქართველებსაც ტექნიკური წუნი ჰქონდათ, თამაში კი საშუალოზე დაბალ ტემპში გაგრძელდა.

ვერ ვიტყვით, რომ შეცვლაზე შესულთაგან რომელიმემ ჩვენი ნაკრები განსაკუთრებით გააძლიერა, მაგრამ უშანსოდ მაინც არ ვყოფილვართ. ყველაზე დასანანი ეპიზოდი 61-ე წუთზე იყო, როცა თარგამაძის გადაცემით მარცვალაძე შჩესნისთან პირისპირ გავიდა და ლონდონის "არსენალის" მეკარეს ვერ აჯობა.

პოლონელებს შესატევად თავი აღარ გამოუდიათ, ქართველებს კი მათ საჯარიმოში შეღწევა კვლავაც უჭირდათ. ბოლო მეტნაკლებად რეალური მომენტი შეცვლაზე შესულ **დავით კვირკველიას** ჰქონდა – შჩესნი მის დარტყმულსაც გაუმკლავდა.

ასე დასრულდა გუშინდელი საღამო, რომელმაც გაორებული შთაბეჭდილება დაგვიტოვა – კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ჩვენს ნაკრებს სრულყოფილებამდე ძალიან ბევრი უკლია და ამავდროულად, წინსვლის გარკვეული იმედიც დაგვიტოვა.

ეს მაინც ამხანაგური იყო, მკაფიო დასკვნების გაკეთება, სჯობს, შემოდგომისთვის გადავდოთ...

ლევან ჯანელიძაშვილი



განცხადება

გიწვევთ სათანამშრომლოდ!

ქართული ფეხბურთი ყველას საზრუნავია და ამ საქმეში ათეული ნლების განმავლობაში ჩვენს გაზეთსაც შეუტანია თავისი მოკრძალებული წვლილი. მაგრამ ახლა მეტის გაკეთება გვსურს, რისთვისაც მზად ვართ, მოვიზიდოთ ახალი შემოქმედებითი ძალები.

ქართულ ფეხბურთში სათანამშრომლოდ ვინვევთ 18-25 ნლის ახალგაზრდებს სტაჟირების შემდეგ „ლელოში" ჟურნალისტად დასაქმების პერსპექტივით.

შეგვეხმიანეთ საქართველოს ნებისმიერი ქალაქიდან და რაიონიდან. საკონტაქტო ტელეფონები და ელექტრონული ფოსტა მითითებულია „ლელოს" მე-2 გვერდზე.

თბილისელებისთვის რედაქციაში (იოსებიძის 49) საკონსულტაციო შეხვედრა დანიშნულია 12 და 19 აგვისტოს 15 საათზე.

„ლელოს" რედაქცია

● U 21. ამხანაგური მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშუსი გაქვთ? დღეს არა



ეჰ, ამხანაგო სიდენკო, იტყოდნენ ხოლმე ძველად: მსაჯი საპონზე!

10.08. ორხეი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

მოლდოვა	2
საქართველო	2

0:1 შეყილაძე (32. ჭანტურიას პასით), 1:1 გ. ანდრონიკი (64. პ), 1:2 ქობალია (84. ბეგლარიშვილის პასით), 2:2 მანდრიჩენკო (95. პ).

მოლდოვა	საქართველო
4-4-2	4-4-2
დ. რუსუ	ზარქუა
ლეუ	იოსელიანი
კოსტანდაკი	აფაქიძე
იონიცე	ძალაძე
მანდრიჩენკო	ჭიჭკარიანი
გ. ანდრონიკი	ყაზაიშვილი
გეორგიევი	კვეკვესკირი
სტარჩუკი	თარხნიშვილი
ხოვანსკი	ჭანტურია
დიულგერი	ძალამიძე
ჭარდანი	შეყილაძე
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ს. კირილოვი	ო. გაბელია

მოლდოვა

70. იონიცე - **ლამბარსკი**
70. გ. ანდრონიკი - **ტრიგოი**
88. გეორგიევი - **სკრიპჩენკო**
88. სტარჩუკი - **გინსარი**

სათადარიგოები: სტაყილა, ლიაგუ, პლეტიკე.

საქართველო

46. ზარქუა - **ლეგაშვილი**
80. ყაზაიშვილი - **გუგუჩია**
46. თარხნიშვილი - **ოქრიაშვილი**
46. ჭანტურია - **ჯილაური**
46. ძალამიძე - **ქობალია**
81. შეყილაძე - **გეგლარიშვილი**

სათადარიგოები: კაკულია, სიხარულია, ხუციძე.

გაფრთხილება: **ძალამიძე (28), კვეკვესკირი (75).**
არბიტრი: **გ. სიდენკო (მოლდოვა).**

ეს მატჩი ინტერნეტით ბევრმა ნახა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენების ხარისხი ვერ იყო სასურველი, ცხადად ჩანდა – ქართველების წინააღმდეგ ითამაშეს 11-მა მოლდოველმა ფეხბურთელმა და... მოლდოველმავე მთავარმა მსაჯმა **გენადი სიდენკომ**. კი ბატონო, მასპინძელს აქვს უფლება, ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის გაძღოლა თავისიანს მიანდოს, მაგრამ ნამუსზე ხელის აღებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი...

სუბიექტურობა რომ არ დაგვბრალდეს, ვნახოთ, რას წერენ თავად მოლდოველები:

"ქართველების მეორე გოლის შემდეგ ისე ჩანდა, თითქოს საინტერესო აღარაფერი მოხდებოდა. თუმცა შეცდა ის, ვინც ასე იფიქრა: არბიტრმა გენადი სიდენკომ მაყურებლებისა და ჟურნალისტებისთვის აუხსნელი მიზეზებით მთელი ექვსი წუთი დაამატა თამაშს. მეოთხე წუთის მინურულს მან კვლავ მიუთითა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ, თუმცა ქართველებმა წესი საჯარიმოს გარეთ დაარღვიეს. ამგვარად, სერგეი კირილოვის გუნდი მსაჯის ორი პენალტის წყალობით (რომელთაგან მეორეც ძალიან საეჭვო იყო) გადაურჩა წაგებას. სტუმრები კი მოლოდოველის მსაჯობით უკმაყოფილებას ემოციურად გამოხატავდნენ" - წერს "მოლდფუტბოლი".

ანგარიში 32-ე წუთზე **ირაკლი შეყილაძემ** გახსნა 15 მეტრიდან დარტყმით – 0:1. ქართველები უფრო მეტს უტევდნენ; ბურთსაც აკონტროლებდნენ და მოლდოველებს მწვევე შეტევის განხორციელების საშუალებას არ აძლევდნენ. მაგრამ 64-ე წუთზე სიდენკომ პირველი პენალტი მოიგონა, რომელიც **გეორგე ანდრონიკმა** გამოიყენა - 1:1.

მატჩის მიწურულს **ირაკლი ქობალია** ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავით შესწვდა და საქართველოს ნაკრები მეორედ დაწინაურდა - 1:2.

მასპინძლები კვლავ უკბილოდ კი უტევდნენ, მაგრამ არბიტრი ილესავდა კბილებს. აიღო და სრულიად უსაფუძვლ-ოდ დაამატა ექვსი წუთი, როდესაც თამაში თითქმის არ გაჩერებულა. მოლდოველებისთვის ნაჩუქარ ამ წუთებში კი საჯარიმოდან მოშორებით მომხდარ ეპიზოდში ჩვენიანი დაადანაშაულა და დანიშნა პენალტი, რომელიც **კონსტანტინ მანდრიჩენკომ** ზუსტად დაარტყა – 2:2.

მატჩის შემდეგ ქართველთა მთავარ მწვრთნელ **ოთარ გაბელიას** მსაჯობით უკმაყოფილება არ დაუმალავს, მისმა გუნდმაც მოედანი უკმაყოფილომ დატოვა.

ჩვენ დავუკავშირდით ოთარ გაბელიას.

- მსაჯობით აღშფოთებული ჩანდით.

- ცხადია, ასეც იქნებოდა. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონატებში, ევროტურნირებზე არაერთი მატჩი ჩამიტარებია როგორც მწვრთნელსა და როგორც მეკარეს, მაგრამ ასეთი აღმაშფოთებელი მსაჯობა არასოდეს მინახავს. ყველაფერი დაიწყო მატჩამდე, როდესაც მასპინძლებს ვთხოვე, 20 ფეხბურთელით ჩამოვდივართ და მინდა, ყველა ვათამაშომეთქი. კატეგორიული უარი შემოგვითვალეს. მივხვდი, რაღაც ცუდს აპირებდნენ, შვიდზე მეტი შეცვლა არ გვინდაო.

დაიწყო მატჩი და ანგარიში შეყილაძემ გახსნა. მსაჯი აშკარად ანერვიულდა და საოცარი გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო. ბიჭები გავაფრთხილე, რომ ასეთი რამ მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით საჯარიმოში. მოლდოველებმა თამაშით რომ ვერაფერი დაგვაკლეს, მეორე ტაიმში პენალტი მოიგონა, არადა, ჩვენი ფეხბურთელი მხოლოდ შეეხო მასპინძელთა მოთამაშეს, ის კი დაწვა.

ეს კიდევ არაფერი, მსაჯმა ექვსი წუთი დაამატა, პენალტის დანიშნა კი ფანტაზიაზე მეტიც იყო - ჩვენს მოთამაშეს წესი არც დაურღვევია, თანაც, სადავო ეპიზოდი საჯარიმოს ხაზის წინ მოხდა.

- ჩვენების თამაშზე რას იტყვით?

- ზოგით კმაყოფილი დავრჩი, ზოგით — უკმაყოფილო, სამწუხაროდ, თარხნიშვილმა ტრავმა მიიღო, მეორე ტაიმში შეცვლები მაქსიმალურად გამოვიყენეთ და თამამად ვიტყვი, რომ ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით.

ჩვენთვის ეს ჭკუისსასწავლი მატჩიც იყო, რადგან ბიჭები ასეთ მსაჯობას უნდა შეეჩვიონ და ისწავლონ უპირატესობის გამოყენება, რათა მასპინძელს მსაჯმაც ვერ უშველოს.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით დაბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადები

ზესტაფონი

მეკარეები

ზურაგ მამალაძე	10.02.1982
რონინ კვასხვაძე	31.05.1989

მცველები

კახა ალადაშვილი	11.08.1983
თეიმურაზ ლონღლაძე	21.05.1985
გიორგი ონიანი	23.11.1983
გიორგი ხიდეშელი	23.01.1988
ზაალ ელიავა	02.01.1985
ედიკ საჯაია	16.02.1981

ნახევარმცველები

ალექსი გენაშვილი	20.03.1989
გუგა დაუშვილი	01.05.1989
ირაკლი ქარია	01.12.1987
თორნიკე გორგიაშვილი	27.04.1988
თორნიკე აფციაური	28.11.1979
ზოთა გაგუნაშვილი	17.11.1980
ზურაგ მენთეშაშვილი	30.01.1980
ზოთა გრიგალაშვილი	21.06.1986

თავდამსხმელები

ნიკოლოზ გელაშვილი	08.05.1985
ჯაგა დვალი	08.02.1985
გოგა ფიფია	04.02.1985
რატი წინამძღვრიშვილი	22.03.1988

მთავარი მწვრთნელი: გია გეგუჩაძე
მწვრთნელები: გია ქიაგრიშვილი
დავით ჯანელიძე

დინამო

მეკარეები

გიორგი ლორია	27.01.1986
სოსო გრიშიკაშვილი	27.12.1973
გიორგი ნადირაძე	14.03.1992

მცველები

გულვარდ თომაშვილი	13.10.1988
ლევან კაკუბავა	15.10.1990
ლევან ხმალაძე	06.04.1985
ზოთა კაშია	22.10.1984
ირაჟი ჰომოლა	02.07.1980
გიორგი რეხვიაშვილი	01.02.1988

ნახევარმცველები

ალექსანდრე კოშკაძე	04.12.1981
დავით ოდიკაძე	14.04.1981
ფრანსისკო მუნიოს „ჩისკო“	05.09.1980
ნიკა კვეკვესკირი	29.05.1992
ნიკოლოზ ფირცხალავა	15.05.1987
გიორგი თეძთურმანიძე	17.09.1990
ჯაგა ჯილაური	08.07.1992
გოგა გერაია	26.01.1984
მიკელე ალვარო	20.12.1982

თავდამსხმელები

გიორგი კახელიშვილი	22.05.1987
ირაკლი ლეძვთაძე	30.08.1991
როგერტინიო	13.06.1988
კარლეს კოტო	11.02.1988
ალგერტო იაგუე	27.03.1985
ვახტანგ ფანცხავა	08.10.1989
ლადო ახალაია	26.06.1982

მთავარი მწვრთნელი: ალექს გარსია
მწვრთნელები: რამაზ მუშლაძე, მარკ უგეტი
გელა ჭანტურია

მეგალურგი

მეკარეები

ზურაგ გათიაშვილი	06.02.1980
გრიგოლ გედიაშვილი	07.02.1980

მცველები

მიხეილ მახვილაძე	22.07.1978
სერგი ორგელაძე	01.05.1982
ალექსანდრე კვახაძე	17.08.1984
ლაშა ჯაფარიძე	16.04.1985
დავით ლომაია	18.05.1985
გიორგი მურველაშვილი	23.08.1988
ლაშა ჩადუნელი	14.01.1990

ნახევარმცველები

ლუკა რაზმაძე	30.12.1983
დენის დობროვოლსკი	10.10.1985
გიორგი ქავთარაძე	04.01.1989
ირაკლი მაისურაძე	22.08.1988
რევაზ გეწაძე	11.05.1985
გიორგი მიქაგერიძე	17.08.1988
ვალიკო ტყემალაძე	14.11.1987
გიორგი ახვლედიანი	11.03.1992
ირაკლი გერაია	26.01.1984

თავდამსხმელები

ირაკლი მოდებაძე	04.10.1984
დიმიტრი ტატანაშვილი	19.10.1983
ილია პავლიაშვილი	12.08.1989

მთავარი მწვრთნელი: ჯოგა ფორჩხიკაშვილი

ბაია

მეკარეები

გიორგი სოფხიშვილი	27.11.1980
არჩილ მაძაცარია	19.03.1992

მცველები და ნინახაზელები

ნიკოლოზ აფაძიძე	04.04.1992
ლაშა სვირავა	08.03.1989
ლაშა კუკავა	12.01.1992
დათა რიგვავა	02.10.1991
ილია ვეკუა	20.10.1989
გიორგი ქვარცხავა	01.09.1992
ნიკა ფონია	14.10.1991
ზოთა ლომია	13.02.1984
ზვიად სიხარულია	01.08.1992
გიორგი პაჭკორია	29.05.1989
თენგიზ გერგედავა	06.10.1987
ლევან წურწუმია	28.01.1989
ლუკა გუგუჩია	10.12.1991
ირაკლი ეხვაია	09.01.1989
ირაკლი ძოგალია	13.03.1992

მთავარი მწვრთნელი: ელგუჯა ძოვეთიანი
მწვრთნელები: გამუკა ჭაჭუა, ზაალ გულია

ვიტ ჯორჯია

მეკარეები

არდალიონ მიქაგერიძე	02.06.1986
გიორგი ქაქამია	12.12.1988

მცველები

დავით ხურცილავა	09.03.1988
ჯემალ გოგიაშვილი	06.05.1988
გურამ ადამაძე	31.08.1988
ლაშა კასრაძე	26.07.1989
რევაზ ლანიაშვილი	27.05.1990
გიორგი ხუმარაშვილი	24.08.1989

ნახევარმცველები

გიორგი ჯანელიძე	25.09.1989
გიორგი ვასაძე	14.06.1989
დავით მაისაშვილი	18.02.1989
გურამ გურეშიძე	08.02.1989
გიორგი კორიფაძე	03.10.1989

თავდამსხმელები

გესიკ ჩიმაკაძე	24.06.1988
გეძა ზაძრაძე	30.05.1990

მთავარი მწვრთნელი: ზურაგ გერიძე
მწვრთნელები: რამაზ სვანაძე
ლევან აგაშიძე

გორაჟდო

მეკარეები

ოგარ მიგნინიშვილი	02.06.1984
მაძსიმე ძვილითაია	17.09.1985

მცველები

დაჩი ფოფხაძე	27.01.1984
თემურ ფარულავა	20.07.1983
სევასტი თოდუა	13.05.1976
გიორგი გურული	31.07.1988
თენგიზ ჩიკვილაძე	12.08.1983
რევაზ ძემოკლიძე	11.03.1979
მიხეილ ჩხარტიშვილი	11.12.1983
ნუკრი მანჩხავა	05.01.1982

ნახევარმცველები

გიორგი სეთურიძე	01.04.1985
დავით დიდმელაშვილი	18.01.1980
გრიგოლ დოლიძე	25.10.1982
გიორგი დათუნაიშვილი	09.02.1985
თორნიკე თარხნიშვილი	30.06.1990
დავით გოლძვაძე	06.05.1980

თავდამსხმელები

გიორგი მეგრელაძე	21.07.1978
რევაზ გოცირიძე	17.01.1981
ნიკა საბანაძე	02.05.1991

მთავარი მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე
მწვრთნელები: ზაზა ზამთარაძე
დავით გვარამაძე

ქოლხეთი

მეკარეები

ლადო ნადირაშვილი	12.02.1984
მინდია ბოგლიაშვილი	02.08.1983

მცველები

ალექსანდრე ინწკირველი	24.08.1981
პაატა ცხვიტარია	17.09.1989
ლევან შავგულიძე	23.11.1980
გიორგი ლემონჯავა	25.11.1990
გელა ხუგუა	25.01.1984
ბორის გელაძეიშვილი	30.01.1988
ლევან თედიაშვილი	01.06.1986
გიორგი კილასონია	21.05.1986

ნახევარმცველები

ოგარ გოგონაია	24.01.1990
ზამირ ჯანაშია	26.02.1988
ლაშა გვალია	10.06.1991
ლევან გულუა	06.05.1991
ლაშა ძეგაძე	27.08.1983
ვაჟა ლომაშვილი	04.09.1985
გიორგი ცხადაია	23.04.1988
მიხეილ ხარშილაძე	07.02.1988
დავით მეგრელიშვილი	25.09.1991

თავდამსხმელები

დავით ციცხვაია	30.11.1983
ლევან მდივნიშვილი	03.10.1982
მანუჩარ წიქარიშვილი	28.04.1985

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფილია
მწვრთნელები: დავით მახარაძე,
მამუკა მიქავა

სიონი

მეკარეები

ვახტანგ ლოგუანიძე	18.11.1989
ბაჩანა წოწკოლაური	18.04.1988

მცველები

დავით სვანიძე	14.10.1979
გიორგი ოქროპირიძე	01.03.1986
ლევან ჩხეტიანი	17.08.1987
ლაშა ნინიკაშვილი	23.10.1988
დავით ხარჩილავა	13.02.1989

ნახევარმცველები

ვლადიმერ უგრეხელიძე	24.11.1985
არჩილ ალავიძე	06.10.1985
ზოთა გაბრიჭიძე	21.12.1989
ლაშა ალფაიძე	01.11.1989
აკაკი ნოზაძე	17.09.1986

თავდამსხმელი

გიორგი რეხვიაშვილი	15.04.1986

მთ. მწვრთნელი: ვახტანგ ჩაგელიშვილი
მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

სპარტაკი

მეკარეები

თორნიკე ზარძუა	01.09.1990
ლაშა ძაგანია	14.01.1988
ნიკა დაუშვილი	16.10.1989

მცველები

გია კვარაცხელია	11.05.1979
გიორგი ციმაკურიძე	10.11.1983
ბადრი ტეტუნაშვილი	09.02.1990
ბოიომო ფრიდოლინი	04.08.1982
გიორგი ალავიძე	28.11.1989
უჩა გურძენაძე	23.04.1993
გიორგი სეფიაშვილი	29.09.1990
ერეკლე ხაჭვანი	31.12.1991

ნახევარმცველები

თეიმურაზ შონია	28.05.1990
ჯოგა შალამბერიძე	15.10.1984
ნიკოლოზ მაისურაძე	29.05.1989
გიორგი მამუჩიშვილი	12.04.1990
ვარლამ კილასონია	09.01.1993
გესიკ დეკანოიძე	01.03.1992
დავით ზერეკიძე	09.03.1991
გიორგი ნარიმანიძე	25.11.1993
კახაბერ კაკაშვილი	26.06.1993

თავდამსხმელები

რევაზ ჯიძია	01.09.1980
ზვიად მეტრეველი	28.11.1985
ილია ბუზალაძე	29.02.1992

მთავარი მწვრთნელი: ბადრი კვარაცხელია
მწვრთნელები: გელა ინალიშვილი
არჩილ ღურწკაია

გაგრა

მეკარე

კონსტანტინე სეფიაშვილი	19.03.1986

მცველები

ზვიად ჩხეტიანი	17.10.1983
გიორგი ტყეშელაშვილი	24.08.1985
ჯემალ გაგუნია	09.11.1989
ნიკოლოზ ჯიშკარიანი	04.06.1990

ნახევარმცველები

მიკოლა ნაკონეჩნი	09.10.1981
ლევან შარიძაძე	16.07.1989
დათა სიძინავა	21.03.1989

თავდამსხმელები

ვოლოდიმირ ორდინსკი	22.04.1985
შალვა კვანტალიანი	26.03.1991

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი
მწვრთნელები: ზვიად ჯილაძე
დავით მამარდაშვილი

მარგვილი

მეკარეები

გიზო შენგელია	17.08.1983

მცველები

გიგა ჟვანია	16.01.1982
ვალერიან იობაშვილი	03.12.1988
ანზორ სუხიაშვილი	27.10.1988
ლევან ჭაფოძე	21.10.1988
თორნიკე შალიკაშვილი	24.10.1990

ნახევარმცველები

გიორგი მანწკავა	25.01.1981
გიორგი მემარნიშვილი	28.03.1982
ელგუჯა გრიგალაშვილი	30.12.1980
დავით ქამუშაძე	21.02.1989
ჟოელ იატრო	19.12.1988
ლაშა ჩალაძე	05.11.1987

თავდამსხმელები

გიმზერ წოწორია	19.04.1982
მუნინი გი-სტეფან ტაპე	15.12.1990
გურამ სამადაშვილი	05.02.1986

მთავარი მწვრთნელი: არჩილ ჩხაგერიძე
მწვრთნელები: მალხაზ ჟვანია
გაგარატ ხელაია

დილა

მეკარეები

გეძა შეყრილაძე	28.11.1983
მირზა მერლანი	05.10.1980
გესიკ კეჩხუაშვილი	27.06.1987

მცველები

გივი ძარძუსაშვილი	20.09.1986
ილია ლომიძე	04.11.1989
დავით ბაძრაძე	06.06.1979
დავით ჭითანავა	02.04.1982
თემურ ფათირიშვილი	02.07.1987
ლევან ჩაგელიშვილი	10.01.1987
ნოდარ მაჭავარიანი	14.01.1987

ნახევარმცველები

ნოდარ ნოზაძე	11.06.1987
დავით რაჭამაშვილი	20.10.1988
ოგარ ცარიელაშვილი	23.04.1988
ვლადიმერ ჯოჯუა	05.12.1980
ნიკა სადაღაშვილი	10.10.1988
ოლეგ გველესიანი	16.04.1980
ვალტერ ხორგუაშვილი	13.08.1987
პავლე ხორგუაშვილი	13.08.1987

თავდამსხმელები

რომან ახალაცი	20.02.1981
რომან გოგინაშვილი	23.01.1984
გია თოდუა	07.06.1982
დავით ჩაგელიშვილი	10.01.1987

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე
მწვრთნელები: თეიმურაზ ლორთქიფანიძე
გიორგი გალაშვილი,
დავით სოლოლაშვილი

● ზესტაფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზესტაფონი მეორე ნახევით!

ფოტოზე ზესტაფონის **დავით აბაშიძის** სახელობის სტადიონის მაკეტს ხედავთ. სწორედ ამგვარი იქნება ფეროელთა არენა განახლების შემდეგ. ამჟამად სტადიონს მხოლოდ ორი ტრიბუნა აქვს, რეკონსტრუქციის პროექტით კი კიდევ ორის დამატებაა გათვალისწინებული. "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა, ამას გარდა, "დავით აბაშიძის" ყოველმხრივ კეთილმოწყობას და ყველა საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებას აპირებს.

22 აგვისტოს ზესტაფონს უეფას წარმომადგენელი ეწვევა, რომელიც პროექტს დეტალურად გაეცნობა და კლუბს საჭირო რეკომენდაციებს მისცემს. ცხადია, ასეთი მასშტაბური სამუშაოს განხორციელებისას წვრილმანი არ არსებობს და თითოეულ დეტალს უდიდესი ყურადღების მიქცევა სჭირდება, რათა საერთაშორისო მატჩებისას ძველი ინციდენტები აღარ გამეორდეს.

ინფრასტრუქტურა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა და განახლებული "დავით აბაშიძე" არა მხოლოდ "ზესტაფონს", საქართველოს ნაკრებ გუნდებსაც დიდ სამსახურს გაუწევს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ევროტურნირები და TV

ორივეს მოასწრებთ, ოღონდ, იჩქარეთ!

ქართული ფეხბურთის ქომაგები ევროპის ლიგის პლეი ოფმა საგონებელში ჩააგდო. ინტერნეტფორუმებზე გამოკითხვებიც კი ტარდება, ვინ რას ამჯობინებს 18 აგვისტოს – "ზესტაფონის" საქომაგოდ ეროვნულ სტადიონზე წასვლას თუ შინ დარჩენას და ტელევიზორთან „დინამოს“ გულშემატკივრობას.

გუშინ მატჩების დაწყების დრო გაირკვა და, საბედნიეროდ, ქართველ ქომაგებს არჩევანის გაკეთება აღარ მოუწევთ – შეუძლიათ, სტადიონზე "ზესტაფონი"-"ბრიუგეს" სანახავად მშვიდად წავიდნენ, რადგან შინ დაბრუნებულები აეკ-"დინამოს" მიუსწრებენ, ამ შეხვედრის დასაწყისს კი მხოლოდ ის ვერ ნახავს, ვინც დიდუბიდან მოშორებით ცხოვრობს.

"ზესტაფონი"-"ბრიუგე" 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, აეკ-ისა და "დინამოს" დაპირისპირება კი თბილისის დროით 22 საათსა და 45 წუთზეა დანიშნული.

მოგვარდა ტელერეპორტაჟების საკითხიც და ქართველი ტელემაყურებელი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით ორივე შეხვედრის პირდაპირ ტრანსლაციას იხილავს.

ლევან ჯანეზაშვილი

● საქართველოს თასი

ვინ იქნება ვისი წილი?

საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები 17 აგვისტოსა და 13 სექტემბერს გაიმართება. დღეს, 15 საათზე ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყობა წილისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 8 უმაღლესლიგელი და 16 პირველლიგელი. შეგახსენებთ, ევროტურნირების მონაწილე ოთხეული ("ზესტაფონი", "დინამო", "მეტალურგი" და "გაგრა") გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაებმება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ უმაღლესი ლიგის მეორე ტურის კვირის შეხვედრები 17:30-ის ნაცვლად 17 საათზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

ქაჩთული ფეხბურთი

● ლეგიონერი

ახლა არა, კანუ

მამუკა ღონღაძეს ხეირი შარად ექცა, თუმცა, ალბათ, დროებით

მამუკა ღონღაძეს ლატვიის ვირსლიგის საუკეთესო ბომბარდირობის მშვენიერი შანსი აქვს. 19 ტურში "კანუმ" (რომელიც ნიგერიელი ვარსკვლავივით მაღალი და ტანხმელია) 10 გოლი გაიტანა, "სკონტოს" თავდამსხმელ ნათან კარვალიოს ერთით ჩამორჩება და, ალბათ, მალე გადაასწრებს კიდეც, რადგან ბრაზილიელმა ლატვიური კლუბი უკვე დატოვა.

ბოლო ტურში მამუკას "დაუგავამ" რიგის "ოლიმპსს" 2:0 სძლია, უახლოეს მდევარ ლიეპაიას "მეტალურგსთან" ორქულიანი უპირატესობა და ლიდერობა შეინარჩუნა. დაუგავპილსელთა ამ წარმატებაში ღონღაძემ კვლავ ლომის წილი დაიდო, მან ანგარიში 31-ე წუთზე გახსნა.

მამუკა ღონღაძე იმედოვნებს, რომ მალე უკეთეს ლიგაშიც ითამაშებს.

- საკმაოდ წარმატებული სეზონი გაქვს.

- საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად მიდის. ნათან კარვალიოს შედეგს, წესით, უნდა გადავაჭარბო კიდეც. ერთი რამაც მახარებს: ათლეტურ მოთამაშედ არ მივიჩნევი, უფრო ტექნიკური თავდამსხმელი ვარ და ლატვიაში წარმატების დიდი შანსი არ უნდა მქონოდა. თავიდან მართლაც გამიჭირდა, აქაურები ხომ სწორედ ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ, დატვირთვებს ვერ ვუძლებდი, რადგან საქართველოსთან შედარებით ბევრს დარბიან, მაგრამ ალღო ავუღე და ლატვიელ მცველებს თავს არ ვაჩაგვრინებ. იმასაც ვერ დავიჩემებ, რომ განსაკუთრებული დონის პირველობაა და აქ თავის გამოჩენა დიდი გმირობაა, მაგრამ შეჩვევა მაინც საჭირო იყო. მერე აღარ გამჭირვებია, ალბათ, იმიტომ, რომ ქართველ ფეხბურთელთა უმრავლესობა ტექნიკურია, რაც ყველგან ფასობს. ლატვიაში კი შედარებით ტექნიკური მოთამაშეები პირველი ოთხეულის გუნდებს თუ ჰყავთ.

- ვიცი, ლატვიის ჩემპიონატი ტრამპლინად წარმოგედგინა. ახლა ბომბარდირებში მეორე ხარ და რომელიმე უკეთეს ლიგაში "გადახტომას" ხომ არ აპირებ?

- სხვათა შორის, ლატვიის ჩემპიონატი საკმაოდ კარგად არის რეკლამირებული, მარტო ამ ზაფხულს ცნობილ ლიგებში ათამდე ფეხბურთელი გადავიდა. ივნისში მეც მქონდა კონკრეტული შემოთავაზება, პოლონეთის წინა ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსანი "პოლონია" მიწვევდა. ლაპარაკი იყო პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებაზე და არა გასინჯვაზე, მაგრამ "დაუგავას" პრეზიდენტმა არ გამიშვა. "პოლონია" 80 ათას ევროს სთავაზობდა, არადა, ჩემში ცენტიც არ გადაუხდიათ, იქ წასვლის შემთხვევაში კი ხელფასი 10 ათასი ევრო მექნებოდა. ფინანსურადაც უკეთესი ვარიანტი იყო და სპორტული თვალსაზრისითაც, მშვენიერი შესაძლებლობა იყო, უკეთეს დონეზე გამეგრძელებინა კარიერა, პოლონეთიდან ხომ გერმანიაში მოხვედრაა შესაძლებელი. მაგრამ პრეზიდენტმა მითხრა, ახლა პირველ ადგილზე ვართ, ჩემი მიზანიც სწორედ ჩემპიონობაა და აწყობილი გუნდის დაშლა არ მსურსო. ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ასე მითხრეს, შენნაირი შედეგიანი თავდამსხმელი ასე მალე როგორ მოვძებნოთო.

- თამაზ პერტიას რას ერჩოდნენ, კლუბი რატომ დატოვა?

- "დაუგავა" რუსმა ბიზნესმენმა იყიდა და თამაზთან კონფლიქტი მოუვიდა. არადა, "დაუგავას" წარმატებული სეზონი მისი დამსახურებაა. თუმცა შეთავაზება უმალვე მიიღო, "ოლიმპსში" დანიშნეს, მწვრთნელები კი ასე იოლად სამსახურს ვერ პოულობენ. ჩვენ ლატვიაში გამოვირჩეოდით, ფეხბურთს ვთამაშობდით და არა ანტიფეხბურთს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ სწორედ პერტიას ხელში შევძელით გაცილებით მდიდარი კლუბების გასწრება. ეს პატარა საქმე არ არის.

- პერტიას მიწვეულ ქართველებთან "დაუგავას" ახალ მწვრთნელს როგორი დამოკიდებულება აქვს?

- გამოცდილი რუსი მწვრთნელი ლეონიდ ნაზარენკო დაგვინიშნეს, რომელსაც "ლუჩ-ენერგიასა" და სხვა რუსულ კლუბებში უმუშავია. ჩემი ამბავი უკვე გითხარით, სურვილი რომ ჰქონოდათ, პოლონელებისგან ფულს აიღებდნენ და გამიშვებდნენ, ლეგიონერებზე არსებული ლიმიტის მიუხედავად, ნაზარენკო სხვა ქართველებსაც ათამაშებს – გიორგი ჩიხრაძეს, ჯემალ ჯალიაშვილს, ბიძინა ციწკაძეს. ასე რომ, ცუდად არ გვექცევა. მაგრამ რად უნდა ლაპარაკი, პერტია უფრო გვენდობოდა.

- საქართველო-ლატვიის მატჩამდე მანდ როგორი განწყობაა?

- ჩემი აზრით, ძალიან ძნელი მატჩი გველის, რადგან თბილისში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, ლატვიელები კი კონტრშეტევების ოსტატები არიან და დიდი სიფრთხილე გვმართებს. საერთოდ, ცუდი ნაკრები არ ჰყავთ. ახლახან ვნახე ავსტრიასთან მათი ამხანაგური მატჩი და მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად 1:3 წააგეს, ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. სანამ ძირითადი შემადგენლობით თამაშობდნენ, უპირატესობა ჰქონდათ და 1:0-ს იგებდნენ, მეორე ტაიმში კი მწვრთნელმა შემადგენლობა შეცვალა და ამის მერე წააგეს.

მერაბ მამულაშვილი

● მეტოქე

დინამოს მეტოქე-გაგრას მეტოქე 0:3

საბერძნეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ათენის აეკ-მა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. თბილისის "დინამოს" მეტოქე ფამაგუსტის "ანორთოსისთან" 0:3 განადგურდა.

აეკ-მა ამ შემადგენლობით ითამაშა: კონსტანტოპულოსი, კონტოსი, დელასი (78. კაცეტისი), კალა, კარაბელასი (46. ენცოლუ), კლონარდისი (40. გერვირო), აგკირიმპა (46. გკულუ), სიალმასი (46. ბარნსი), ხოსე კარლოსი (70. ფეცისი), ლეონარდო (70. ლაგოსი), ხიტასი (46. ბელეკი).

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ბერძნებმა ესპანურ "ხეტაფესთან" სპარინგი 0:1 წააგეს.

ლევან ჯანელიძაშვილი

● რუსეთი. პრემიერლიგა. XIX ტური



მე-80 წუთზე გროზნოს სტადიონზე წყვდიადი ჩამონვა

ტერეკის ფეხბურთელები სპარტაკის კარში გატანილ გოლს ზეიმობენ

ახლა ეტყო და არშავინიც მოუნდათ...

ცსკა-ზენიტი 0:2

გოლები: 0:1 კერჟაკოვი (54), 0:2 ანიუკოვი (55)

ანჟი-ტომი 2:0

გოლები: 1:0 პრუდნიკოვი (17), 2:0 გაჯიევი (82)

ყუბანი-დინამო 3:1

გოლები: 1:0 დავიდოვი (45), 1:1 კურანი (59), 2:1 დავიდოვი (64), 3:1 კომკოვი (72)

ვოლგა-როსტოვი 0:1

გოლი: 0:1 ბრაკამონტე (82)

გაძევება: ბუსაიდი, გაცკანი (ორივე-როსტოვი)

ამკარი-კრასნოდარი 0:2

გოლები: 0:1 მარსიო (13), 0:2 დრინჩიჩი (49)

სპარტაკი (ნ)-რუბინი 0:1

გოლი: 0:1 ლებედენკო (72)

ლეანდრომ (სპარტაკი) ვერ გამოიყენა პენალტი

ტერეკი-სპარტაკი 2:4

გოლები: 1:0 ალსიდაროვი (20), 2:0 მაურისიო (35), 2:1 დ. კომბაროვი (51, პენალტით), 2:2 არი (76), 2:3 ძიუბა (90+5), ველილტონი (90+10)

35-ე წუთზე ალსიდაროვმა ვერ გამოიყენა პენალტი

43-ე წუთზე ძიუბამ ვერ გამოიყენა პენალტი

გაძევება: ჯანაევი (47, ტერეკი)

ლოკომოტივი-კრილია 0:0

რუსულ პრემიერლიგაში სატურნირო მდგომარეობა (ლიდერთა ჯგუფს ვგულისხმობთ) გვარიანად დაიძაბა: ტურის ცენტრალურ მატჩში ქვეყნის ჩემპიონმა „ზენიტმა" სტუმრად მოუგო ცსკა-ს და **ლუჩანო სპალეტის** გუნდი არმიელებს ამჟამად მხოლოდ ორი ქულითღა ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ ცსკა-ს მართლაც შთამბეჭდავი, 12-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, მაგრამ **ლეონიდ სლუცკის** გუნდმა ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო და „ზენიტიც" საჩემპიონო რბოლაში ჩაება. ამ მატჩში სანკტ-პეტერბურგელთა შორის თავი გამოიჩინეს რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა, 28 წლის **ალექსანდრ კერჟაკოვმა** და მისმა თანატოლმა **ალექსანდრ ანიუკოვმა.** ამ შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა „ზენიტის" იტალიელ ლეგიონერს, 24 წლის **დომენიკო კრიშიტოს,** რომელმაც „იუვენტუსში" კარიერის გაგრძელებას რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობა ამჯობინა. შეგახსენებთ, რომ რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა პირველ აგვისტოს გაიხსნა და კრიშიტოს გარდა, უკვე რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელსაც ჰქონდა დებიუტი: მოსკოვის „სპარტაკში" ჰოლანდიის ნაკრების 29 წლის ნახევრამცველი **დემი დე ზეუვი** გამოჩნდა, „ანჟიში" ტაიმნახევარი ითამაშა 24 წლის უნგრელმა **ბალაშ ჯუჯაკმა** (ჰოლანდიური პსვ-დან მისი ტრანსფერი 14,5 მილიონი ევრო დაჯდა), „ლოკომოტივში" შეცვლაზე შემოვიდა 24 წლის ნიგერიელი ფორვარდი **ვიქტორ ობინა** და ასე შემდეგ. მაგრამ, ეს კიდევ არაფერია: „ტომთან" მატჩის წინ „ანჟიმ" კიდევ ერთი ცნობილი ახალწვეული წარადგინა და ეს რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **იური ჟირკოვი** გახლდათ! ეგ კი არა, სხვადასხვა რუსული საინფორმაციო საშუალებები ამ ბოლო დღეებში იმასაც გვამცნობენ, რომ იმავე „ანჟიში" კიდევ ერთი (შესაძლოა, ორიც) საერთაშორისო დონის ვარსკვლავიც ჩაირიცხოს — თავდაპირველად ლაპარაკი იყო რუსეთის ნაკრების ფორვარდებზე, **რომან პავლიუჩენკოსა** („ტოტენჰემი") და **პაველ პოგრებნიაკზე** („შტუტგარტი"), შემდეგ კი ბევრად უფრო სახელოვანი მოთამაშეების გვარებიც დასახელდა: **ანდრეი არშავინი** („არსენალი"), და... **სამუელ ეტო'ო** („ინტერი")!

ისევ გასულ ტურს დავუბრუნდეთ, რომლის მიმოხილვასაც სამწუხაროდ, ოდნავ დაგვიანებით გთავაზობთ. თავდაპირველად, რაღა თქმა უნდა, ჩვენებურებზე უნდა ვთქვათ და საუბარი კვლავაც **ნუკრი რევიშვილის** მორიგი „მშრალი მატჩით" გვინდა დავინყოთ. ერთი შეხედვით, „ანჟის" ძლიერი მეტოქე არ ჰყოლია, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტის, **ვალერი ნეპომნიაშჩის** დამოძღვრილი „ტომი" სტუმრად ძლიერად თამაშობს და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო. თუმცა, საქართველოს ნაკრების 24 წლის მეკარემ კვლავაც უაღრესად საიმედოდ ითამაშა და თავისი გუნდი, სულ მცირე, სამჯერ გადაარჩინა აშკარა ხიფათს. სამწუხაროდ, ბოლო არ უჩანს „ვოლგას" წარუმატებლობას - ნიჟნინოვგოროდელები ამჯერად უშუალო კონკურენტთან, „როსტოვთან" დამარცხდნენ. ეს ერთადერთი ბურთი რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ყველაზე „სტაჟიანმა" ლეგიონერმა, 33 წლის არგენტინელმა **ექტორ ბრაკამონტემ** გაიტანა. ქართველებიდან „ვოლგას" შემადგენლობაში მხოლოდ **გოჩა ხოჯავამ** ითამაშა - 26 წლის ნახევარმცველი მოედანზე პირველი ტაიმის მინურულს გამოჩნდა. სხვათა შორის, მასპინძლებს არც იმ ფაქტმა უშველათ, რომ „როსტოვმა" მატჩი... ცხრა კაცით ჩაამთავრა! შეხვედრის დასრულების შემდეგ „ვოლგას" მთავარ მწვრთნელს ადგილობრივმა ჟურნალისტებმა **მათე ვანაძის** უთამაშებლობაზეც ჰკითხეს; **დიმიტრი ჩერიშევმა** 22 წლის ქართველ თავდამსხმელზე თქვა, საგოლე ალღო არ ჰყოფნისო, თუმცა ისიც დასძინა, რომ მომავალ ტურში აუცილებლად ვთამაშებო. კვლავაც აუტსაიდერთა შორისაა ნალჩიკის „სპარტაკიც"; თუმცა ყაბარდო-ბალყარელთა გუნდი ამ ტურში მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდა. ჯერ იყო და, მასპინძელთა 26 წლის ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ლეანდრომ** პენალტი ვერ გამოიყენა, რასაც „რუბინის" ფორვარდის, 28 წლის **იგორ ლებედენკოს** აშკარად წესების დარღვევით გატანილი გოლი მოჰყვა. ნალჩიკელთა ძირითადში იყო 29 წლის **დავით სირაძე,** ხოლო „რუბინის" დაცვის ცენტრში იტალიელ **სალვატორე ბოკეტისთან** ერთად დამაჯერებლად თამაშობდა 19 წლის **საბა კვირკველია.**

ზედიზედ სამი ფრის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა „კრასნოდარმა", რომლის შემადგენლობაშიც ერთ-ერთი გამორჩეული გუნდის კაპიტანი 28 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილი** გახლდათ, ხოლო მეორე ტაიმში მოედანზე 27 წლის **ოთარ მარცვალაძეც** გამოჩნდა.

დაბოლოს, XIX ტურის ყველაზე „ხმაურიან" და მართლაც სკანდალურ შეხვედრაზე: „ტერეკისა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩი თითქმის სამი საათი გრძელდებოდა! მასპინძლებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და პირველი ტაიმი ორბურთიანი უპირატესობითაც მოიგეს, რაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, 31 წლის **ლევან გვაზავას** დამსახურება იყო, რომელმაც სტუმართა კარში გატანილ ორივე გოლში აქტიური მონაწილეობაც მიიღო. თუმცა ამის შემდეგ მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა: ჯერ კიდევ პირველ ტაიმში არბიტრმა „აქეთ-იქით" პენალტები მოიგონა და ორივეჯერ მეკარეებმა იყოჩაღეს! მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, მსაჯმა კიდევ ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: „ტერეკის" მეკარე **სოსლან ჯანაევი** უკანასკნელი იმედის ჯარიმისათვის მოედნიდან გააძევა და „სპარტაკის" სასარგებლოდ კიდევ ერთი პენალტი დანიშნა. სტუმრებმა ეს შანსი გამოიყენეს, შემდეგ კი ბრაზილიელმა **არიმ** ანგარიშიც გაათანაბრა და სულ ცოტა ხანში სტადიონზე... შუქიც ჩაქრა! თამაში, თითქმის ერთი საათით იყო შეჩერებული და როცა მოედანი... ნაწილობრივ განათდა, „სპარტაკის" თავკაცმა შეცვლაზე 18 წლის **ჯანო ანანიძე** შეიყვანა. ქართველი შემტევი აქტიურად ჩაერთო თამაშში — და „სპარტაკმაც" მატჩის მიწურულს, უფრო ზუსტად, მსაჯის მიერ დამატებულ ... ათ წუთში (!) რიცხობრივ უმცირესობაში მყოფი მეტოქის კარში 2 გოლის გატანა მოახერხა. ისე, „ტერეკის" მწვრთნელის გადაწყვეტილებაც საკამათოდ მოგვეჩვენა: მეკარის გაძევების შემდეგ, **ისა ბაიტიევმა** მოედნიდან ლევან გვაზავა გაიყვანა და ამის შემდეგ მასპინძლებს ერთი ხეირიანი შეტევა (გნებავთ, კონტრშეტევა) არ გაუკეთებიათ...

გია ტუხაშვილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცსკა	19	12	5	2	36-14	41
2. ზენიტი	19	11	6	2	30-12	39
3. დინამო	19	10	5	4	30-21	35
4. რუბინი	19	9	6	4	25-16	33
5. ანჟი	19	9	6	4	22-14	33
6. სპარტაკი	19	9	4	6	24-22	31
7. ლოკომოტივი	19	8	5	6	31-22	29
8. ყუბანი	19	8	4	7	22-19	28
9. კრასნოდარი	19	6	8	5	23-24	26
10. ტერეკი	19	6	4	9	16-22	22
11. ამკარი	19	5	5	9	13-26	20
12. ტომი	19	4	7	8	18-30	19
13. ვოლგა	19	5	1	13	17-24	16
14. როსტოვი	19	4	4	11	20-33	16
15. ნალჩიკი	19	2	7	10	15-26	13
16. კრილია	19	2	7	10	10-27	13

● სკანდალი

პორტუგალიაში მსაჯი გალახეს



პედრო პროენშას ორი კბილი მოამტვრიეს

პორტუგალია სხვებთან შედარებით საფეხბურთო სკანდალებით არც ისე მდიდარია. უკანასკნელი ასეთი გახმაურებული შემთხვევა წელს აპრილში მოხდა, როცა "სპორტინგის" პრეზიდენტის **ლუიშ გოდინიო ლოპეშის** ჯიპს მავანნი თავს დაესხნენ. ის კლუბის მორიგი გამარჯვების შემდეგ "სპორტინგის" ავტობუსს უკან მიჰყვებოდა. ის იყო, მანქანა ხიდის ქვეშ უნდა შემძვრალიყო, რომ ზემოდან ნაროლი ქვებით სავსე დიდი ჩანთები დაეცა. ამ შემთხვევას საბედნიეროდ მხოლოდ მანქანა შეეწირა. პოლიციამ საქმის გამოძიებას თავი ვერ მოაბა - ავის მქმნელები ვერ გამოავლინა. და აი, ახალი სკანდალი: "ა ბოლას" ინფორმაციით, ფიფას არბიტრი **პედრო პროენშა** სასტიკად გალახეს. ინციდენტს მისი ორი კბილი შეეწირა. ეს ყოველივე ლისაბონში ხალხმრავალ ადგილას, სავაჭრო ცენტში განთავსებულ კაფეში მოხდა. ბედკრული პროენშა ამ დროს მეგობრებთან ერთად სადილობდა. პოლიციას თავდამსხმელის ვინაობა ჯერ არ დაუდგენია.

ამ შემთხვევამ საფეხბურთო საზოგადოება აღაშფოთა. "პორტუმ" სპეციალური განცხადება ამ შემთხვევიდან ორიოდე საათში გააკეთა, სადაც წერია: *"ამას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა ძალადობას. შეუძლებელია ასეთი ტიპის ქმედებების მოტივაციის ახსნა. თამამად უნდა ითქვას, რომ ამის გამკეთებელი ფეხბურთის გულშემატკივარი კი არა ხულიგანია. საფეხბურთო კლუბი "პორტუ", მისი გულშემატკივრები გმობენ ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას და მოუწოდებენ სამართალდამცავ ორგანოებს, რაც შეიძლება სწრაფად გამოავლინონ ამის ჩამდენი და მას კანონის მთელი სიმკაცრით აგებინონ პასუხი. სეუ პროენშას კი მაქსიმალურად სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ"*.

შემთხვევას გამოეხმაურა ვეტერანი ფეხბურთელი **ჟოაუ პინტუც**: *"ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა. ეს არის სახელმწიფო და მას აქვს თავისი კანონები. ჩვენ ვალდებულნი ვართ პატივი ვცეთ სხვა ადამიანებს და არა მხოლოდ სპორტში, არამედ ცხოვრებაშიც. ვწუხვარ იმის გამო, რაც მოხდა, პირადად ჩემთვის ეს შოკი იყო"*. ჟოაუ პინტუს განცხადების შემდეგ შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ ევრო 96-ის შემდეგ, სადაც ის პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, მას ლამის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოუხდა ნაკრების მაშინდელ მთავარ მწვრთნელ **უმბერტუ კოელიუსთან** და ამის მიზეზი ნაკრებში მისი არგამოძახება იყო.

პოლიციის პრეს-სამსახურის განცხადებით, მართალია ეჭვმიტანილის ვინაობა ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა გამოძიება მას მალე მიაგნებს, რადგან უსაფრთხოების კამერებმა პიროვნება რამდენჯერმე დააფიქსირა.

ლევან ბიბილაშვილი

● ვალენსია

ვალენსია გეგმავს

საფეხბურთო ექსპერტები თანხმდებიან, რომ "ვალენსიას" შარშან უმთავრესი პრობლემა დაცვის ხაზში ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცენტრალური მცველები სცოდავდნენ. ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში შეათანხმა "ლილიდან" **ადილ რამის** გადაბირების საკითხი. ეს უკანასკნელი ხომ საფრანგეთის ჩემპიონთა დაცვის ლიდერი იყო და გუნდის სტაბილური თამაშის ერთ-ერთი გარანტია გახლდათ. რამის გარდა "ღამურებს" კიდევ ერთი კვალიფიციური ცენტრალური მცველი სჭირდებათ. ამ მიზნით მათ "ნიუკასლიდან" არგენტინელი **ფაბრისიო კოლიჩინის** შეძენა გადაწყვიტეს. არგენტინელს ისინი კვირაში 40 ათასი ევროს ანაზღაურებას სთავაზობენ. 29 წლის ფეხბურთელს "კაჭკაჭები" 5 მილიონ ევროდ აფასებენ.

ფაბრისიოს საინტერესო კარიერა აქვს: მილანმა ის 1999 წელს შეიძინა და 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, მაგრამ დროის უმეტესი ნაწილი მან ესპანეთში – "ალავესში", "ატლეტიკოსა" და "ვილიარეალში" იჯარით გაატარა. "როსონერიში" მან სულ 1 მატჩი ჩაატარა. 2004 წელს კოლოჩინიმ "დეპორტივოს" მიაშურა, სადაც 4 წელიწადი გაატარა. 2008 წელს კი ნისლიან ალბიონს მიაშურა და მას მერე "სენტ ჯეიმს პარკზე" თამაშობს.

კოლოჩინის გარდა "ვალენსიას" ერთი კარგი ცენტრალური მცველი სათადარიგოთა სკამზეც უნდა. ლაპარაკია "სპარტაკიდან" არგენტინელი **ნიკოლას პარეხას** შეძენაზე. ფეხბურთელი ვერც მოსკოველთა ძირითად შემადგენლობაში ხვდება. ნიკოლასი და მისი მენეჯერი უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ კლუბის გენერალურ მენეჯერსა და მთავარ მწვრთნელ **ვალერი კარპინს**, მაგრამ მისგან ტრანსფერზე თანხმობას მაინც ვერ ეღირსნენ.

ფაბრიციო კოლოჩინი

ლევან ბიბილაშვილი

● ამომავალი ვარსკვლავი

ალექსის კერპი ჟოლაა!

„არსენალის" ახალშენაძენი, 17 წლის **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** ამბობს, რომ მისი კერპი **ჯანფრანკო ჟოლაა** და ერთ მშვენიერ დღეს მისნაირად თამაშზე ოცნებობს. რასაკვირველია, აქ მამის ხელი და გემოვნება იგრძნობა. ალექსის მამა **მარკ ჩემბერლენი** „ჩელსის" „ჩია გენიოსს" ეთაყვანებოდა და შვილს უნერგავდა, რომ მიბაძვის ობიექტი სწორედ ის უნდა იყოს. ოქსლეიდ-ჩემბერლენმა, რომელიც „მეთოფეებს" „საუთჰემპტონიდან" შეუერთდა — ჩრდილოლონდონელებმა მასში 15 მილიონი ფუნტი გადაიხადეს — ამბობს:

„ძოლას მამსგავსებდნენ კიდეც, რადგან პატარაობაში წრიპა ვიყავი. მეც ყოველთვის აღფრთოვანებით შევყურებდი მის თამაშს. ის ბურთს დიდებულად ფლობდა და ნაირ-ნაირი გოლების გატანა შეეძლო. მახსოვს, რა დიდებულად იყო შეთამაშებული ჯიმი ფლოიდ ჰალესბაინკთან. თუკი ოდესმე ძოლას დონეზე ვითამაშებ, თავს უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლი.

მე ტანდაბალი თავდამსხმელები მიყვარს. რასაკვირველია, მსოფლიოში საუკეთესოდ ლიონელ მესი მიმაჩნია. ფაქტია: ის ჩვენი სამყაროდან არ არის. მის დონეზე, ალბათ ვერასდროს ვითამაშებ".

ზემოთ ალექსის მამა ვახსენეთ. ის ახალგაზრდობაში თავად გახლდათ ფეხბურთელი. მარკ ჩემბერლენს ნათამაშები აქვს ისეთ გუნდებში, „პორტსმუთი" და „სტოკი" რომ გახლავთ. მეტიც, მან რვაჯერ ინგლისის ნაკრების მაისურაც კი მოირგო. რად უნდა ლაპარაკი, რომ გარემარბი ვაჟის ჩამოყალიბებაში მშობელს დიდი როლი აქვს მიღებული.

„მამას მოვლენებზე თავისი შეხედულებები აქვს და მე მას, რასაკვირველია, ვუსმენ, თუმცა, რად უნდა ლაპარაკი, რომ ჩემი ცხოვრება თავად უნდა ვმართო. მამაჩემის თამაში მაინცდამაინც არ მაქვს ნანახი. იმ წლებში, ის ფეხბურთელი რომ იყო, ტელევიზია ამდენს არ იღებდა. მამა მხოლოდ ერთი-ორ ჩანაწერში ვნახე და ეს არის. ის რამდენჯერმე ნაკრებში ათამაშეს. ერთ-ორ შეჯიბრებაშიც გაუმარჯვია და რამდენიმეჯერ შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო მიუღია. ეს პრიზები მას სახლში კედლებზე აქვს გამოკრული და ამით მე მახსენებს, რომ კარიერაში მიზნად ტიტულების მოპოვება უნდა დავისახო. ჩემთვის მოუყოლიათ, რომ მამა ახალგაზრდობაში ჩინებული გარემარბი იყო, რომელიც მოგვიანებით ნახევარდაცვაში გადაიყვანეს. სხვათა შორის, უკვე ბევრმა მითხრა, რომ მე და მამაჩემი თამაშის სტილით ერთმანეთს ვგავართ, თუმცა მე თავიდან შუა ნახევარმცველი ვიყავი და ფრთაზე მხოლოდ ერთი წელიწადია რაც გადამიყვანეს. საქმე ის გახლავთ, რომ „საუთჰემპტონის" პირველ გუნდში მე ყველაზე ჩია ვიყავი და მწვრთნელებმა მიიჩნიეს, რომ პირველი ლიგის დონეზე მოედნის ცენტრში სათამაშოდ ათლეტიზმი არ მეყოფოდა. თან, საკმაოდ სწრაფი გახლავართ. ასე რომ, ფლანგზე თამაშს იოლად შევეგუე და დღეს ვერც კი გეტყვით, რომელია ჩემი საუკეთესო პოზიცია. ვინ იცის, იქნებ წლები რომ მომემატება, ისევ დამაბრუნონ მოედნის შუაში".

ოქსლეიდ-ჩემბერლენმა ზაფხულის პირველი ნახევარი ინგლისის 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად შვეიცარიაში გაატარა, სადაც „ჩელსის" ახალგაზრდა ვარსკვლავ **ჯოშ მაკეჩრანს** დაუმეგობრდა. „მეთოფეთა" ახალი ბიჭი ამბობს:

„ჩვენ დავამარცხეთ ჩერნოგორია 1:0, შვეიცარია 3:2 და ფრედ ვითამაშეთ ესპანეთთან - 1:1. ესპანელებს მართლაც საუცხოო გუნდი ჰყავდათ, მაგრამ მათ ჩვენ მხოლოდ გატანილი და გაშვებული გოლების უკეთესი სხვაობით გვაჯობეს. 19 წლამდელთა ნაკრებში გამოსვლა ძალიან მომეწონა. დიდებულია, როდესაც შენი ასაკის საუკეთესო ბიჭებთან ერთად ხარ და თამაშობ. ჩემს გარშემო იყვნენ ბიჭები, რომლებიც პრემიერლიგის გუნდებში თამაშობენ და ვარჯიშებზეც პრემიერლიგის სტანდარტებს აჩვენებდნენ. მათ წინაალმდეგ თამაში პირველ ლიგასთან შედარებით სხვა იყო. ისინი გაცილებით ტექნიკურები არიან და შეტევაში გამწვავება შეუძლიათ. რაც შეეხება ჯოშ მაკეჩრანს, ის დიდი ფეხბურთელი გახდება".

ილია ბაბუნაშვილი

● არსენალი

ევროფაბრეგასი და ევრონასრი

სესკ ფაბრეგასი და **სამირ ნასრი** „არსენალმა" ევროპულ განაცხადში შეიყვანა — შეგახსენებთ, რომ დადგა ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის ეტაპი, სადაც „მეთოფეები" იტალიურ „უდინეზეს" ხვდებიან. წყვილში გამარჯვებული ლიგის ჯგუფში „ჩაჯდება".

ჩრდილოლონდონელებმა როგორც ესპანელი, ასევე ფრანგი ვარსკვლავი, რომლებიც ტოლები, 24 წლისანი არიან, 25-კაციან სიაში ჩაწერეს და უეფას გადასცეს. ამას, დიდ ყურადღებას იმიტომ ვუთმობთ, რომ ორივე ფეხბურთელს „ემირეიტ სთედიუმიდან" გაქცევა უნდა, ფაბრეგასს „ბარსელონაში", ნასრის კი „მანჩესტერ სიტიში". საკმარისია ერთმა ან მეორემ „უდინეზესთან" რომელიმე შეხვედრაში, შინ ან სტუმრად, მოედანზე თუნდაც ერთი ნამით შედგას ფეხი, რომ იმავე შეჯიბრებაში სხვა გუნდის შემადგენლობაში ვეღარ ითამაშებს. სხვა სიტყვებით, მათ სატრანსფერო საქმე გაუფუჭდებათ და შესაძლოა „ბარსამ" და „სიტიმ" ყიდვა გადაიფიქრონ კიდეც.

ნასრის უფრო გაუმართლა, პირველ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულია. ახლა ვნახოთ: „არსენალისა" და „უდინეზეს" პირველი შეხვედრა შემდეგ სამშაბათს ჩატარდება, საპასუხო კი რვა დღის შემდეგ — სხვა სიტყვებით, მანამდე ჯერ დიდი დროა და ფრანგს შეიძლება ეშველოს, „სიტიმ" იყიდოს. ფაბრეგასს კი ორივე შეხვედრაში მონაწილეობისთვის გზა ხსნილი აქვს, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მისი ევროგანაცხადში შეყვანა „არსენალის" მხრიდან „ბარსელონას" დასაჩქარებელი ხრიკიც იყოს.

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● მილანი

ალეგრი კონტრაქტს ახანგრძლივებს

რა შეიცვლება მილანში?

"მილანის" მთავარ მწვრთნელად **მასიმილიანო ალეგრის** დანიშვნის ფაქტს ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, აქაოდა, დიდ კლუბში მუშაობის გამოცდილება არ აქვს და ჩაიკარგებაო, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა – ფაქტია, რომ ალეგრი კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და შედეგებიც შესაბამისი აქვს. ხუმრობა საქმე ნამდვილად არ გახლავთ პირველივე სეზონში სკუდეტოს მოპოვება, რასაც რამდენიმე დღის წინ იტალიის სუპერთასიც დაემატა. მოკლედ, "მილანის' გულშემატკივრებში ალეგრი სულ უფრო და უფრო პოპულარული პერსონა ხდება და შესაბამისად, კლუბის მესვეურთა ნდობითაც სარგებლობს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ადრიანო გალიანი** ალეგრის ახალ ხელშეკრულებას უმზადებს, რომელიც 2014 წლამდე იქნება გათვლილი. შეგახსენებთ, რომ მოქმედი კონტრაქტის ვადა მომავალ ზაფხულს იწურება. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად მწვრთნელს შემდეგი მოსაზრება აქვს:

"ახალი ხელშეკრულების გაფორმება ჩემი ინიციატივა ნამდვილად არ არის, რადგან ასეთ საკითხებს ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას და მხოლოდ სამუშაოზე ვარ კონცენტრირებული. სიმართლე გითხრათ, არც კი მახსოვდა, რომ მომავალ ზაფხულს ჩემს კონტრაქტს ვადა ეწურება – რადგან, თანამშრომლობის გახანგრძლივება კლუბის მესვეურთა სურვილია, გამოდის, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ვართმევ. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი სურვილია "მილანში" რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე და გუნდის ისტორიაში ახალი ერა შევქმნა. ასე რომ, ახალ ხელშეკრულებას დიდი სიამოვნებით მოვაწერ ხელს".

იტალიურ პრესაში აქტიურად ბჭობენ იმის შესახებ, თუ რა შეიცვლება "მილანის" თამაშში... იმაზე ყველა თანხმდება, რომ მასიმილიანო ალეგრის ცვლილებების გატარება მოუწევს, რადგან პირველობის შენარჩუნება ყოველთვის უფრო რთულია, ვიდრე მოპოვება. გასულ სეზონში, ალეგრიმ არაერთი ტაქტიკა-სტრატეგია გამოსცადა, თუმცა უმეტესად მაინც 4-3-1-2-ს იყენებდა. შეტევის წინა ხაზი მუდმივად იცვლებოდა გამომდინარე იქიდან, რომ **ალეშანდრე პატო** ტრავმებმა გატანჯა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** კი დისკვალიოფიკაციის გამო თითქმის ორი თვე გამოტოვა. საინტერესო როტაციები იყო გამთამაშებლის პოზიციაზე, სადაც ხან **რობინიო** ასპარეზობდა, ხან **ანტონიო კასანო** და ხანაც **კევინ პრინც ბოატენგი**. რა იქნება ახალ სეზონში, ამის პროგნოზირება იოლი არ არის, თუმცა გარკვეული ანალიზის გაკეთება მაინც შეიძლება. "გაძეტა დელო სპორტმა" ის თერმომეტეფული ივარაუდა, რომლებსაც ალეგრი ყველაზე ხშირად დაეყრდნობა. მეკარესთან დაკავშირებით, ყველაფერი ცხადზე ცხადია და ნყალი არ გაუვა იმას, რომ კარს **კრისტიან აბიატი** დაიკავს, დანარჩენზე კი მოკლედ ქვემოთ მოგახსენებთ...



დაცვა

ფილიპ მექსე – ტიაგო სილვა – ალესანდრო ნესტა – ტაიე ტაივო

იტალიის სუპერთასზე "ინტერთან" პაექრობაში დაცვის ფლანგებზე **ინაციო აბატემ** და **ჯანლუკა ძამბროტამ** იასპარეზეს, მაგრამ ჟურნალისტებს ეჭვი ეპარებათ, რომ სეზონის მსვლელობისას სწორედ მათზე გაკეთდეს აქცენტი. აბატე მაღალ სისწრაფეზე თამაშობს და ურიგო მცველი არაა, მაგრამ საყოველთაო მოსაზრებით, მას **ფილიპ მექსე** შეავიწროვებს. მართალია, ფრანგმა კარიერის დიდი ნაწილი დაცვის ცენტრში გაატარა, მაგრამ "მილანში" გადასვლისთანავე განაცხადა, რომ მზადაა ძალები ფლანგზეც მოსინჯოს. მისი მაღალი კლასის გათვალისწინებით, ახალ ამპლუასთან ადაპტირება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს და ალბათ ამოაგდებს კიდეც აბატეს ძირითადი შემადგენლობიდან.

ასაკიდან გამომდინარე, სტაბილურად სასტარტოში ასპარეზობა გაუჭირდება ჯანლუკა ძამბროტას და შესაბამისად, არის ეჭვი, რომ მარცხენა ფრთას **ტაიე ტაივო** გაამაგრებს. "მარსელიდან" გადაბირებული 26 წლის მცველი შესანიშნავ ფორმაშია და მასზე მასიმილიანო ალეგრი დიდ იმედებს ამყარებს. ის, რომ მექსემ და ტაივომ სუპერთასის პაექრობაში არ მიიღეს მონაწილეობა, ბუნებრივია, რადგან გუნდთან გარკვეული ადაპტაცია სჭირდებათ. ერთი სიტყვით, მათმა უთამაშებლობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს – ისინი ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებიან.

რაც შეეხება ცენტრს, აქ ყველაფერი გასაგებია – თუ **ტიაგო სილვა** და **ალესანდრო ნესტა** მწყობრში იქნებიან, სწორედ მათზე გაკეთდება აქცენტი. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ტრავმების გარეშე მთელი სეზონის ჩატარება წარმოუდგენელია და იძულებით როტაციებს ცენტრშიც უნდა ველოდოთ.

ნახევარდაცვა

მარკ ვან ბომელი – კლარენს ზეედორფი – მატია ფლამინი – კევინ პრინც ბოატენგი

წლიდანწლამდე "მილანის" სტაჟიანი ფეხბურთელები, მეტიც, ცოცხალი ლეგენდები ჩრდილში ექცევიან და ეს ტენდენცია გაგრძელდება. ჟურნალისტთა მტკიცებით, ამ სეზონში კიდევ უფრო ნაკლები დრო მიეცემათ **ჯენარო გატუზოს** და **მასიმო ამბროზინის** - და ეს მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი გუნდის კაპიტანია. სამაგიეროდ, ძირითადად სასტარტოში მოუწევს ასპარეზობა **მატია ფლამინის**, რომელსაც ბოლო ორ სეზონში მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. მასზე უფრო მეტად არის სასტარტოსთვის განწირული **კევინ პრინც ბოატენგი**, რომელიც ნელ-ნელა გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება - სეზონის პირველივე შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა და სუპერთასის პაექრობაში "ინტერს" გამარჯვების გოლი გაუტანა. ასაკის მიუხედავად, კვლავ მყარია **კლარენს ზეედორფის** პოზიციები, რომელმაც მაღალი კლასი "ნერაძურისთან" პაექრობაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა. რაც შეეხება მეოთხე ნახევარმცველს, ეს **მარკ ვან ბომელი** გახლავთ, რომელიც გასული სეზონის მეორე ნახევრიდან შეურთდა გუნდს და როდესაც ჯანმრთელად იყო, ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში ასპარეზობდა.

თავდასხმა

ზლატან იბრაჰიმოვიჩი – ალეშანდრე პატო

თუ სადმე იქნება აქტიური როტაცია, ეს უპირველესად თავდასხმის ხაზზე ითქმის, რადგან შეუძლებელია, რომ ვთქვათ რობინიოს სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელი ვუწოდოთ. იგივე შეიძლება იტქვას ანტონიო კასანოსა და **ფილიპო ინძაგიზე**, რომლებიც საშემსრულებლო ოსტატობით არავის ჩამოუვარდებიან. თუმცა, წინასწარი ვარაუდით, აქცენტი მაინც იბრაჰიმოვიჩი-პატოს ტანდემზე გაკეთდება. ვნახოთ, რამდენად გამართლდება იტალიელ ჟურნალისტთა პროგნოზი.

ლაშა წიკლაური

● პარი სენ-ჟერმენი

ფინალი ჯერ შორს არის

"პარი სენ-ჟერმენი" სატრანსფერო სეზონის დახურვამდე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას შეეცდება. ამის თაობაზე ფრანგული პრესა წერს. უპირველესი სამიზნე მაღალი კლასის თავდამსხმელია. მაგალითად ისეთი, "ფიორენტინას" ლიდერი **ალბერტო ჯილარდინო** რომ არის. 29 წლის იტალიელი ფლორენციაში ცხოვრებით ბედნიერია, მაგრამ ლეონარდო ფიქრობს, რომ ის პარიზში უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს, მით უფრო, თუკი ფრანგები მას ორმაგ ხელფასს გადაუხდიან. ამჟამად ჯილას ანაზღაურება წელიწადში 2,5 მილიონია, პსჟ მას 3-წლიან ხელშეკრულებაში ზუსტად 15 მილიონს სთავაზობს. 15 მილიონ ევროს მიიღებს "ფიორენტინაც". წესით, ტრანსფერის საკითხი მალე უნდა მოგვარდეს, რადგან მოლაპარაკებები უკვე დიდი ხანია, დაწყებულია.

გარდა თავდასხმისა, ლეონარდო ნახევარდაცვის გაძლიერებაზეც ზრუნავს. ის "რეალიდან" **ლასანა დიარას** შეძენას გეგმავს. გაზეთები წერენ, რომ სამეფო კლუბი ფეხბურთელში 20 მილიონს ითხოვს, მაგრამ ეს თანხა ლასანას მსურველებს ეძვირებათო. ვნახოთ, გაიმეტებს თუ არა ამხელა ფულს პსჟ. "მარკა" ამტკიცებს, რომ მადრიდელებმა დიარას სხვა კლუბებთან მოლაპარაკებების უფლება დართეს, მან კი პარიზელებთან პირადი კონტრაქტი უკვე შეათანხმაო. ესპანური ვებგვერდები აქამდე დიარათი "გალათასარაის", "იუვენტუსისა" და "ტოტენჰემის" დაინტერესების თაობაზე წერდნენ.

გუშინ "პარიზიენმა" მკითხველს პსჟ-ს თაობაზე ორი საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა. კლუბმა 32 წლის მცველ **ზუმანა კამარას** კონტრაქტი 2013 წლამდე გაუგრძელა, 18 წლის გოლკიპერ **ალფონს არეოლას** - 2016-მდე. იგივე "პარიზიენი" იმასაც წერს, რომ თუკი ჯილარდინოს ტრანსფერი შედგა, პარიზელები საფრანგეთის ნაკრების ფორვარდ **გიიომ ოაროს** "სენტ-ეტიენში" იჯარით გაუშვებენ. ლაპარაკია იმაზეც, რომ კონტრაქტში ჩაიდება პუნქტი, რომლის თანახმადაც "მწვანეებს" სეზონის ბოლოს ფეხბურთელის უპირატესი შესყიდვის უფლება მიენიჭებათ. სამი სეზონის განმავლობაში ოაროს პარიზელთა შემადგენლობაში ყველა ტურნირზე ერთად 100-ზე ცოტა მეტი თამაში აქვს ჩატარებული, სადაც მან 30-მდე გოლი შეაგდო.

ლევან ბიბილაშვილი

პარი სენ-ჟერმენის შუა ხაზი შეიძლება ლასანა დიარამ გააძლიეროს

● ტრანსფერი

დადასტურდა: ეტოო ანჟიში ითამაშებს

გუშინდელ ნომერში გამცნეთ **სამუელ ეტოოს** მახაჩკალის "ანჟიში" შესაძლო გადაბარგების შესახებ. მართალია, ოფიციალურად ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა, მაგრამ თუ გუშინ გავრცელებულ ცნობებს დავუჯერებთ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია. საქმე იმაშია, რომ "ინტერის" გენერალურმა დირექტორმა **ერნესტო პაოლილომ** კამერუნელი ფორვარდის რუსეთის პორემიერლიგაში გადაბარგების ამბავი დაადასტურა და შემდეგი განაცხადა:

"ეტოომ რუსული კლუბისგან ფანტასტიკური წინადადება მიიღო და გადაწყვიტა, რომ კარიერა "ანჟიში" უნდა გააგრძელოს. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია და იმედია, გულშემატკივრები სამუელის არჩევანს გაგებით მოეკიდებიან. ფაქტია, რომ მისი გასხვისება ჩვენი ინიციატივა არ იყო, რადგან მახაჩყალური კლუბისგან მხოლოდ 30 მილიონ ევროს მივიღებთ. დაგვეთანხმებით, ეს არ არის ის თანხა, რომლის გამოც ჩვენ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს გავასხვისებდით. წასვლა თავად ეტოომ მოისურვა და ძალით მისი გაჩერება გაუმართლებლად მივიჩნიეთ".

თუ რატომ მიიღო ეტოომ ასეთი გადაწყვეტილება, ამის მიზეზებზე გუშინდელ ნომერშიც ვისაუბრეთ – საქმე იმაშია, რომ მახაჩკალურ გუნდში კამერუმინელი წელიწადში 20 მილიონ ევროს მიიღებს.

ამასობაში, "ინტერის" მესვეურები უკვე შეუდგნენ ეტოოს შემცვლელის ძებნას და თვალი ნეაპოლისკენ მიაპყრეს, სადაც **ესეკილ ლავეცი** ეგულებათ. "გაძეტას" მტკიცებით, **მასიმო მორატიმ აურელიო დე ლაურენტისს** პირადად დაურეკა და პირდაპირ თანხის დასახელება სთხოვა, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო: 40 მილიონი ევრო. ამბობენ, რომ მორატი მზადაა ნეაპოლური კლუბის ბიუჯეტში 30 მილიონი ევრო გადარიცხოს, ზუსტად იმდენი, რამდენსაც ეტოოს სანაცვლოდ აიღებს. ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ისტორიას.

ლაშა წიკლაური

● ამბები

სიომინი შევჩენკოს წინააღმდეგ

კიევის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **იური სიომინმა ანდრეი შევჩენკოს** კიევურ კარიერას ლამის ხაზი გადაუსვა. ამის მიზეზი ის განცხადებები გახდა, რომელიც ანდრეიმ იური პავლოვიჩის წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგაში "რუბინთან" საპასუხო მატჩის შემდეგ გააკეთა. სიომინმა პრეზიდენტ **იგორ სურკისს** შეხვედრა სთხოვა და განუცხადა, რომ არ აპირებს თუნდაც შევჩენკოსგან ასეთი დამოკიდებულების ატანას. პრეზიდენტმა რადიკალური მეთოდის გატარებაზე უარი თქვა და მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდა.

ბასტოსმა დე ჟერლანი არჩია

"ლიონის" ბრაზილიელმა უნივერსალმა **მიშელ ბასტოსმა** კონტრაქტი გააგრძელა. არადა უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში არ შენყვეტილა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მისით ტურინის "იუვენტუსი" იყო დაინტერესებული და ფეხბურთელი იტალიას დღე დღეზე მიაშურებდა. "ლიონის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელი "სტად დე ჟერლანზე" 2013 წლამდე დარჩება.

სცემა და გადადგა

კოლუმბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ერნან გომესი** თანამდებობიდან გადადგა. ამის მიზეზი მისი მუშაობით ვინმეს უკმაყოფილება კი არა, მისივე ხულიგნური გამოხტომა გახდა. 6-7 აგვისტოს ღამეს ის მედელინში ბარში იმყოფებოდა, სადაც გულშემატკივარმა ქალმა კოპა ამერიკის 1/4-ფინალში პერუსთან დამარცხების გამო გამოლანძღა. ბატონი გომესი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო, ვეღარ მოზომა, ადგა და საპასუხოდ ორჯერ კარგა მადიანად მოსცხო კრიტიკოსს. მეორე დღეს მან მთელ კოლუმბიელ ხალხს, განსაკუთრებით კი ქალბატონებს, ბოდიში მოუხადა. ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა გომესის გადადგომა მოითხოვეს, მიუხედავად ფედერაციის პრეზიდენტის **ლუის ბედოიას** წინააღმდეგობისა, შერცხვენილმა სპეციალისტმა თანამდებობა დატოვა.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ტიმ ვიზელთან

ბრემენის ვერდერში პირველი, გერმანიის ნაკრებში კი მესამე მეკარე ტიმ ვიზე

მეკარეობა მურდალი საქმეა

გოლკიპერი ან გმირია, ანაც იდიოტი, ჩვენს პროფესიაში შუალედი არ არსებობს

„ვერდერმა“ გასული სეზონი იმდენად ცუდად ჩაატარა და მოსამზადებელ შეკრებაზეც ისე გამოიყურებოდა (გერმანიის თასიდან გავარდნაც არ დაგავიწყდეთ), რომ ბრემენში ახალი სეზონის წინ ყველა პესიმისტურად განეწყო. შესაბამისად, „მუსიკოსებმა“ პირველ ტურში „კაიზერსლაუტერნის“ დამარცხებით (2:0) ყველა გააკვირვეს. შვებით ამოისუნთქა ბრემენელთა 29 წლის მეკარე ტიმ ვიზემაც, რომელიც ზუსტად ისეთ გაურკვევლობაში იყო, როგორც მთელი გუნდი. ტიმისთვის გასული უქმეები ორმაგად საინტერესო იყო, რადგან გერმანიის ნაკრებში მისმა კონკურენტმა მანუელ ნოიერმა ამ რანგის მეკარისთვის სამარცხვინო შეცდომა დაუშვა, მისმა „ბაიერნმა“ „გლადბახთან“ წააგო. ვიზეს ნოიერი ოდნავადაც არ ეცოდება. რატომ? პასუხს „11 ფროინდეში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან შეიტყობთ, სადაც ტიმი ძალიან საინტერესოდ საუბრობს.

- ჰერ ვიზე, ბუნდესლიგის პირველ ტურში „ვერდერმაც“ მშვენივრად ითამაშა და თქვენც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეთ. მანუელ ნოიერმა კი, რომელიც გერმანიის ნაკრებში თქვენი კონკურენტია, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ სამარცხვინო შეცდომა დაუშვა, რის გამოც „ბაიერნმა“ წააგო. შეგეცოდათ მანუელი?

- არა, რადგან მეკარის ბედი ასეთია, შეცდომის, მით უმეტეს საბედისწერო შეცდომის დაშვების უფლება არც ერთ კიპერს არ აქვს და თუ იაღლიში მოგივა, მერე წარუმატებლობას ყველა შენ გაბრალებს, რადგან მეკარის შეცდომა ყოველთვის ძალიან თვალსაჩინოა და ის გუნდს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. მეკარეობას ამ კუთხით თუ შევხედავთ, ძალიან მურდალი საქმეა. გოლკიპერი ან გმირია, ანაც იდიოტი – ჩვენს პროფესიაში შუალედი არ არსებობს.

- თქვენთვის ორივე განცდა ნაცნობი იქნება...

- რა თქმა უნდა, მე ხომ საკმარისად გამოცდილი ვარ და უკვე ფაქტობრივად ყველაფერი ვნახე. 2006 წელს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, ტურინის „იუვენტუსთან“ მეც დაახლოებით ასეთი რამ დამემართა და იმ შეცდომის გამო „ვერდერი“ ლიგიდან გავარდა. არადა, კარგად მახსოვს, ტურინულ გრანდს ორივე თამაშში ვაჯობეთ და ლოგიკურად, მეოთხედფინალში ჩვენ უნდა გავსულიყავით. მეკარე ყოველთვის უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული და საკმარისია, ასეთი საბედისწერო შეცდომა ზედიზედ რამდენჯერმე მოგივიდეს, რომ შენს კარიერაში პროგრესი ფაქტობრივად გამორიცხება. მერე მაქსიმუმ იმ დონეზე დარჩე, ასევე დიდი მიღწევა იქნება, უმეტესად კი, რეგრესს განიცდიან ხოლმე და მოგვიანებით ასეთ მეკარეს მხოლოდ უფრო სუსტ გუნდში თუ მიიღებენ. ეს ყველაფერი წნეხის ბრალია: მეკარე ყოველთვის ერთია, მას მოედანზე მყოფი ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ დააზღვევს. აი, საყრდენი ნახევარმცველის დაზღვევა ცენტრალურ მცველსაც შეუძლია და ზოგ შემთხვევაში თავდამსხმელსაც, მარცხენა მცველს მარცხენა ნახევარმცველი დააზღვევს, ცენტრფორვარდებიც ჩამოდიან ხოლმე საკუთარ საჯარიმოში, რათა დაეხმარონ მცველებს, რომლებიც ისედაც უმეტესად ოთხნი არიან. მეკარეები კი ყოველთვის მარტონი ვართ...

- „ბაიერნის“ გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი დღემდე ნოიერის წინააღმდეგია. რეკორდმაისტერის ულტრასები მანუელს არა და არ ურიგდებიან, რაც მასზე სეწოლის სიმძიმეს ზრდის. ფანების პროტესტი მეკარეს უფრო მეტად ანერვიულებს და თავდაჯერებას აკლებს, ხომ ასეა?

- ცხადია. თუ საკუთარი ფანები გისტვენენ, ეჭვის თვალით გიყურებენ და ხვდები, რომ გულზე არ ეხატები, ეს შენს მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს და შეცდომების დაშვების ალბათობასაც ზრდის. ზოგადად, მანუელმა ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ულტრასები შეურიგდნენ. ვაღიარებ: ნოიერი უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ თუ ამ წნეხს გაუძლო და შტორმი გადაიტანა, მერე მისგან მართლა დადგება მსოფლიოში საუკეთესო მეკარე. ჩვენი პროფესიისთვის ყველაზე მთავარი ხომ თავდაჯერებაა. შესაძლოა, საუკეთესო რეაქცია არ გქონდეს, მაგრამ მაღალ დონეს თავდაჯერება მიგაღწევინებს.

- ნოიერის შეცდომა ხომ არ გაიმეღებთ, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე იქნებით?

- არა, ასე არ ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის კარი მე დავიცვა და ვფიქრობ, ამას ძალიან კარგადაც შევძლებდი, მაგრამ მანუელი ისედაც მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული და ჩემგან დამატება აღარ სჭირდება. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „ვერდერის“ რიგებში ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე უნდა ვიდგე და სტაბილურად კარგად ვითამაშო, რათა ნაკრებში მუდმივად მიწვევდნენ. დანარჩენი კი მწვრთნელის, იოახიმ ლიოვის გადასაწყვეტია. რაც არ უნდა ვილაპარაკო, ყველაფერი ხომ მაინც ისე იქნება, როგორც იოგი იტყვის, ლაპარაკით და გრძელი ენით კი პირიქით, შეიძლება საქმე გაიფუჭო.

- ამ ბოლო დროს ექსპერტები ძალიან აქებენ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენს და „ჰანოვერის“ კიპერ რონ-რობერტ ცილერს. ორივე მათგანი ძალიან ახალგაზრდა და პერსპექტიულია. თქვენზე კი აღარავინ საუბრობს. აღარ გაფასებენ?

- ჩემი შესაძლებლობების შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ქება სულაც არ მჭირდება, მათ ასაკში რომ ვიყავი, მე უფრო მეტს მაქებდნენ. დამაინც: რამდენი მატჩი აქვთ ჩატარებული ტერ შტეგენს და ცილერს ბუნდესლიგაში? 5? 15? არც ვიცი. მე ბუნდესლიგაში 250 შეხვედრა მაქვს ჩატარებული და ეს რიცხვი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. გარდა თავდაჯერებისა, მეკარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილებაც. ჩემნაირ კარიერაზე კი ბევრი კიპერი ოცნებობს.

- „ვერდერთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე გაქვთ გაფორმებული. „ბილდის“ კოლუმნისტმა, მარიო ბასლერმა თქვა, დარწმუნებული ვარ, რომ ვიზე გაისად „შალკეში“ გადავაო...

- ვნახოთ, ვნახოთ... გელზენკირხენული კლუბი მართლაც იყო დაინტერესებული, მაგრამ მე შალკელებთან საქმე არ მაქვს, რადგან ბრემენში კონტრაქტი არ ამონურულა. როგორც ვიცი, ჩემი აგენტი როჯერ ვიტმანი „ვერდერის“ სპორტულ დირექტორ კლაუს ალოფსს უკვე ესაუბრა. წლის ბოლოს გადაწყვეტილებასაც მივიღებთ – შეიძლება ახალი კონტრაქტი გავაფორმო. თუ ასე არ მოხდა, ცხადია, სხვაგან წავალ.

გოტფრიდ ლენცი

პორტუ

ინტერესი არ ნელდება

"პორტუს" ფეხბურთელების მიმართ ინტერესი არ ნელდება. პრინციპში ეს გასაკვირი არც არის, რადგან "დრაკონებმა" შარშან ფანტასტიკური სეზონი ჩაატარეს. პორტუგალიის ჩემპიონს უმდიდრესი ევროპული კლუბები ხან რომელი ფეხბურთელის გაყიდვას სთავაზობენ, ხან რომლის. ინგლისური "დეილი მეილის" ცნობით, "ტოტენჰემი" მზადაა **ჟივანილდო პერეირა დე სოუზაში**, ანუ უბრალოდ **ჰალკში** "პორტუს" 40 მილიონი ევრო გადაუხადოს და ამათგან – **პიტერ კრაუჩი, რომან პავლუჩენკო, ვილსონ პალასიოსი**, რომელიმე ფეხბურთელიც დაამატოს. ჩვენი გაზეთი იმასაც წერდა, რომ "რეალი" და "რომა" კოლუმბიელი **ფრედი გუარინის** სამსახურით არიან დაინტერესებულნი. "მარკა" კი გვამცნობს, ფეხბურთელმა ესპანელებთან პირადი კონტრაქტი შეათანხმაო, მაგრამ თავად "პორტუ" ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. კლუბის პრესსამსახურმა განცხადება ოფიციალურ ვებგვერდზე დადო, სადაც წერია, რომ არავითარი ოფიციალური წინადადება ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით მათ ოფისში არ შესულა და რომც შევიდეს, ხელმძღვანელობა მას არც განიხილავს, რადგან ისინი არ იყიდებიან.

ვიტორ პერეირამ საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, მისი თქმით, ის მზადაა, კვირაში რამდენჯერმე დილის ვარჯიშის შემდეგ ჟურნალისტებს 15 წუთი დაუთმოს. ეს ახალბედა მწვრთნელს პრესის წარმომადგენლებთან მეტი კონტაქტის საშუალებას მისცემს და ბუნებრივია, საზოგადოებას გუნდის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია ექნება. ეს კი, თავის მხრივ, ჭორების რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს.

"პორტუს" გუშინ კოპა ამერიკის უკანასკნელი მონაწილეები დაუბრუნდნენ, ლაპარაკია 25 წლის ურუგვაელ მცველ **ალვარო პერეირასა** და 20 წლის კოლუმბიელ ნახევარმცველ **ჯეიმს-როდრიგესზე.** მიუხედავად ამისა, პერეირას სრულ შემადგენლობასთან მუშაობის ბედნიერება არ მიეცა, რადგან მას ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები **ჟოაუ მოუტინიო, ანდრე კასტრო, სილვესტრე ვარელა, რუბენ მიკაელი** (პორტუგალია) და **ჯალმა კამპუში** (ანგოლა) დააკლდნენ.

პორტუგალიური გამოცემა "რეკორდ ო ჟოგო" ამტკიცებს, რომ "დრაკონები" ლიეჟის "სტანდარდიდან" **სტივენ დეფურის** გადაბირებას გეგმავენ. ეს ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუკი კლუბი "რომაში" გაუშვებს ბრაზილიელ **ფერნანდოს.** შეგახსენებთ, რომ სტივენის გადაბირებას აქამდე მოსკოვის "ლოკომოტივი" და "სპარტაკი" ცდილობდნენ, მაგრამ ფეხბურთელი რუსულ პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივამ ოდნავადაც ვერ მოხიბლა.

ლევან ბიბილაშვილი

ახალ სეზონში ვიტორ პერეირას ჯერ სრულ შემადგენლობასთან მუშაობა არ დასცალდა

ნაპოლი

ბარიდო: აღარავინ ნავა

"ნაპოლის" ბოსების განცხადებით, კლუბს სატრანსფერო კამპანიის საბოლოოდ დახურვას ერთადერთი საქმელა აშორებს. მათ "ვილიარელიდან" **ჯუზეპე როსის** გადაბირება უნდათ. "სკუადრა აძურას" თავდამსხმელის გადაბირებას "იუვენტუსიც" ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ბოლოს "რომადან" **მირკო ვუჩინიჩი** შეიძინა. "ნაპოლის" ბოსი **აურელიო დე ლაურენტისი** აცხადებს: *"ვილიარეალს" ოფიციალურად მივმართეთ როსის ტრანსფერთან დაკავშირებით. მათგან ჯერჯერობით უარი არ მიგვიღია. მესმის, რომ ყველას "რეალსა" და "ბარსელონაში" თამაში უნდა, მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება და ვნახოთ, გამოგვივა თუ არა ეს საქმე".*

მართალია დე ლაურტენტისი ამტკიცებს, უარი არ მიგვიღიაო, მაგრამ ესპანურ პრესასთან საუბარში "სუბმარინების" თავკაცი **ხუან კარლოს გარიდო** სულ სხვა რამეს ამბობს, ის დარწმუნებულია, რომ ამჟამად მის ხელთ არსებულ შემადგენლობას მთლიანად შეინარჩუნებს და თუ ვინმესთან განშორება მოუწევს, ეს გუნდის ლიდერი ნამდვილად არ იქნება.

ლევან ბიბილაშვილი



აურელიო დე ლაურენტისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ჰამბურგი

ჰამბურგს ელიას გაყიდვა არ უნდა!

იუვენტუსი აქცენტს ვარგასზე გადაიტანს

ელჯერო ელია

გასულ უქმეებზე „ჰამბურგის“ გულშემატკივრები მხოლოდ თავიანთი საყვარელი გუნდის „დორტმუნდთან“ მარცხის გამო როდი ნერვიულობდნენ – შაბათს, იტალიურ და გერმანულ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ტურინის „იუვენტუსს“ ჩრდილოგერმანული გუნდის 24 წლის ჰოლანდიელი გარემარბის **ელჯერო ელიას** გადაბირება უნდა. პრინციპში, ეს ძველი ამბავია, რადგან „ბებერი ქალბატონი“ დიდი ხანია, ელიათია დაინტერესებული. ახალი ის არის, რომ „ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, „იუვემ“ კონკრეტული წინადადებით მოგვმართაო.

იტალიური სპორტული პრესის ფლაგმანის, „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებმა „ჰამბურგს“ ელიას სანაცვლოდ გუშინწინ რვა მილიონი ევრო შესთავაზეს. არნესენმა კი ტურინელებს უარი შეუთვალა და ამბობს, ელიას გაყიდვა ნამდვილად არ გვინდა და არც ფინანსურად გვიჭირს იმდენად, რომ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს შეველიოთო.

ჰოლანდიელი გარემარბი ელჯერო ელია „ჰამბურგმა“ 2009 წელს „ტვენტედან“ გაცილებით ძვირად, 10 მილიონ ევროდ შეიძინა და მას მერე ამ ფეხბურთელმა მხოლოდ თითო-ოროლა მატჩში დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. საერთო ჯამში კი, ელიას ჰამბურგული კარიერა ჯერჯერობით უარყოფითადაა შეფასებული. ელჯეროსთვის ჰამბურგში გატარებული პირველი სეზონი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა (5 გოლი, 7 საგოლე პასი), სამაგიეროდ, გასულ სეზონში ხეირიანი ვეღარაფერი გააკეთა (მხოლოდ ორი გოლი და „კიკერის“ საშუალო შეფასება 4.38). სწორედ ამიტომ განეწყვნენ ექსპერტები მის მიმართ ასე პესიმისტურად. ელიამ პარასკევს, ბუნდესლიგის პირველ ტურშიც ცუდად ითამაშა, HSV-მ „დორტმუნდთან“ 1:3 წააგო, ელიამ კი „კიკერისგან“ ყველაზე ცუდი შეფასება, ექვსიანი დაიმსახურა.

გუშინ ელიას წესით ჰოლანდიის ნაკრებში, ინგლისის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ შეხვედრა ლონდონში მომხდარი ჯგუფური ჩხუბის გამო გადაიდო და ელჯერო თანაკლუბელ **ჯეფრი ბრუმასთან** ერთად „ჰამბურგში“ დარჩა.

ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, ჰამბურგისგან საბოლოო უარის მიღების შემდეგ, „იუვენტუსმა“ აქცენტი „ფიორენტინას“ პერუელ გარემარბზე, **ხუან ვარგასზე** გადაიტანა. შეგახსენებთ, რომ „იუვემ“ მანამდე „ლევერკუზენიდან“ საყრდენი ნახევარმცველი **არტურო ვიდალი**, „რომადან“ კი თავდამსხმელი **მირკო ვუჩინიჩი** შეიძინა.

გოტფრიდ ლენცი

● დორტმუნდის ბორუსია

გროსკროიცი: რა დროს დასკვნებია?

კევინისთვის ბაიერნის წაგება არაფერს ნიშნავს

კევინ გროსკროიცს გერმანიის ნაკრებში სულ სამი მატჩი აქვს ჩატარებული. მიუხედავად იმისა, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ ერთ-ერთი ლიდერია და გასული სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ამ ბოლო დროს აღარ წყალობს. ზუსტად ისე, როგორც გერმანიის ნაკრების ბოლო ხუთ შეხვედრაში, იოგიმ 23 წლის შემტევი ნახევარმცველი არც ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა და შესაძლოა, ინანა კიდეც, რადგან პარასკევს, როცა ლიოვს შემადგენლობა უკვე დასახელებული ჰქონდა, გროსკროიტცმა ბუნდესლიგის პირველ ტურში, „ჰამბურგთან“ დუბლი შეასრულა (3:1 ბორუსიას სასარგებლოდ). ლიოვმა ბრაზილიასთან ტესტმატჩისთვის რამდენიმე დორტმუნდელს უხმო – **ილქაი გიუნდოგანს, მარიო გიოტცეს, მატს ჰუმელსსა** და **სვენ ბენდერს**, კევინი კი ისევ თამაშგარეთ გატოვა.

კევინ გროსკროიტცი გერმანიის ნაკრებში დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს

„ცხადია, გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამ, მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მე კი მეტი არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ უფრო მეტად მოვინდომო და ჩემი შესაძლებლობები ბუნდესლიგაში ვამტკიცო. ნაკრებში არგამოძახება ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა, - აცხადებს გროსკროიტცი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძინა, - ლიოვს პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მოსამზადებელ შეკრებაზე მის ასისტენტ ჰანსი ფლიკს შევხვდი და ვესაუბრე. ფლიკმა ამიხსნა, ნაკრებიდან არავის ჩამოუწერიხარ, თუ კარგად ითამაშებ, მომავალ მატჩებში ლიოვი ყურადღებას აუცილებლად მოგაქცევსო. ჩემი მიზანი ბუნდესგუნდში დაბრუნებაა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ.“

აი, „დორტმუნდში“ კი საქმეები ძალიან კარგად მისდის. „ბორუსიამ“ ახალი სეზონი ძალიან კარგად დაიწყო, თავად გროსკროიტცმა კი „ჰამბურგთან“ სულაც დუბლი შეასრულა და არა მარტო მატჩის, არამედ მთლიანად ტურის ერთ-ერთი გმირი გახდა – თანაკლუბელ გიოტცესთან ერთად. „შავ-ყვითლების“ კონკურენტებმა კი ბუნდესლიგაში სუსტი სტარტი აიღეს, თუმცა კევინი ამბობს, პირველ ტურს დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ, წინ კიდევ 33 ტურია და დასკვნების გაკეთება ჩვენზე თუ ჩვენს კონკურენტებზე, ჯერ ძალიან ნაადრევიაო.

„პირველ ტურში „ბაიერნის“ და „შალკეს“ წაგება ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ვფიქრობ, მიუხხენური გრანდი მაინც უპირველესი ფავორიტია, - ამბობს გროსკროიტცი, რომელიც სულით ხორცამდე დორტმუნდელია და არ გამორიცხავს, რომ მთელი კარიერა „ბორუსიაში“ გაატაროს, - არ არსებობს მიზეზი, რისთვისაც მსოფლიოში საუკეთესო კლუბი უნდა დავტოვო. იმედი მაქვს, რომ ამის მიზეზი არც არასდროს მექნება.“

მაგრამ თუ ოდესმე მაინც მოუნდა დორტმუნდიდან აბარგება, ყველაზე მეტად ინგლისის პრემიერლიგაში გადასვლის პერსპექტივა მოხიბლავს. „დორტმუნდის“ შემდეგ კევინი ბავშვობიდან „ლივერპულს“ და ლონდონის „არსენალს“ ქომაგობდა...

გოტფრიდ ლენცი

EuroBasket 2011 LITHUANIA

ყველაფერი ევრობასკეტის შესახებ

144 გვერდი

სპეციალური ფასი

ლიტვა 2011
ევროპის ჩემპიონატი ალითბუსთში

ალენდური
ჩვენი მეტოქეები
საქართველოს ნახტომების ბზა

40 გამოსაჯვება

56 ალითბუსთელი

76 თამაში

20 აგვისტოს!

-სთან ერთად!

ფასი: 3 ლარი.
(ლელოსთან ერთად 3 ლარი და 80 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არეულობა

პრემიერლიგას ჩრდილი მიაღგა

ლონდონში მიმდინარე არეულობების გამო პრემიერლიგა შეიძლება გეგმის მიხედვით ვერ დაიწყოს. გაჩნდა კითხვა: შეიძლება ინგლისის დედაქალაქში დანიშნული შეხვედრების ჩატარება? მოგეხსენებათ, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ მთავრობასა და პოლიციასთან მოლაპარაკებების შემდეგ ოთხშაბათს ნაკრების ამხანაგური შეხვედრა გააუქმა - ინგლისი ჰოლანდიას უნდა შეხვედროდა. საკითხის მიმოხილვამ ასოციაციის შეფები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ასეთ პირობებში ბურთის თამაში ფეხბურთელებისა და 70 ათასი მაყურებლის რისკის წინაშე დაყენებას ნიშნავს.

ამასობაში კი დედაქალაქის ზოგიერთ რაიონში გამძვინვარებული ანარქია რამდენიმე სხვა ქალაქსაც გადაედო. მართალია, პრემიერლიგის პირველი ტურის მთლიანად გადადებაზე ლაპარაკიც არ არის, მაგრამ ლონდონის სამ თამაშს კი ემუქრება სხვა თარიღებში გადატანა. ლაპარაკია „ფულჰემისა“ და „ასტონ ვილას“, „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ და „ბოლტონის“, „ტოტენჰემისა“ და „ევერტონის“ შეხვედრებზე.

პოლიციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებს ფეხბურთის ლიგის შეფობაც (ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც პრემიერლიგის დაბლა მოქმედ დივიზიონებს ხელმძღვანელობს) და გადაწყვეტილებას დღეს საღამოსთვის ელიან. პრემიერლიგისა და ფეხბურთის ლიგის ერთობლივ განცხადებაში წერია:

„ჩვენს ორგანიზაციებში შემომავალ ლონდონურ კლუბებთან საკითხს დეტალურად განვიხილავთ. განხილვაში მონაწილეობენ დედაქალაქის პოლიცია და მთავრობა. განხილვის თემაა მოახლოებულ უქმეებზე ლონდონში დანიშნული თამაშების ჩატარების მიზანშეწონილობა. ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან თითოეული სწავლობს სიტუაციას და გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის თავის განცხადებას გააკეთებს. ჩვენი მხრიდან პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ ფანებს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ დროულად შევატყობინებთ“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მანამდე ასოციაციის წარმომადგენლები შეხვდნენ პოლიციისა და ლონდონის მთავრობის ჩინოსნებს და ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრების შეხვედრის გადადება გადაწყვიტეს. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებას ძალიან ცოტა დრო დასჭირდა. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ პოლიციას „უემბლიზე“ სრულყოფილი მუშაობისთვის ძალები არ ეყოფოდა. სხვა სიტყვებით, დედაქალაქის პილიცია და ხელისუფლება აღიარებდა, რომ ნებისმიერი პროვოკაციის შემთხვევაში ვითარებას ვერ გააკონტროლებდა. ამბობენ, რომ მოლაპარაკებების დროს გაჩნდა იდეა, თამაში მაყურებლის გარეშე ჩაეტარებინათ, მაგრამ ინგლისელთა ეროვნული გუნდის იტალიელმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** ეს წინადადება კატეგორიულად უარყო. კაპელომ თქვა, რომ შეხვედრა ისედაც ამხანაგური იყო და მას მაყურებლის გარეშე, მით უფრო „ალმოდებულ“ ქალაქში, არანაირი აზრი არ ექნებოდა. მწვრთნელმა შეკრებისთვის გამოყოფილ დღეებში ფეხბურთელების ბაზაზე დატოვება და ინტენსიური წვრთნის ჩატარება ამჯობინა.

კაპელოს მართლაც ჩაუტარებია ბაზაზე თამაში, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ 21 წლის ნახევარმცველი **ტომ კლივერლი**, ეროვნულ გუნდში დებიუტი რომ უნდა ჰქონოდა, **სკოტ პარკერთან** შეუწყვილებია.

ფეხბურთის ასოციაციამ პირველივე დღეს აღიარა, რომ გულშემატკივარს ბილეთებში გადახდილ ფულს სრულად აუნაზღაურებს. როგორც „დეილი მეილი“ წერს, თანხა 2 მილიონ ფუნტამდეა. თუმცა, ასოციაციამ შესაძლოა დიდად არც იზარალოს, რადგან, როგორც ამბობენ, ორგანიზაციის შეფებმა ჰოლანდიელ კოლეგებთან უკვე მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას, რომ თამაში კი არ გაუქმდა, არამედ უკეთესი დროისთვის გადაიდო. ინგლისელებისთვის დიდი შვება გახლდათ ისიც, რომ ჰოლანდიელები დიდ კომპენსაციას არ ითხოვენ — გუნდი ამსტერდამის აეროპორტშიც არ იყო მისული, ლონდონიდან შეტყობინებამ რომ მიუსწრო.

ფეხბურთის ასოციაციამ პრეს-კონფერენცია ჰერტფორდშირში, იმ სასტუმროში გამართა, სადაც ნაკრები ჰყავდა დაბანაკებული. პრესკონფერენციაზე იყვნენ ორგანიზაციის თავმჯდომარე **დევიდ ბერნსტაინი**, „კლაბ ინგლენდის“ დირექტორი **ედრიან ბევინგტონი** და კაპელო მთელი გუნდით. ფეხბურთელებმა ლონდონის ჩრდილოეთ უბნებში მომხდარი ამბების ჩანაწერები საუზმისას ნახეს, რის მერეც **რიო ფერდინანდმა** და **ჯონ ტერიმ** ხელმძღვანელობას სთხოვეს პრესკონფერენციაზე დასწრების ნება გუნდისთვისაც დაერთოთ. პრესკონფერენციაზე ბევინგტონმა მათი სახელით განცხადება წაიკითხა. საქმე ის გახლავთ, რომ ასოციაციას მოთამაშეების გამოჩენა საერთოდ არ უნდოდა — ისინი ფიქრობდნენ, რომ უკეთესი იქნებოდა ფეხბურთელები სოციალურ დისკუსიებს საერთოდ თუ აერიდებოდნენ, მაგრამ ფერდინანდი საზოგადოებრივად აქტიური ადამიანია. მან და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა, **უეინ რუნიმ** არეულობის მონაწილე ახალგაზრდებს დაწყნარებისკენ „ტვიტერის“ საშუალებით მოუწოდეს. სოციალურ ქსელში კი აუდიტორია, რომელმაც ფეხბურთელების გზავნილი მიიღო, ადვილი დასათვლელია — ფერდინანდის სიტყვა 1,35 მილიონ ადამიანთან მიდის, რუნისა კი 1,17 მილიონთან. მათ ერთობლივ განცხადებაში ეწერა, რომ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა ნახეს არეულობის კადრები და დარწმუნდნენ, რომ ასეთ პირობებში „უემბლიზე“ ხალხის შეკრება და ფეხბურთის თამაში სახიფათოა. მათ, „განრისხებულებს“ მთელი გუნდის სახელით დამშვიდებისკენ მოუწოდეს.

ილია ბაბუნაშვილი

● ჩელსი

ლუკას გაიოსება

„ჩელსის“ „ტოტენჰემისგან“ **ლუკა მოდრიჩის** ყიდვა სურს და მიზნის მისაღწევად ახალი ხერხი მოიფიქრა: ჩრდილოელ თანაქალაქელებს მხოლოდ ფულს აღარ სთავაზობს, **იოსი ბენაიუნსაც** ამატებს. მოდრიჩი, მოგეხსენებათ, 25 წლის ხორვატი გამთამაშებელია, ბენაიუნი კი 31 წლის ებრაელი ნახევარმცველ-თავდამსხმელი. რატომ გაუჩნდათ „ლურჯებს“ ეს აზრი? საქმე ის გახლავთ, რომ „დეზების“ თავკაც **ჰარი რედნაპს** ბენაიუნის თამაში დიდი ხანია მოსწონს და მისი შეძენა ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, ფეხბურთელი „ლივერპულის“ წევრი რომ იყო და „ჩელსიში“ გადადიოდა. მაშინ რედნაპმა ვერ იყოჩაღა, ბენაიუნი ვერ იყიდა და ის „სტემფორდ ბრიჯზე“ გადავიდა, მაგრამ ახალ გუნდში თავი ვერაფრით გამოიჩინა, რაც დიდწილად ტერფის ტრავმამაც განაპირობა.

ახლა ებრაელ ვარსკვლავს ტრავმა აღარ აწუხებს და ზაფხულში, სეზონისწინა შეხვედრებში, კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა, მაგრამ „ჩელსის“ მოდრიჩის ყიდვა იმდენად უნდა, რომ მწვრთნელი **ანდრე ვილაშ-ბოაში** მზად არის, კარგად ათამაშებულ ბენაიუნს შეელიოს.

რაც „პორტოს“ თავი დაანება და დასავლეთ ლონდონში გადაბარგდა, ვილაშ-ბოაში ყოველ ინტერვიუში ლაპარაკობს ხაზებს შორის მოქმედი ფეხბურთელების აუცილებლობაზე. როგორც ჩანს, „ლურჯების“ მწყობრ და მკაფიოდ გამოთლილ სისტემაში სწორედ ასეთი შემაკავშირებლების ნაკლებობაა. ბენაიუნი, რასაკვირველია, სწორედ ასეთი ფეხბურთელია, არაფერი რომ ვთქვათ მისი და **ფერნანდო ტორესის** ლივერპულისდრონიდელ მეგობრობასა და ურთიერთგაგებაზე, რაც ესპანელი ფორვარდის ასათამაშებლად „ჩელსის“ ძალიან სჭირდება — მერსისაიდულ კლებში ყოფნის დროს მეგობრებს სასტუმროში საერთო ოთახი ჰქონდათ. მეტიც, დაკვირვებულმა ხალხმა შეამჩნია, რომ იმ რვა თვის განმავლობაში, რაც „სტემფორდ ბრიჯზე“ გადაბარგდა, ტორესი კარგად მხოლოდ მაშინ თამაშობდა, როდესაც ძმაკაცი მოედანზე, გვერდით ჰყავდა, მაგრამ „ლურჯებისთვის“ ამ ისტორიას მეორე ბოლოც აქვს: ბენაიუნი უკვე 31 წლის არის და კონტრაქტის თანახმად დასავლეთ ლონდონში ორი წელიწადიღა დარჩა გასასტარებელი.

ბენაიუნმა შარშან, სექტემბერში აქილევსის მყესი დაიზიანა და შვიდი თვე ექიმებთან სიარულში გაატარა. საბოლოოდ გამოვიდა, რომ **კარლო ანჩელოტიმ** მას მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მისცა სასტარტო შემადგენლობაში თამაშის საშუალება.

შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემმა“ აქამდე ორჯერ შესთავაზა „ჩელსის“ მოდრიჩის სანაცვლოდ ფული. თავიდან „ლურჯები 22 მილიონ ფუნტს იმეტებდნენ, შემდეგ მოუმატეს და 27 მილიონზე ავიდნენ, მაგრამ რედნაპი უარზე იყო. ახლა, შესაძლოა ბენაიუნის კარტმა გაჭრას, მით უფრო, რომ მოდრიჩს ძალიან უნდა ნასვლა, „დეზები“ ფაქტობრივად ძალით აჩერებენ, ამასობაში კი ნახევარდაცვაში საქმე ცუდად არის: **სტივენ პიენაარს** საზარდული აწუხებს და ახალი სეზონის ექვს კვირას გამოტოვებს, **სანდროს** კი მუხლი სტკივა და ბრაზილიაში დარჩა. მან ტრავმა „კოპა ამერიკას“ დღეებში, ბრაზილიის ნაკრების ვარჯიშზე მიიღო.

ილია ბაბუნაშვილი

● ამბები

ჰილდებრანდი ევიანში?

ლისაბონის “სპორტინგისა” და გერმანიის ნაკრების ყოფილი კარის დარაჯი **ტიმო ჰილდებრანდი** შეიძლება ლიგა 1-ის დებიუტანტ “ევიანში” აღმოჩნდეს, - გვამცნობს “ფრანს ფუტბოლი”. 32 წლის გერმანელი უკვე იმყოფებოდა კლუბის ბაზაზე და ნანახით კმაყოფილი დარჩა. ტიმომ კლუბს პასუხი უახლოეს დღეებში უნდა გასცეს. ოდესღაც **ოლივერ კანის** პირდაპირ მემკვიდრედ წოდებულ “ტიმონატორს” 2008 წელს “ვალენსიაში” გადასვლის შემდეგ კარიერა აერია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ “ჰოფენჰაიმსა” და “სპორტინგშიც” კი ვერ შეძლო დამკვიდრება. ჰილდებრანდი უკვე 3 წელია ისეთ კლუბს ეძებს, სადაც მეორე სუნთქვა გაეხსნება და დიდ ფეხბურთში დაბრუნებას თუ არა, კარიერის ღირსეულად დასრულებას მაინც შეძლებს.

თურანი ატლეტიკოში

მადრიდის “ატლეტიკოს” პრესსამსახურის ცნობით, “როხიბლანკომ” “გალათასარაისთან” **არდა თურანის** 12-მილიონიანი ტრანსფერი შეათანხმა და 24 წლის თურქი მომავალ ოთხ სეზონს “ვისენტე კალდერონზე” გაატარებს. პროფესიული კარიერა თურანმა 16 წლისამ დაიწყო. “გალას” გარდა მას “მანიასასფორის” ღირსება დაუცავს, გარდა ამისა თურქეთის ასაკობრივ ნაკრებებში მას 78 (!) მატჩი ჩაუტარებია, ეროვნულ გუნდში კი უკვე 44 შეხვედრა მოასწრო.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

პეტრიაშვილის პირველი

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჩვენი ნაკრებისთვის ვარშავაში დასრულებული ევროპის პირველობის გუშინდელი დღე ფრიად წარმატებული აღმოჩნდა - 5 ფალავანიდან სამმა მედალი მოიპოვა, ყველამ სხვადასხვა სინჯისა. ევროპის ჩემპიონი მძიმეწონასანი **გენო პეტრიაშვილი** გახდა, **ომარ გურჯიძე** (63) მეორეზე გავიდა, **შოთა ფარტენაძე** (54) - მესამეზე. ამას წინა დღეს **შოთა ფანცულაიას** (50) მიერ მოპოვებულ;ი ვერცხლიც უნდა დავუმატოთ ანუ ჩვენმა ნაკრებმა პირველობა თითო ოქრო-ბრინჯაოთი და ორი ვერცხლით დაამთავრა.

გენო პეტრიაშვილმა ამ შეჯიბრებამდე ევროპის პირველობაზე ახალგაზრდებში გამოსვლაც მოასწრო და ბრინჯაოც მოიპოვა. ის ამ ტურნირზეც ფავორიტად მიიჩნეოდა და არც გასჭირვებია გამარჯვება. ამ წონაში ისედაც სულ 12 მონაწილე მოგროვდა, ჩვენებურს კი იმ მხრივაც გაუმართლა, რომ ცხრილის ზედა ნაწილში მოხვდა და ერთი წრე აიცილა თავიდან. მან სამივე მეტოქეს იოლად მოუგო, თუმცა უნგრელი **ალექს ბაცსი** და ბულგარელი **მარიან ტოდოროვი**, უბრალოდ, გადათელა - პირველს ჯამში 13:0 მოუგო, მეორეს - 12:0. როცა ოთხივე პერიოდს ქულებით სუფთად იგებ, თან არც ერთ ქულას არ კარგავ, ბრწყინვალე შედეგია!

ფინალში მისი მეტოქე აზერბაიჯანელი **რუსლან გაჯიევი** იყო, რომელმაც, ერთი შეხედვით, ცოტა უფრო ძლიერი ჯგუფი გაიარა - რუსი, პოლონელი და თურქი მეტოქეები დაამარცხა. ფინალი თითქოს უფრო ენერგიულად გაჯიევმა დაიწყო, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ ეს მოჩვენებითი აქტიურობა იყო, ხოლო ლეიბზე მოვლენებს პეტრიაშვილი აკონტროლებდა. ის იქნებ ბევრს არ მოძრაობდა და არც ქარივით დაქროდა აქეთ-იქით, მაგრამ არ აკეთებდა ზედმეტ მოძრაობებს, უშეცდომოდ იცავდა თავს და მეტოქეს ერთხელაც კი არ მისცა ქულის გაკეთების რეალური შანსი. პირველ პერიოდში პეტრიაშვილი კარგად შეუხტა ფეხში, თუმცა ქულის გაკეთებაზე მეტად აქცენტი მინოლაზე გააკეთა და გაიყვანა კიდეც წრიდან. მალევე კიდევ ერთხელ წაეტანა ფეხში და ამჯერად ჩოქბჯენში გადაიყვანა. პერიოდიც ასე მოიგო - 2:0. მეორე პერიოდშიც ასე ძალდაუტანებლად და ისევ ფეხში შესვლებით ორჯერ მოიპოვა თითო ქულა და შეხვედრაც უდავიდარაბოდ მოიგო. მთლიანობაში, მან ძალიან დაკვირვებით და ჭკვიანურად იჭიდავა. რამდენჯერაც შეუტია, არც ერთხელ დაუცილებია მიზნისთვის და ყოველთვის ქულა მოიპოვა. გაჯიევს დგომიდან ხომ არც უცდია ფიზიკურად ძლიერი ქართველის გადაგდება, ვერც ფეხში შესვლა მოახერხა. ერთი-ორჯერ კი წაატანა ხელი, მაგრამ პეტრიაშვილმა ამას ყოველთვის კარგად დამუშავებული კონტრილეთი დაახვედრა - ხელით მამინვე დაუჭერდა ხოლმე ფეხს და მეტოქე განეიტრალებული ჰყავდა. ბოლო შეტევაც ასე გაილია - გენოს გაჯიევი ტერფით ისე საიმედოდ ჰყავდა ჩაბღუჯული, ის ფართხალს ძლივს ახერხებდა, არათუ ილეთს. სირენამდე 20 წამით ადრე პეტრიაშვილმა მწვრთნელის სკამზე მჯდარ პირად დამრიგებელ **ნუგზარ სხირელს** გახედა და იმანაც მყისვე ანიშნა, გეჭიროს, ყველაფერი კარგადა�ა. მართლაც ასე გაილია დრო და ახალგაზრდა ტალანტმა პირველი ევროპული ჯილდო მოიპოვა.

გურჯიძემ ძლიერად დაიწყო ჩემპიონატი, თუმცა ფინალში მეტი მართებდა. პირველი სამი შეხვედრა მან დიდი ანგარიშით მოიგო. ამათგან ორში - პოლონელ მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ **ნათანიელ ოსტროვსკისთან** და ებრაელ **ემრაჰ გასანოვთან** ერთნაირი სხვაობით, 3:0, 8:1 იმარჯვა, მოლდოველ **ალექსანდრუ ბუზულანს** კი 2:0; 7:1 აჯობა. ნახევარფინალში პირველი პერიოდი დათმო და დამატებითი დრო დასჭირდა აზერბაიჯანელ **გაჯიმურად ომაროვთან**, თუმცა მომდევნოებში მოწოდების სიმაღლეზე დადგა და ფინალში გავიდა. ვერ ვიტყვი, რომ ფინალში **ომარაშხაბ ნაჟმუტდინოვი** მას საგრძნობლად აღემატებოდა, მაგრამ ჩვენებურს ცოტა მეტი შემართება, ცოტა მეტი მონდომება რომ გამოეჩინა, ვინ იცის, იქნებ ისიც ჩემპიონი გამხდარიყო. პირველ პერიოდში გურჯიძემ ძალიან იოლად შეუშვა ფეხში - იმ პერიოდში მოშვებულ-მოდუნებული ჩანდა და ქულის გადარჩენა ვერ შეძლო - რუსმა იოლად გაიყვანა წრიდან. ჩამორჩენამ ჩვენებური თითქოს გამოაფხიზლა, მეორეში უფრო აქტიურობდა და ფეხში შესვლაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. მეტიც - მეორე ცდაზე რუსმა იქით გადაიყვანა ორქულიანზე. ამას ჩვენი გუნდის თავკაც **თამაზ ბენდიანიშვილის** პროტესტი მოჰყვა, თუმცა საამისოდ არც ისე რეალური საბაბი ჰქონდა. იქნებ რუსისთვის ქულის მიცემა მართლაც საკამათო იყო, მაგრამ ფაქტია, რომ თავისი წამონყებული იერიშით ვერც გურჯიძემ ისარგებლა და შუა შეტევისას უმწეოდ გაჩერდა. პროტესტი არც მსაჯებმა დააკმაყოფილეს და ქულითაც დაგვსაჯეს.

გურჯიძისგან განსხვავებით, მედლისთვის გადამწყვეტი შეხვედრა აღმავლობით ჩაატარა ფარტენაძემ. თურქ **ემრაჰ გულთან** და ბულგარელ **მუჰამედ მაჰმუდთან** დამაჯერებელი მოგებების შემდეგ ის ნახევარფინალში აზერბაიჯანელ **ფარვიზ იბრაჰიმოვთან** დამარცხდა, დამამშვიდებლის ფინალში კი ულაპარაკოდ დაჯაბნა ბელარუსი **დზიანის მაქსიმაუ**. პირველ პერიოდში ფარტენაძემ ისე იოლად მოიპოვა სამქულიანი, გეგონებოდა, ვარჯიშზე აკეთებდა სასწავლო გდებებს, მერე კი კიდევ ერთხელ დააგდო 3-იანზე. მეორე პერიოდში მეტოქე ისე გაცხარდა, უხეშობისთვის მსაჯებმა ქულითაც დასაჯეს, თუმცა ჩვენებური მანამდეც უგებდა და იმის შემდეგაც გაუკეთა ერთი ქულა.

ჩვენი გუნდიდან გუშინ უმედლოდ **რამაზ დარჩიძე** (46) და **გიორგი ჩხარტიშვილი** (76) დარჩნენ. მათ სანუგეშოში გადასვლის საშუალებაც არ მიეცათ.

გენო პეტრიაშვილი

კვარცხლბეკი

46 კგ. 1. რუსლან გასიმოვი (აზერბაიჯანი); 2. რომან ვალტერი (გერმანია); 3. ვადიმ საგულტანი (მოლდოვა). ტომაშ ოგონოვსკი (პოლონეთი); **12. რამაზ დარჩიძე (საქართველო).**

54 კგ. 1. გორ ოგანესიანი (უკრაინა); 2. ფარვიზ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი); **3. შოთა ფარტენაძე (საქართველო),** ნიკო ზარკონე (გერმანია).

63 კგ. 1. ომარაშხაბ ნაჟმუტდინოვი (რუსეთი); **2. ომარ გურჯიძე (საქართველო);** 3. ანდრეი კარპაჩი (ბელარუსი), გაჯიმურად ომაროვი (აზერბაიჯანი).

76 კგ. 1. ფატიჰ ერდინი (თურქეთი); 2. ორხან შარიპოვი (აზერბაიჯანი); 3. მრაზ ჯაფარიანი (უკრაინა), მაგომედშამილ გაჯიევი (რუსეთი); **9. გიორგი ჩხარტიშვილი (საქართველო).**

100 კგ. 1. გენო პეტრიაშვილი (საქართველო); 2. რუსლან გაჯიევი (აზერბაიჯანი); 3. ნაზმი შაჰინი (თურქეთი), მარიან ტოდოროვი (ბულგარეთი).

ირაკლი თავაძე

● ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი ქაბუკებში

ქართველთა კიევური წილი

დღეს კიევში მსოფლიოს პირველობა იწყება ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც ჩვენი ნაკრები სრული შემადგენლობით გამოვა. ზაფხულის განმავლობაში ამ ასაკის ძიუდოისტებმა ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში იასპარეზეს - ევროპის ჩემპიონატსა და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში. შეიძლება ითქვას, კიევში წილისყრამ ჩვენებს გაუმართლა, რადგან იშვიათი გამონაკლისის გარდა, საწყის ეტაპებზე არც ამ შეჯიბრებების მედალოსნებს ხვდებიან, არც - იმ ტურნირებიდან უკვე ნაცნობ მეტოქეებს და არც ისეთი ძლიერი საჭიდაო ქვეყნების წარმომადგენლებს, როგორიცაა იაპონია, კორეა, ჰოლანდია და ამგვარები. თუმცა ეს ჩვენებურთა მაღალმა რეიტინგებმაც განაპირობა - **გიორგი ვაზაგაშვილის** შეგირდები ყველა ტურნირში ფავორიტები იყვნენ.

გუნდის დებიუტანტი **გიორგი კაციაშვილი** (50) პირველ შეხვედრას ოლიმპიური ფესტივალის სომეხ ბრინჯაოს პრიზიორ ვაჰან ჰოვსეპიანს ხვდება, ამათში გამარჯვებულს კი მეორე წრეში მოლდოველი **დუმიტრუ მიტროფანი** ელოდება. ამავე ჯგუფში არიან ფრანგი ევროპის პრიზიორი **ლუის მასი** და აზერბაიჯანელი **სადიხ მაჰარამოვი**, რომელიც ორივე შეჯიბრებაში მეხუთეზე გავიდა. **ზვიად ხუბულური** უზბეკ **ჰოჯიაკბარ ოლიმოვს** ხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი ეგვიპტელ **ალი აიდის** დაეჭიდება. მის ჯგუფშია ფრანგი ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ფესტივალის ბრინჯაოს მედალოსანი **ვალიდ ხიარი**, ოღონდ ის მეოთხედფინალამდე ვერ შეხვდება ჩვენებურს.

ევროპის ჩემპიონი **ივანე მამისაშვილი** (55) ყაზახ **იერლან სერიკბანოვთან** დაწყვილდა, ხოლო თუ მას მოუგებს, კანადელ **გუიორგიუ პოკლიტარს** შეხვდება. ამ ჯგუფშია ოლიმპიური ფესტივალის ბრიტანელი ვიცე-ჩემპიონი **სამუელ ჰალი**, ვისაც ჩვენებურმა ევროპაზე მოუგო. ამავე წონაში **გივი აფაქიძეს** მეტოქედ ტაჯიკი **კომრონ მამადნაზაროვი** ერგო.

60-ში ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ფესტივალის ბრინჯაოს მედალოსანი **თამაზ კირაკოზაშვილი** პირველივე წრიდან ჩაებმება ტურნირში მონღოლ **მუნგუნშაგაი ბაატართან** შეხვედრით, ხოლო თუ მოუგო, ძიუდოსთვის ეგზოტიკური ქვეყნის - პალესტინის წარმომადგენელ **აჰმედ ამირენს** შეხვდება. **გიორგი გუგულაშვილის** მეტოქე ამერიკელი **უესლი დანცელერია**. ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოსან **გიორგი მუზაშვილს** (66) პირველ მეტოქედ ჩეხი **ფრანტიშეკ სმელიკი** ერგო, ხოლო **აპოლონ ზურაბიანს** ამავე წონაში - ყაზახი **სალამატ ჟურკაბაიევი**. ამათში მოგებულს მეორე წრეში აზერბაიჯანელი ევროპის ბრინჯაოს და ფესტივალის ვერცხლის მედალოსანი აზერბაიჯანელი **ჰუსეინ რაჰიმლი** ელოდება. 73-ში ევროპისა და ფესტივალის მესამე პრიზიორი **ლევან გუგავა** უკრაინის სახელით მოასპარეზე თანამემამულე **თამაზ მუთოშვილს** ხვდება, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ ჩვენი სახელით ჭიდაობდა. აქ **ბექა დონღვანი** ამერიკელ **რიკარდო მენდესთან** დაწყვილდა.

81-ში ჩვენი მთავარი იმედი **ბექა ღვინიაშვილი** გამოდის, ვინაც წლეულს ორივეგან ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, კიევში ბიჭებში ერთადერთია, ვინც დუბლით დაიკვეხნის. ის პირველ წრეში თავისუფალია და ყაზახი **აბდრახმან მირზაკმეტისა** და კორეელ **იონგილ კიმის** შეხვედრას დაელოდება. **ჯაბა კაპანაძე** ასპარეზობაში მეორე წრიდან ჩაებმება და რუს ოლიმპიური ფესტივალის პრიზიორ **ალექსანდრ პეტრუნიას** შეხვდება. ამათ სიახლოვესაა უკრაინელი **ბოგდან ზუსკოც**, ვისაც ღვინიაშვილმა ევროპის ფინალში მოუგო. 90-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **შალვა ჩოჩელს** სერბი **ნემანია ნიკოლიჩი** ერგო, ამავე ჯგუფშია რუსი ფესტივალის მესამე პრიზიორი **აჰმედ მაგომედოვი**. ნიკოლიჩს ევროპაზე **გურამ თუშიშვილმა** მოუგო, რომელიც მერე მესამეზე გავიდა. თუშიშვილი ამ ჩემპიონატსაც რუს ალექსანდრ გრაჩევთან შეხვედრით იწყებს, ვისაც ევროპაზეც პირველ წრეში მოუგო.

მძიმე წონაში **ზაზა ხუბულური** კორეელ ჰიუნბინ ჩოს შეხვდება, ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ფესტივალის ბრინჯაოს მედალოსანი **გიორგი ლაზუაშვილი** მეორე წრეშია გასული, სადაც ფრანგ **სიმონ ჰამელს** შეხვდება, ჯგუფში კი ერთი ნაცნობი მეტოქეც ჰყავს - ევროპაზე დანამარცხები რუსი **ალექსი საპუნოვი**.

გოგოების ტურნირში ოთხი მონაწილე გვყავს. **გურანდა შოთაძე** (48) მეორე წრეშია, სადაც თურქი **ნაზლი კარაკაიასა** და მონგოლი **კულან ცერენბაატარის** შეხვედრის გამარჯვებულს დაელოდება. **მარიამ ციხელაშვილი** (52) ფრანგ ევროპის პრიზიორ **მეგან მატეს** ეჭიდავება, ამ გუნდის მთავარი იმედი **მარიამ ჯანაშვილი** (57) კი - ეგვიპტელ **ნოურან ოსამას** მეორე წრეში. **ანი მინდიაშვილს** (63) მეტოქედ თურქი **ჰულია უილანცი** ერგო.

ირაკლი თავაძე

● წყალბურთი

საქართველო VS რუმინეთი

პირველი მატჩი პირველ ოქტომბერს თბილისში გაიმართება

ლუქსემბურგში - ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის (LEN) შტაბბინაში გუშინ წყალბურთელ ვაჟთა 2012 წლის კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული ეროვნული გუნდების საპლეიოფო წილისყრა გაიმართა, რომელმაც 12 ნაკრები დააწყვილა. ორრაუნდიან პაექრობებში გამარჯვებული 6 გუნდი გაისად იანვარში ფინალურ ეტაპზე მოსინჯავს ძალებს, რომელსაც ჰოლანდია უმასპინძლებს.

LEN-ის პრეზიდენტის **ნორი კრუხტენის** ხელმძღვანელობით გამართულმა წილისყრამ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის თავკაცი **ალექსანდრე ბითაძეც** ესწრებოდა, საქართველო რუმინეთს შეახვედრა. პირველი მატჩი 1 ოქტომბერს თბილისში გაიმართება. განმეორებით ორთაბრძოლას 29 ოქტომბერს ბუქარესტი უმასპინძლებს. დანარჩენი 5 საგზურისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **გერმანია-მალტა, საბერძნეთი-სლოვაკეთი, საფრანგეთი-მაკედონია, რუსეთი-ესპანეთი, სლოვენია-თურქეთი.**

გუშინვე ლუქსემბურში ალექსანდრე ბითაძეს შევეხმიანეთ: „კარგია, რომ წილისყრამ გერმანიას და ესპანეთს არ შეგვახვედრა, სადაც ყოველგვარი შანსი დაკარგული გვექნებოდა, ცუდია, რომ რუსეთს ან თურქეთს არ დავუპირისპირდით. იღბალს ვერსად გავექცევით: რუმინეთის ნაკრები კონტინენტზე ერთ-ერთი უძლიერესია, ევროპის ჩემპიონატების ფინალური ეტაპების უცვლელი მონაწილე. ახლახან შანხაიში დამთავრებულ წყალბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარპატელებმა მე-12 ადგილი დაიკავეს, მათი ლიდერი კოლსმინ რადუ კი ბომბარდირი გახდა. ასე რომ, უძლიერეს გუნდთან მოგვიწევს დავა. ამის მიუხედავად, იმედს არ ვკარგავთ. ჩვენც საკმაოდ სოლიდური ნაკრები გვყავს, ბრძოლა შეიძლება და ყველაფერს ვიღონებთ ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად“, - გვითხრა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა.

რუმინელებთან დაპირისპირებამდე საქართველოს ნაკრების წევრები თბილისში 23-25 სექტემბერს ხუთ ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ, ოღონდ საკლუბო გუნდების დონეზე. როგორც გაუწყეთ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელ ვაჟთა გუნდი „ლიგამუსი-თბილისი“, რომლის წევრებიც ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, ევროპის თასზე მეორედ ითამაშებს. ამჯერად დედაქალაქის „ოლიმპიკის“ აუზში ჩვენები უნგრეთის „ჰონვედს“, საფრანგეთის „ოლიმპიკს“, რუსეთის „სანკტ-პეტერბურგს“, ჰოლანდიის „დე ჟილ ლეიდენსა“ და ხორვატიის „მედვეშჩაკს“ უმასპინძლებენ.

„კარგია, რომ ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ შარშან ლენტროფის ჩვენთან გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპს მაღალი შეფასება მისცა და ნება დაგვრთო, ევროპის თასის A ჯგუფის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდს ისევ ვუმასპინძლოთ. ამჯერად ჯგუფში უფრო ძლიერი მეტოქეები გვეყოლებიან. შარშანდელივით ტურნირის ფავორიტია ევროთასების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი „ჰონვედი“. დანარჩენი ხუთი გუნდი კი მეტ-ნაკლებად თანაბარი დონისაა. მაგალითად, გასულ წელს ნიცას „ოლიმპიკს“ თავიდან ვუგებდით, მაგრამ ბოლო პერიოდში დაშვებული უხეში შეცდომების გამო მატჩი დავთმეთ. ცხადია, წლეულს მსგავს ლაფსუსებს არ დავუშვებთ, რვანმისთვის ვიბრძოლებთ, მით უმეტეს, რომ გუნდი გავაძლიერეთ, დავიმატეთ გალაქტიონ ლაითაძე, მოსალოდნელია სხვა ცვლილებებიც. ასე რომ, როგორც ვთქვით, ფაქტობრივად, ხუთი გუნდია მეორე რაუნდში გასასვლელი სამი საგზურის მაძიებელი. უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ. გვერწმუნეთ, რომ იმ საუკეთესო სამეულში „ლიგამუსი-თბილისიც“ იქნება“, - გვითხრა ყოფილმა წყალბურთელმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **სერგო რატიანმა,** რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სპორტის საწყლოსნო სახეობებს კურირებს.

ასე რომ, სპორტის ქართველ გულშემატკივრებს სექტემბრის ბოლო დეკადასა და ოქტომბრის დასაწყისში საინტერესო საწყალბურთო ბატალიები ელით.

ვაჟა დანელია

ქუჩითული სპორტი

● ადამიანი დროში

მიხეილ ბოტვინიკის ურთიერთობები ქართველ მეგობრებთან

ფიქრები საჭადრაკო დაფასთან და მის მიღმა

დასაწყისი ლელო N 186

სტალინის დროინდელი მკვიდრი შენობის სამოთახიანი ბინა ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. სივრცეს ავსებდა მასპინძლის მიერ სანკტ პეტერბურგიდან გადმოტანილი ძველმოდური ავეჯი. სპილენძისფერი კარადის მინით დაცული უჯრებიდან მზირალი ბროლის თასები და ნაირფერი ჯილდოები, მათზე ამოტვიფრული წარწერები თვალწინ გვიშლიდნენ უჩვეულო სამყაროს, ყველაფერს ვერც ჩამოთვლი: პირველი დიდოსტატი საბჭოთა კავშირიდან, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, საჭადრაკო და სამეცნიერო გამოკვლევების, ესეებისა და მოგონებების ავტორი. ანდა, რა შეედრება იმგვარი ხვედრის ცოცხალ აღქმას, რომელიც პიროვნული აღზევების მიღმა უკავშირდება მეცნიერულ ნიადაგზე ახალი სკოლის შექმნას.

მეტადრე ასეთ ფონზე თვალის ერთი შევლებით უბრალოზე უბრალოდ მოგეჩვენებოდათ საშუალო ტანადობის, ძალზე მოძრავი და ენერგიული, სათნო და მიმნდობი ადამიანი. ის არ გაგრძნობინებდათ თავის უპირატესობას, მაგრამ გარკვეულობა წამიერად ჩამოყალიბდა: ერთ მხარეს ვიდექი ცნობისმოყვარე ჟურნალისტი, ხოლო საპირისპიროდ წამდაუწუმ სათვალეს ისწორებდა მოფიქრალი პიროვნება, რომელსაც, არც მეტი და არც ნაკლები, მიხეილ ბოტვინიკი ერქვა.

მიხეილ ბოტვინიკი სამეცნიერო ლაბორატორიაში

ჩვენ ძირითადად განვიხილავდით საჭადრაკო ოლიმპთან არსებულ ვითარებას, მიმდინარე პრობლემებს და დაფაზე მოთამაშე მანქანის შესაქმნელად გაწეულ მუშაობას.

მახსოვს, ჩემს პირველ კითხვას საფუძვლიანი განმარტება მოჰყვა. განსჯაში მორიდებით ჩავერთე და თანამოსაუბრეს ვუთხარი, ეს ისეა, როგორც თქვენ ამა და ამ სტატიაში წერთ-მეთქი. მან ცოტა გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ უმალ დამეთანხმა და სხვა თემაზე გადავედით. სამ-ოთხჯერ ასეთნაირი ჩარევის შემდეგ მასპინძელი დარწმუნდა, რომ მის შემოქმედებას ნაზიარები ვიყავი, ურთიერთნდობამ იმატა და დაძაბულობაც გაქრა.

ბოლოს მან ამომწურავად გამაცნო ჭადრაკის მოთამაშე მანქანის შესაქმნელად ამერიკელი კიბერნეტიკოსების მიღწევები, თავისი პირმშო „პიონერის“ პირველი ნაბიჯები.

- ამჯერად, - ღიმილით მანიშნა მან, - თქვენ ვერ მიუთითებთ შესაბამის წყაროს, რადგან ეს საკითხები განხილული მაქვს ბროშურაში, რომელიც გასაყიდად ჯერ არ გაუტანიათ.

მერე მასპინძელი წამოდგა, უჯრიდან გამოიღო და გადმომცა წიგნი „მოჭადრაკიდან-მანქანისკენ“.

მომავალში ჩემდამი გულთბილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ბიძგი მისცა პირისპირ პირველმა შეხვედრამ და ამის ამსახველი ვრცელი მასალის გაზეთ „კომუნისტში“ ოპერატიულად გამოქვეყნებამ. მოსკოვში მცხოვრები ქართველების დახმარებით ის ინტერვიუს სიტყვა-სიტყვით გაეცნო და დადებითად შეაფასა.

მას ახასიათებდა ჭადრაკისადმი და ცხოვრებისეული მოვლენებისადმი მეტისმეტად სერიოზული მიდგომა. ამიტომაც გაურბოდა ელვისებურ პარტიას, ერთდროული თამაშის სეანსს, ბლიცტურნირს, დაფაზე დაუხედავად თამაშს და სხვა ამგვარ სახალისო გამოგონებას, რასაც ხშირად ცნობილი მოჭადრაკეებიც კი მიმართავდნენ, რეკორდების დასამყარებლად თუ სარფიანი გასამრჯელოს მისაღებად.

საფიქრებელია, მეგობრებსაც ასევე თავისებური კრიტერიუმებით არჩევდა.

მახსენდება ჩვენი ბოლო შეხვედრა 1991 წლის აგვისტოში. ცენტრალური საჭადრაკო კლუბის რკინის გისოსებით შეჭედილ მომცრო ოთახში იდგა ძვირადღირებული კომპიუტერები, რომელთა მეშვეობით მეცნიერებათა დოქტორი სამანქანო პროგრამას ამუშავებდა. მის გვერდით ფუსფუსებდნენ ახალგაზრდა ინჟინრები, ერთი ქალბატონი და ორი ვაჟი. წუთიერი შესვენებით ვისარგებლეთ და ქართულ კონიაკს გემო გავუსინჯეთ. როცა სიტყვა პოლიტიკაზე ჩამოვარდა, შევკამათდით. ოთხნი ერთ ბანაკში აღმოვჩნდით, ხოლო ცალკე მდგომი დიდოსტატი ყველას გვიმკლავდებოდა. ის უკვე საფუძველშერყეული წყობის როგორღაც გაკეთილშობილებას ცდილობდა, საკუთარ შემოქმედებას ჩვენი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ ამ ყოფის პროდუქტად მიიჩნევდა. თანაც არ გაურბოდა საკუთარ და თაობის პასუხისმგებლობას, რაც დღემდე პარადოქსულად ჟღერს.

საერთოდ, ცნობილია მისი პირდაპირობა და შეუვალობა. კერძოდ, თავის დროზე ფაქტობრივად უარი თქვა სტალინური პრემიის ლაურეატობაზე, რადგან ამის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის შემქმნელთა მეთაურად უნდა დაესახელებინათ სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელი. - ეს როგორ შეიძლება, პროგრამა ხომ მისი ხელმძღვანელობით არ დამუშავებულა? - თქვა მან და პრემიასაც გამოეთხოვა.

მსოფლიოს ჩემპიონი 1952 წელს ძალზე გაანაწყენა იმან, რომ სპორტის ვაიხელმძღვანელებმა ახირებულ მოსაზრებათა გამო არ შეიყვანეს ჰელსინკში საჭადრაკო ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ ნაკრებში. ცოტა ხნის შემდეგ მსგავსი ხიფათი მიხეილ ტალსაც დაემუქრა, მაგრამ ის უფროსი მიხეილის გამოსარჩლებამ იხსნა. სწორედ ამას ჰქვია სხვისი ჭირის გაზიარება და სამართლიანობისთვის ბრძოლა.

ერთხელ გაზეთმა „პრავდამ“ მისი მორიგი პოლემიკური წერილიდან ავტორის დაუკითხავად რამდენიმე წინადადება ამოიღო და მკითხველს ისე წარუდგინა. მ. ბოტვინიკი ამან ისე გააბრაზა, რომ მრავალი მიწვევის მიუხედავად, ამ რედაქციას აღარ გაჰკარებია.

მით უმეტეს, დასაფასებელი გახდა ჩემდამი ნათქვამი მისი სიტყვები: ჩაწერე რაც გსურს, მე შენ აბსოლუტურად გენდობიო. რაღა თქმა უნდა, მანამდეც და ამის შემდეგაც მე მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი მისეული გამონათქვამებისა და დასკვნების სიზუსტით გადმოცემას, ასევე იმ ღირებულებებისადმი ერთგულებას, რომლებსაც მისი მეობა ამკვიდრებდა.

შიო ლარცულიანი

გაგრძელება იქნება

ლოგოს წესმოგიდგენთ ქუჩითული სპორტის ქრონიკები

ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

ტარიელ ჟღენტი

დაიბადა 23.02.1945, თბილისი. სასტენდო სროლა, (მრგვალი სტენდი). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1971, 73-74), მეორე (1983) და მესამე პრიზიორი (1981), ევროპის ორგზის ჩემპიონი პირად პირველობაში (1973, 81) და ხუთგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 73-74, 81, 84), ორგზის მეორე პრიზიორი (1975, 82 - ორივე გუნდურში), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1968, 78, 83), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1971). მსოფლიოს ოთხგზის რეკორდსმენი. 1973 წელს დაამყარა მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდი (200 შესაძლებლიდან 200 ქულა). საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-იდან). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სათავეები

ტაეკვონდო

საქართველოში ტაეკვონდო დაინერგა 1991 წელს. ამ საქმეს სათავეში ედგა **ავთანდილ მიქაძე,** რომელიც წლების განმავლობაში რუსეთის ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდა და მეხუთე დანი მოიპოვა. ტაეკვონდოს ჯგუფები (კაცებისა და ქალების) გაიხსნა თბილისში, ხაშურში, წყალტუბოში, ბათუმში, ფოთსა და ახალქალაქში. 1993 წლიდან რეგულარულად ტარდება საქართველოს ჩემპიონატი, 1995 წლიდან კი საქართველოს ნაკრების წევრები ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებსა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობენ. 1997 წელს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის მოეწყო სემინარები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ტაეკვონდოს ევროპის კავშირის ტექნიკური დირექტორი, მეცხრე დანის მფლობელი, დოქტორი სეო მინონ სოო. 2003 წლიდან თბილისში ტარდება საერთაშორისო ტურნირი. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 2000 წლიდან (კაცები, ქალები).

საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაცია. დაფუძნდა 1993 წელს. 1995 წლის ნოემბრიდან ტაეკვონდოს მსოფლიო ფედერაციისა (WTF) და ევროპის ტაეკვონდოს კავშირის (ETU) წევრია.

ვიქტორინა

1. ტრაბზონში 2011 წლის ევროპის ახალგაზრდული თამაშების გახსნის აღლუმზე საქართველოს დელეგაციის გამოჩენისას დიქტორმა გამოაცხადა: „მივესალმოთ საქართველოს“...

ა — შოთა და არჩილ
არველაძეებს ქვეყანას
ბ — ფალავნების ქვეყანას
გ — ზაზა ფაჩულიას ქვეყანას

2. რომელი წლიდან გამოდის აშშ-ს სახელით მშვილდოსანი ხათუნა ქვრივიშვილი?

ა — 2002 წლიდან
ბ — 2005 წლიდან
გ — 2007 წლიდან

3. რომელი იყო მგეზავ მერაბ კვირიკაშვილის პირველი ფრანგული სარაგბო გუნდი, სადაც მან დაიწყო თამაში?

ა — „ბრივი“
ბ — „ბეზიე“
გ — „პო“

4. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, რომელი უცხოელი მწვრთნელი გახდა მართლმადიდებელი?

ა — ივო შუშაკი
ბ — ანჰიუნ სანი
გ — პიტერ ზაიზენბახერი

5. საქართველოს 20 წლამდელ ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა ვიქტორ სანიკიძის კაპიტნობით რომელ წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური?

ა — 2006 წელს
ბ — 2008 წელს
გ — 2009 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ბ, 5-ბ.

თარიღი

11-17 აგვისტო

11. 1979 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა მოსკოვში, ლუჟნიკების სტადიონზე ადგილობრივ „დინამოს“ სსრ კავშირის თასის ფინალში (0:0) პენალტებით სერიაში 5:4 სძლია და ჯილდოს მეორედ დაეუფლა.

11. 1888 წ. დაიბადა **გიორგი ნიკოლაძე** - მრავალმხრივი სპორტსმენი, მეცნიერი. გარდაიცვალა 1931 წელს.

11. 1947 წ. დაიბადა **სერგეი კავალენკო** - კალათბურთი.

11. 1938 წ. დაიბადა **დავით დავითაია** - მოჭიდავე, მწვრთნელი.

11. 1980 წ. დაიბადა **დავით მარგოშვილი**-ძიუდო.

12. 1944 წ. დაიბადა **ომარ ფხაკაძე**-ველოსპორტი. გარდაიცვალა 1993 წელს.

13. 2008 წ. პეკინში ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონები გახდნენ **ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო) და **მანუჩარ კვირკველია** (ბ/რ ჭიდაობა).

14. 2004 წ. პეკინში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი მოიპოვა ძიუდოისტმა **ნესტორ ხერგიანმა.**

14. 1997 წ. დაიბადა **ბესიკ ხამაშურიძე** - რაგბი.

15. 1954 წ. დაიბადა **რუსუდან სიხარულიძე** - ტანვარჯიში.

15. 1971 წ. დაიბადა **მუხრან გოგია** - ძალოსნობა.

16. 1975 წ. დაიბადა **ემზარ ბედინეიშვილი** - თავ. ჭიდაობა.

16. 1928 წ. დაიბადა **ლევან სანაძე** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1998 წელს.

16. 1947 წ. დაიბადა **გურამ ნასყიდაშვილი** - საბაიდარო სლალომი.

16. 1950 წ. დაიბადა **გია აბესაძე** - ხელბურთი.

17. 1939 წ. დაიბადა **რამაზ ურუშაძე** - ფეხბურთი (მეკარე).

17. 1936 წ. ფეხბურთში სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების მეოთხედფინალში თბილისის „დინამომ“ მოსკოვში „სპარტაკთან“ 3:3 ითამაშა.

პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი ქალი ევროპიდან, რომელმაც მშვილდოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, არის **ქეთევან ლოსაბერიძე.** ამ წარმატებას ქართველმა ჩუბინმა 1980 წელს მიაღწია მოსკოვში გამართულ XXII თამაშებში.

პირველმა ბეისბოლში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საქართველოდან გაიარა **გელა ჩიხრაძემ.** იგი ამ მიზნით 1986 წელს იმყოფებოდა აშშ-სა და კუბაში.

პირველად საქართველოში მეკლდეურთა შეჯიბრება ჩატარდა თბილისში 1948 წელს.

ჯროსვორდი



თარაზულად: 3. პარტიის ნანილი ჩოგბურთში; 6. საფეხბურთო ამპლუა; 7. დედამიწის სიმაღლით მეოთხე მწვერვალი; 9. ერთ-ერთი შეფასება ძიუდოში; 10. შუამარბი ფეხბურთში; 11. მნვერვალი მესტიაში; 14. თბილისის "დინამოს" წლევანდელი უელსელი მეტოქე უეფას ლიგაზე; 15. მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი ... ცალქალამანიძე; 17. ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი 1924 წელს; 18. სიღნაღის საფეხბურთო გუნდი; 19. ბოლნისის საფეხბურთო კლუბი; 20. გულშემატკივრების გამაყრუებელი ხმაური; 24. თბილისის საფეხბურთო კლუბი 1990-იან წლებში; 25. ვიქტორ სანიკიძის უცხოური კლუბი; 27. ბორჯომის საფეხბურთო კლუბი; 30. ვეტერანი ქართველი ნიჩბოსანი ავერი ...; 31. წლეულს "ზესტაფონის" მოლდავური მეტოქე; 32. თბილისის "დინამოს" მეკარე; 33. გარდამავალი სპორტული პრიზი.

ზვეულად: 1. საჩხერის საფეხბურთო კლუბი; 2. პლატბურთში გიას მეწყვილე; 3. ქართველი ალპინისტი, ორგზის "თოვლის ჯიქი"; 4. წარსულში თბილისის "დინამოს" ბერძენი ნახევარმცველი; 5. სიმაღლეზე ხტომაში გრძელი ლატანი; 6. დოღი გრძელ მანძილზე; 8. ძველი დროის ქართველი ფალავანი; 12. გურჯაანის საფეხბურთო გუნდი; 13. იხ. სურათი: ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი; 14. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, მარჩელო ... ; 16. სპორტული ნაწარმის ფირმა; 19. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველი, ამირან ...; 21. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი უცხოელი მწვრთნელი; 22. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 23. ყოველწლიური ჯილდო საუკეთესო მოჭადრაკისთვის; 26. ავტორბოლის მარშრუტი; 28. ვეტერანი ფეხბურთელი ... თეთრაძე; 29. გატანილი ბურთი.

ქადრაკი

ფავორიტები ბრძოლას გაურბიან

ბაქოს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში 2700-იანი კლუბის ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობს. მათგან ოთხმა გუშინ მე-5 ტურში მძაფრ ბრძოლას თავი აარიდა და ყაიმს დასჯერდა, მხოლოდ ერთმა იმარჯვა - კუბელმა პერეს დომინგესმა (2719) და მანაც ქართველი საერთაშორისო ოსტატი **გიგა ყუფარაძე** (2467) დაამარცხა. დაზავდნენ სამ-სამქულიანი მოჭადრაკეები: ელთავჯ საფარლი (აზერბაიჯანი, 2622)-შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2765), სერგეი ვოლკოვი (რუსეთი, 2607)-ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2724), **თორნიკე სანიკიძე** (2525)-ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2711), ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2700)-ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა, 2646), **დავით მაღალაშვილი** (2463)-რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი, 2679), ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი, 2669)-**მიხეილ მჭედლიშვილი** (2618). ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **გაიოზ ნიგალიძე** (2448) და **მერაბ გაგუნაშვილი** (2588).



გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს **სალომე მელიამ** და **ბაჩანა მორჩილაშვილმა**, რომლებმაც, შესაბამისად, ამირ კოვსარინიას (ირანი) და ნარმინ ხალაფოვას (აზერბაიჯანი) აჯობეს.

რაც შეეხება მეწინავეთა ოთხეულს, მათი შეხვედრები შედეგიანი გამოდგა: სერგეი ჟიგალკომ (ბელარუსი, 2689) ლაზარო ბატისტა ბრუზონი (კუბა, 2673) დაამარცხა, რუსმა ევგენი რომანოვმა (2624) თანამემამულე დმიტრი ანდრეიკინი (2696) დაამარცხა.

ხუთი ტურის შემდეგ შეჯიბრებას უდანაკარგოდ ჟიგალკო ჩაუდგა სათავეში. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება რომანოვი. 4 ქულით მესამეა ბრუზონი. 15 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს, მათ შორის - მჭედლიშვილს, სანიკიძესა და მაღალაშვილს; ნიგალიძემ და გაგუნაშვილმა 3-3 ქულა მოაგროვეს, ყუფარაძემ - 2,5, მორჩილაშვილმა და მელიამ - 1,5-1,5 ქულა.

მე-6 ტურში ითამაშებენ: ჟიგალკო-რომანოვი, ბრუზონი-დომინგესი, მჭედლიშვილი-მამედიაროვი, ვალეხო-ნაიერი, დრეევი-საფარლი, მაღალაშვილი-სუტოვსკი, ანდრეიკინი-ვოლკოვი, მამედოვი-სანიკიძე, იორდაჩესკუ-ჩეპარინოვი, გაგუნაშვილი-ჟუკოვა, მამადოვი-ნიგალიძე, ყუფარაძე-აბდულოვი, ხადემალშარი-მელია, ჰუსეინოვი-მორჩილაშვილი.

ვაჟა დანელია

სხვაობა ისევ ქულა-ნახევრამდე გაიზარდა

ქარმელ დიდოსტატ **ნაზი პაიკიძეს** 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე, რომელსაც ინდოეთი მასპინძლობს, დიდი შანსი ჰქონდა ლიდერებთან, თუ არ შეამცირებდა, ერთქულიანი სხვაობა შეენარჩუნებინა. იგი თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა რუმინელ საერთაშორისო ოსტატ ირინა ბულგამას, რომელსაც რეიტინგში 123 პუნქტით უსწრებს. 30-ე სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწიეს ლიდერებმა: რუსმა ოლგა გირიამ კუთა ენდშპილში 72-ე სვლაზე აჯობა პოლონელ კლაუდია კულონს, ხოლო პერუელმა დეიზი კორიმ შავი ფიგურებით 33-ე სვლაზე დააყრევინა ფარ-ხმალი აზერბაიჯანელ გულნარ მამადოვას. გირიასა და კორის 8 შესაძლებლიდან 7-7 ქულა აქვთ და უახლოეს მდევრებს - შვედი ირინა აგრესტის მძლეველ ელენა სემიონოვას (რუსეთი) და ირინა ბულმაგას თითო ქულით უსწრებენ. 5,5 ქულით მე-5 ადგილზეა პაიკიძე, ოღონდ იგი მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტით უსწრებს მეტოქეებს, თორემ ასპარეზობის კიდევ ხუთმა მონაწილემ მოაგროვა 5,5-5,5 ქულა. ოცწლამდელებში საქართველოს ჩემპიონმა **ქეთი ნანალაშვილმა** გუშინ შავი ფიგურებით ბულგარელ ანი კრუმოვას სძლია და 4,5 ქულას მოუყარა თავი.

დღეს მე-9 ტურში მეწინავეთაგან ერთმანეთს შეხვდებიან: ელენა სემიონოვა (6)-ოლგა გირია (7), დეიზი კორი (7)-ნაზი პაიკიძე (5,5), ირინა ბულმაგა (6)-გულნარ მამადოვა (5,5), კლაუდია კულონი (5,5)-როუთ რადმინი (ინდოეთი), ნარმინ კაზიმოვა (5,5)-კუბრა ოზთურქი (5,5), ლხამსურენ უუგანბაიერი (5,5)-ირინა აგრესტი(5)... ქეთი ნანალაშვილი (4,5)-მაე ფრეინა (ფილიპინები, 4,5).

ვაჟთა ტურნირში ლიდერობა დაკარგა ალექს რომბალდონინმ, რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით სომეხ რობერტ ჰოვანისიანთან ნააგო. ეს უკანასკნელი 7 ქულით მეწინავეობს. ასევე, 7 ქულა აქვს ინდოელ გირიკ კუშიკს, რომელმაც შვედი ნილს გრანდელიუსი დაჯაბნა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს რომბალდონი და სამველ ტერ-საჰაკიანი ინანილებენ. ოთხ მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს. დღეს სწორედ ამ რვა მონაწილის დაპირისპირება ინვევს დიდ ინტერესს. ისინი ასე დაწყვილდნენ: გირიშ კუშიკი (7)-რობერტ ჰოვანისიანი (7), სამველ ტერ-საჰაკიანი (7)-ივან ლოპეს სალგადო (6), ალექს რომბალდონი (6,5)-დარიუშ სვიერჟი (6), ვასიფ დურარბეილი (აზერბაიჯანი)-ედჰიბანი (6).

შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

რევანშის შანსი მეორე წრეში

სტამბოლში ჩოგბურთელ ქალთა 10-ათასიანი ტურნირის წყვილთა პაექრობის პირველი ბარიერი გადალახა **სოფიო ქვაცაბაიამ** ბულგარელ იზაბელა შინიკოვასთან ერთად. ინტერნაციონალურმა დუეტმა რუსეთის სახელით მოასპარეზე ეკატერინა წიკლაურსა და იდილ ჰაკირაიფ ოღლუს იოლად აჯობა - 6:0, 6:2. მე-2 წრეში ისინი ბასაკ ერეიდინსა (თურქეთი) და კრისტინა შაკოვეცს (გერმანია) შეხვდებიან. ქვაცაბაიას სტამბოლის წინა ტურნირის ერთეულთა თანრიგში ალემანთან წაგებისთვის რევანშის შანსი ეძლევა.

ვაჟა დანელია

საკალათბურთო დინასტიები

პაპის ახდენილი ოცნება

ნიკა მეტრეველი დღეს ავსტრიაშია და ეროვნულ ნაკრებში ჰოლანდიის ტურნირისთვის ემზადება; **ვაჟა ჯანაშია** „სამედიცინოსთან" ვარჯიშობს; **ვაჟა გვანცელაძე** 50-იან წლებში თბილისის „დინამოსთან" სხვა კალათბურთელებთან ერთად იზიარებდა წარმატებებს.

ჩამოგითვალეთ სხვადასხვა გვარის კალათბურთელები, თუმცა მათ ერთი სისხლი აქვთ - ნიკა მეტრეველი და ვაჟა ჯანაშია ვაჟა გვანცელაძის შვილიშვილები არიან. მოვუსმინოთ პაპას:

- 10 წელიწადი თბილისის „დინამოში" გავატარე და კალათბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. მქონდა ოცნება, ჩემს შთამომავლებსაც ამ გზით ევლოთ, მაგრამ მოცდამ მომინია: რადგან ვაჟი არ მყავდა, მინდოდა ჩემს შვილიშვილებს ეთამაშათ კალათბურთი.

ბატონ ვაჟას ოცნება აუხდა - უმცროსი ქალის ვაჟი, ნიკა მეტრეველი პატარაობიდანვე დაინტერესდა კალათბურთით და 6 წლისა პაპამ სპორტულ სექციაში შეიყვანა. როგორც ვაჟა გვანცელაძე ამბობს, ნიკას წვრთნა ერთხელაც არ გაუცდენია. იგი სხვადასხვა დროს ვარჯიშობდა **გელა წულაძესთან, ზაზა ზამთარაძესთან** და **მიხეილ კობეშავიძესთან**. ბოლოს **ვაჟა კვარაცხელიამ** დაადგა თვალი, ჯერ „სოხუმში" აიყვანა, შემდეგ იტალიისკენ გაუკვალა გზა. ნიკა იტალიაში ჯერ რიმინის „კრაბსში" თამაშობდა, შემდეგ „მონტეპასკისთან" გააფორმა კონტრაქტი და ამ გუნდს იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოაგებინა. 2009-10 წლების სეზონში მეტრეველი „ფერენტინოში" განათხოვრების წესით თამაშობდა, ხოლო გასული სეზონი „კრაბსში" გაატარა. ამ ზაფხულს მან კონტრაქტი გააფორმა იტალიის პირველობის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ „სასარისთან".

ნიკა დეიდაშვილ ვაჟა ჯანაშიას ასე გვაცნობს:

- მანაც ადრე დაიწყო თამაში, მაგრამ მცირე ხნით კალათბურთს თავი დაანება. თუმცა 13 წლიდან მოედანს ისევ დაუბრუნდა და მას მერე დიდი პროგრესი განიცადა. თავიდან ნიკა ცქიტიშვილის ძმასთან და გიგა ჯანელიძესთან ერთად იტალიურ „კრაბსში" ჩაირიცხა, შემდეგ კი ამერიკაში წავიდა და კოლეჯების იუნიორთა ლიგაში ასპარეზობდა. ვაჟა ძალიან მშრომელია, სწრაფია და ფიზიკურადაც კარგად გამოიყურება. მწვრთნელები მას ძირითადად მესამე-მეოთხე ნომრის პოზიციებზე ათამაშებენ.

ნიკა მეტრეველის დახასიათება კი ვაჟა ჯანაშიას ვთხოვეთ:

- იგი 211 სმ სიმაღლისაა და ძალიან მოქნილია. ნიკას პლუსი სროლის სიზუსტეა. შეუძლია სხვადასხვა პოზიციაზე თამაში...

ვაჟა გვანცელაძე განაგრძობს:

- ნიკა საქართველოშიც ბევრს მუშაობდა, მაგრამ მის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იტალიაში ვარჯიშმა. „მონტეპასკიში" მის საწვრთნელ პროცესს მეც ვესწრებოდი და აღფრთოვანებული დავრჩი. ვარჯიშებიდან დანყებული, აღდგენითი პროცესით დამთავრებული, „მონტეპასკიში" ყველაფერი უმაღლეს დონეზეა. ამიტომაცაა ეს გუნდი იტალიის არაერთგზის ჩემპიონი.

პაპას ვკითხეთ, რომელიმე შვილიშვილის თამაში საკუთარ გარჯას თუ აგონებს...

- უფრო ნიკა მგავს. თუმცა, 50-იან წლებში სხვა კალათბურთი იყო: მაშინ გუნდში ყველაზე მაღლები მე და ოთარ ქორქია ვიყავით. იგი 190 სმ სიმაღლისა გახლდათ, მე – 191-ის. დღეს, ამ სიმაღლის კალათბურთელები გამთამაშებლად ირჯებიან. საინტერესოა, რომ ჩატენვები პირველად ამერიკელებთან თამაშში ვნახეთ. მას მერე ჩვენც ვვარჯიშობდით, თუმცა თამაშებისას მაინც იშვიათად ვიყენებდით. დღეს კი ბავშვები პატარაობიდან მუშაობენ ჩატენვებზე, ძალიან მაღლა ხტებიან.

საინტერესოა ისიც, პაპა და შვილიშვილები ერთმანეთის წინააღმდეგ თუ თამაშობენ.

- ვერ დავრბივარ, გული მანუხებს. თუმცა, შვილიშვილებს ყველანაირად ვუწყობ ხელს, რაც შეიძლება მეტი ითამაშონ და განვითარდნენ. ვთვლი, რომ ქალაქში დაბადებული ბავშვი აუცილებლად სპორტით უნდა იყოს დაკავებული, რათა მეტი იმოძრაოს და სწორად განვითარდეს. ჩემს პატარა შვილიშვილსაც თავის ზომაზე დავუყენე ფარი და უნდა ნახოთ როგორი მონდომებით აგდებს, - ამბობს, ვაჟა გვანცელაძე და ისტორიულ პარალელს ავლებს:

- გული მწყდება, რომ ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი კალათბურთის ვიდეოჩანაწერები არ არსებობს. მაშინ ტელევიზია არ იყო. საკუთარ თამაშს არ ვჩივი, დასანანია, რომ შთამომავლობას ოთარ ქორქიას თამაშის ამსახველი კადრები არ შემორჩა. საქართველოს ნაკრები ძველ „დინამოს" მახსენებს: მაშინაც ძალიან ნიჭიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავდა და ჩვენი ლიდერი, ცენტრი ოთარ ქორქია გახლდათ. საქართველოს ამჟამინდელ ნაკრებშიც ძლიერი შემადგენლობაა და ლიდერი ახლაც წინახაზელია - ზაზა ფაჩულია. იმედი მაქვს, რომ ჩვენი გუნდი ლიტვის ევროპის ჩემპიონატზე ჩვეულ სტილში, სწრაფად, ლაღად, ლამაზად ითამაშებს და წარმატებასაც ასე მიაღწევს.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ასოციაციის

ბენეფისი

შეკითხვა ალთთავა - გიგა ბერიძეს, რომელი წლიდან მონაწილეობდნენ სსრკ კავშირის ჩემპიონატებში საქართველოს კალათბურთელთა გუნდები?

ნუკრი ცხადაძე
ქუთაისი

პასუხი: ქართული გუნდები სსრკ ჩემპიონატებში 1934 წლიდან ჩაებნენ. ომამდელ წლებში ყველაზე უკეთ გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივი". 1944 და 1946 წლებში სსრკ ჩემპიონი იყო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, ლეონიდ ძეკონსკი, ბორის სარქისოვი, გივი ახვლედიანი, მიხეილ ფილიპოვი, ოთარ სულაბერიძე და სხვები. შემდეგ ქართულ კალათბურთში ლიდერობდა თბილისის „დინამო", რომელიც 1950, 1953, 1954 და 1968 წლებში სსრკ ჩემპიონი იყო, 1949, 1950, 1951 და 1969 წლებში სსრკ თასის მფლობელი, 1962 წელს კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ქალთა პირველი გუნდები საქართველოში 1930-იან წლებში შეიქმნა. მათგან საუკეთესო იყო თბილისის „ბურევესტნიკი", რომელმაც სსრკ ჩემპიონატში ზედიზედ ორჯერ (1965-66) დაიკავა მეორე ადგილი, 1969 წელს კი თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ამ გუნდში გამოდიოდნენ ელზა დურმიშიძე, ლიანა ქველიძე, ნელი ჯაფარიძე, ციალა ჯანელიძე, მედეა სურგულაძე, ალექსანდრა კოვზირიძე-რუსკინა და სხვები. ქართველ კალათბურთელ ქალთაგან ყველაზე ტიტულიანია ალისა ასიტაშვილი. მან სსრკ ნაკრებთან ერთად ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატში (1954, 56). 1991 წლიდან ქართული კალათბურთი დამოუკიდებლად ვითარდება, 1994 წელს შეიქმნა საქართველოს კაცთა და ქალთა ეროვნული გუნდები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობენ. რამდენიმე ქართველი კალათბურთელი ევროპის ცნობილ კლუბებში თამაშობს, ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია კი აშშ-ის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის გუნდებში გამოდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი

ენდი რობინსონის დრო იწურება

მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ერთ თვეზე ნაკლები დარჩა. მწვრთნელების აბსოლუტური უმრავლესობა რთული არჩევანის წინაშე დგანან. ზოგან დიდი კონკურენციაა და ვერ გაუგიათ, ვინ დატოვონ და ვინ წაიყვანონ. ზოგან კი სერიოზული პრობლემები აქვთ და არ იციან, როგორ მოაგვარონ. ასეთთა რიცხვს, რაგბის შოტლანდიელი ექსპერტის **იან მორისონის** აზრით, განეკუთვნება „სკოტების“ ნაკრები და მისი ინგლისელი თავკაცი **ენდი რობინსონი**.

ახლახან ერთ-ერთ სარაგბო გამოცემაში მორისონმა „ნარშავების“ რიგებში არსებულ ზოგიერთ პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

ბევრი ბამბა პირველი ხაზისთვის

ენდი რობინსონმა რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ბამბა უნდა მოიმარაგოს, რათა შერკინების პირველხაზელ **ალან იაკობსენს** ნაიარევები დაუფაროს - ფიქრობს მორისონი. საქმე იმაშია, რომ შოტლანდიის ნაკრები ჯგუფში, მსოფლიოში საუკეთესო პირველი ხაზით გამორჩეულ გუნდებთან, ინგლისთან, არგენტინასთან და საქართველოსთან მოხვდა.

ეს პოზიცია, იმდენად პრობლემატურია, რომ მარჯვენა ბურჯებს მარცხნივ დგომაშიც ავარჯიშებენ და პირიქით. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ შოტლანდიელებს მსოფლიოზე დიდი ჯაფა დაადგებათ.

დათრგუნული ჯექსონი

შოტლანიის ნაკრების ქომაგებმა უნდა ილოცონ, რომ **რუარიდ ჯექსონი** ცოტა გონს მოეგოს. „სკოტებს“ არ ჰყავთ ექსტრა კლასის მგეზავი, რაც, ცხადია, თავისთავად დიდი პრობლემაა. ამ გუნდს სწორედ ჯექსონი გეზავს, რომელიც თამაშის ზოგიერთ კომპონენტში ძალიან კარგია, თუმცა ბევრ შეცდომას უშვებს.

ირლანდიასთან ამასწინდელ მატჩში მან უხეირო გადაცემით გუნდის ორი სალელოვე შეტევა ჩაშალა. უკანახაზელებმა მეტოქის დაცვის გადალახვა მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეძლეს. ჯექსონი ძალიან დათრგუნული, შებორკილი იყო და თამამ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა. ერთი სიტყვით, თუ რუარიდ ჯექსონმა კალაპოტში ჩადგომა მოახერხა, მაშინ შოტლანდია ნებისმიერ გუნდთან იბრძოლებს, თუ არა და....

მხეცი ჯონი ბითი

გაიხსენეთ 2010 წლის დუბლინი. შოტლანდიის ნაკრების რვა ნომერმა უდიდესი როლი ითამაშა მაშინდელ ნარმატებაში. „სკოტებს“ აუცილებლად სჭირდებათ ჯონი ბითი თავის საუკეთესო თვისებებით. მათ არ ჰყოფნით მოთამაშეები, ვინც ბურთით ხელში მეტოქის ხაზს გაარღვევს. მან აუცილებლად უნდა ითამაშოს ტესტი ჯერ იტალიასთან, მერე ისევ ირლანდიასთან, რათა სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ის გუნდს აუცილებლად სჭირდება.



გზაგასაყარზე: ჩვიდმეტი თუ თექვსმეტი

გუნდების მწვრთნელებს მსოფლიოს თასზე ჩვეულებრივ 16 მორკინალი და 14 უკანახაზელი მიჰყავთ ხოლმე. ახლახან გაირკვა, რომ არგენტინას 17 მორკინალი და 13 უკანახაზელი ეყოლება, კულუარული ინფორმაციით, იმავეს აპირებს ინგლისისა და საქართველოს ნაკრებების მწვრთნელებიც. რა ქნას ენდი რობინსონმა?

რა რეზონი აქვს მსოფლიოს თასზე ხუთი შერკინების ბურჯის წაყვანას, თუ მატჩში მხოლოდ სამის გამოყენება შეიძლება. რობინსონმა უნდა აირჩიოს: თუ ის გადაწყვეტს **ენდი მურეის** ახალ ზელანდიაში წაყვანას, მაშინ გუნდის შემადგენლობაში 17 მორკინალი გამოუვა, თუ არა და, ერთი უკანახაზელი დაემატება, რაც, ვფიქრობთ, უფრო სწორი გადაწყვეტილება იქნება.

აირჩიეთ ნამდვილი კაპიტანი

ამის თქმა გაცილებით იოლია, ვიდრე გაკეთება. კაპიტნის, როგორც გუნდის ნამდვილი ლიდერის დეფიციტი შოტლანდიის ნაკრებს დიდი ხანია აქვს. კანდიდატები, ერთი შეხედვით საკმარისი და, რაც მთავარია, ღირსეულები არიან. მაგალითად, **ალისტერ კელოკი** და **კრის კაზიტერი.** თუმცა აქაც პრობლემაა. კელოკი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, კაზიტერი კი ტრავმირებულია და წავა თუ არა ახალ ზელანდიაში, ჯერაც უცნობია.

დარჩა ერთადერთი კანდიდატურა, **რორი ლოუსონი,** რომელიც კაზიტერს ლიდერის თვისებებით არ ჩამოუვარდება. სავარაუდოდ, კაპიტანიც ის იქნება. ეს ადვილად მისაღები გადაწყვეტილება არ არის, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელია.

აირჩიეთ იარაღი

რობინსონს ორი ძალიან მართლაც რთული მორაგბე ჰყავს: **მაქს ევანსი** და **ჯო ანსბრო.** არადა, ისინი რადიკალურად განსხვავებულნი არიან. ევანსი უფრო მშრომელი და დაცვაში თითქმის გაუვალია, ანსბრო კი უფრო ფეხმარდობით და საკმაოდ მარტივი თამაშის მანერით გამოირჩევა. ამათგან ერთ-ერთი ალბათ მეორე შუამარბის (N:13) პოზიციაზე აღმოჩნდება, მეორეს კი ფრთაზე მოუწევს გარემარბად თამაში. ერთი სიტყვით, ესეც რობინსონმა უნდა გადაწყვიტოს, კონკრეტულ მეტოქესთან, რომელი „იარაღი“ იქნება უფრო ეფექტური.

იპოვეთ ფულბეკი

შოტლანდია ამაყობს, რომ **კრის პატერსონი** ჰყავს. ამ 33 წლის მორაგბემ ეროვნულ ნაკრებში ასზე მეტი კეპი მოიხვეჭა და ვინ მოთვლის, გუნდს რამდენი ქულა მოუტანა. მას ფულბეკის გარდა, მგეზავისა და გარემარბის პოზიციებზეც შეუძლია თამაში.

ირლანდიასთან მატჩში პატერსონი მოედანზე იყო კიდევაც და არც იყო. ასე „სკოტებს“ მსოფლიოს თასზე ძალიან გაუჭირდებათ. თუ რობინსონი მგეზავად ჯექსონს გაამწესებს (რაც ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი), ფულბეკად აჯობებს **რორი ლამონტმა** ითამაშოს, რადგან უკნიდან ბურთის ხელით ამოტანა პატერსონზე უკეთ გამოსდის. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ არავინ იცის, ლამონტს თავში რა მოუვლის.

ერთი სიტყვით, რობინსონმა როგორღაც უნდა ამოავსოს გუნდში არსებული ნაპრალები და რაგბის ღმერთს შესთხოვოს, რომ ახალ ზელანდიაში სულ ზურგის ქარი უბერავდეს. აბა, სხვა რაღა უნდა ქნას?

● მეტოქეები



პომებს ერნანდესი ვერ დაეხმარება

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქის, არგენტინის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სანტიაგო ფელანმა 30 მორაგბის ვინაობა გააცხადა, ვინც მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე იასპარეზებს.

აღსანიშნავია, რომ დაშავებულია და ახალ ზელანდიაში ვერ ითამაშებს საუკეთესო არგენტინელი მორაგბე, მგეზავი **ხუან მარტინ ერნანდესი.** „პომებისთვის“ ეს უდიდესი დანაკლისია, რამაც შეესაძლოა ძალიან დიდი გავლენა იქონიოს გუნდის შედეგზე ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლაში.

შეგახსენებთ, რომ ერნანდესმა ტრავმა მარტში, საფრანგეთის ჩემპიონატში, „მეტრო რასინგისა“ და „ბურგუენის“ დაპირისპირებისას მიიღო. მას მუხლის ოპერაცია გაუკეთეს და აღდგენითი პროცედურები ფორსირებულად დაიწყო იმის იმედით, რომ მსოფლიოს თასის დაწყებამდე ფეხზე დადგომას შეძლებდა. არგენტინის ნაკრების ქომაგთა სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ერნანდესი მსოფლიოზე ვერ ითამაშებს.

სანტიაგო ფელანმა ახალ ზელანდიაში 17 მორკინალისა და 13 უკანახაზელის ნაყვანა გადაწყვიტა. გუნდში ვერ მოხვდნენ: **ავგუსტინ ფიგუეროლა, ხენარო ფესია, ლუკას ბორხესი, მარტინ ბუსტოს მოიანი, ეუსებიო გუნასუ, რაფაელ კარბალო, სანტიაგო გუსმანი, ანდრეს ბორდოი** და **გაბრიელ ასკარატე.** ბოლო ორი „პომებს“ ბრიტანეთში მაინც გაყვება, რადგან კარდიფში უელსის ნაკრებთან ტესტ მატჩის დროს გამორიცხული არ არის ვინმე დაშავდეს.

აღსანიშნავია, რომ არგენტინის ნაკრებს საკმაოდ ხანდაზმული შერკინება ჰყავს. **დავით ზირაქაშვილის** ყოფილი თანაგუნდელის, შერკინების კვაჭ **მარიო ლედესმას** სახელის გასწვრივ სიაში მითითებულია, რომ ის უგუნდოდაა. ეს გასაკვირი არც არის. 36 წლის მორკინალი მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ რაგბიდან წასვლას აპირებს.

ასევე ასაკოვანნი არიან **როდრიგო რონსერო, ხუან მანუელ ლეგუსამონი და მარტინ სკელსო,** თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ მათგანს რაგბის თამაშის უზარმაზარი გამოცდილება აქვს და ძალზედ სახიფათონი არიან.

კვლავ მწყობრშია მესამეხაზელი **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე** და ასევე ვეტერანი მგეზავი, **ფელიპე კონტეპომი.** ამ ორისა და ტულუზელი **პატრისიო ალბასეტეს** თამაშზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული „პომების“ ბედი.

უკანა ხაზში გამორჩევიან ინგლისური „ექსეტერის“ მელელოვე **გონსალო კამაჩო** და „სტად ფრანსეს“ შუამარბი **მარტინ როდრიგესი.** სანტიაგო ფელანს დიდი იმედი აქვს ასევე ლესტერელი **ორასიო აგულას** ჩვეული, აგრესიული თამაშის.

არგენტინელები, როგორც უკვე ვთქვით, 20 აგვისტოს, კარდიფში „მილენიუმზე“ უელსის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან. მსოფლიოს თასზე კი „პომები“ პირველ შეხვედრას 10 სექტემბერს ინგლისის ნაკრებთან გამართავენ. „ბორჯღალოსნები“ სამხრეთამერიკელებს ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში, პალმერსტონში 2 ოქტომბერს ითამაშებენ.

აღსანიშნავია, რომ არგენტინის ნაკრები პირველია ჩვენი მეტოქეებიდან, ვინც 30-კაციანი სია გამოაქვეყნა.

არგენტინა

შერკინება: პატრისიო ალბასეტე, ნიკოლას ვერგალო (ორივე-ტულუზი), მარკოს აიერსა (ლესტერი), მაქსიმილიანო ბუსტოსი, ავგუსტინ კრევი, ხუან ფიგალო (სამივე-მონპელიე), ალეხანდრო კამპოსი, მარტინ სკელსო (ორივე-აჟენი), მანუელ კარისა (ბიარიცი), ხულიო კაბელო (ტუკმანი), ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე (ტულონი), მარიანო გალარსა (პამპასი), ალვარო გალიანო (მეტრო რასინგი), მარიო ლედესმა (უგუნდო), ხუან მანუელ ლეგუსამონი (ლიონი), როდრიგო რონსერო (სტად ფრანსე), ლეონარდო სენატორე (ხიმნაზია)

უკანა ხაზი: ორასიო აგულა (ლესტერი), მარსელო ბოსხი (ბიარიცი), გონსალო კამაჩო (ექსეტერი), ფელიპე კონტეპომი, გონსალო ტიესი, მარტინ როდრიგესი (სამივე-სტად ფრანსე), სანტიაგო ფერნანდესი, ლუკას გონსალეს ამოროსინო (ორივე-მონპელიე), ავგუსტი ხოსიო (ნიუმენი), ხუან იმპოფი (როსარიო), ალფრედო ლალანე (ლონდონ აირში), ფედერიკო სანჩესი (ბორდო), ტომას ვალეხოსი (ჰარლიქვინზი).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

● კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

მარცინ გორტატი

საფრანგეთი დაკომპლექტდა

პოლონელებს მეორე ლიდერი გამოაკლდათ

ესპანეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** ევრობასკეტისთვის საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა. ორი ზედმეტი კალათბურთელი აღმოჩნდა ცენტრი **ალი ტრაორე** და მცველი **აბდულაიე მ'ბაიე**. ამ უკანასკნელის სანვრთნელი შეკრებიდან გაშვება სიურპრიზი არ ყოფილა, ტრაორეს მიმართ კი მწვრთნელს კომენტარის გაკეთებამ მოუწია.

„დიახ, გადავწყვიტეთ ლიტვაში ტრაორეს გარეშე გამგზავრება. ის 2010 წელს ბრწყინვალე იყო, ამიტომაც მოხვდა ჩვენს მთავარ სიაში. მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, თუ კევინ სერაფინი ასეთ დონეზე ითამაშებდა. მართალია, ტრაორეს ოდნავ ხისტად მოვექეცით, მაგრამ ახლა მთავარი საფრანგეთის ნაკრების ინტერესებია“, - განაცხადა ვენსან კოლემ.

ასე რომ, საფრანგეთის ნაკრების საბოლოო შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო:

მცველები: ტონი პარკერი (სან ანტონიო, NBA), ანტუან დიო (ლე მანი), ნანდო დე კოლო (ვალენსია, ესპანეთი), ენდრიუ ალბისი (პარიზი);

ფორვარდები: ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი, NBA), მიკაელ ჟელაბალი (ვილერბანი), ბორის დიაო (შარლოტი, NBA), ფლორან პიეტრუსი (ვალენსია, NBA), შარლ-ლომბარდ კაუდი (ლე მანი), კევინ სერაფინი (ვაშინგტონი, NBA);

ცენტრები: ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო, NBA), რონი ტურიაფი (ნიუ იორკი, NBA).

▪ ▪ ▪

პოლონეთის ნაკრებს კი თავისი ლიდერის გარეშე მოუწევს ლიტვაში ევრობასკეტზე თამაში. გუნდის წამყვან ცენტრს **მარცინ გორტატს** ძალიან უნდოდა კონტინენტის პირველობაზე გამოსვლა, მაგრამ პოლონეთის კალათბურთის ფედერაციამ ვერ მოაგვარა კალათბურთელის დაზღვევის საკითხი. პრობლემის გადაჭრას ორი მილიონი დოლარი სჭირდებოდა, მაგრამ პოლონურმა მხარემ ასეთ თანხას თავი ვერ მოუყარა. საინტერესოა, რომ ასეთივე სადაზღვევო თანხაა მითითებული ევრობასკეტის ორი ვარსკვლავის - ესპანელი **პაუ გასოლისა** და იტალიელი **ანდრეა ბარნიანის** კონტრაქტებში.

ასე რომ, პოლონეთის ნაკრებს მეორე სერიოზული დანაკლისი აქვს. უფრო ადრე ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა „კახა ლაბორალის“ ფორვარდმა **მაცეი ლიამპემ**.

● ჰოკეი

ოლდრჟიხ მაჰაჩი

ჩეხებმა ლეგენდა დაკარგეს

67 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩეხური ჰოკეის ლეგენდა, გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების რიგებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ოლდრჟიხ მაჰაჩი**.

იმ პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ნაკრები სსრკ-ის გუნდთან ერთად დომინირებდა მსოფლიო ჰოკეიში. მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე მუდმივად მეოთხე ნომრით მოთამაშე მაჰაჩი ხისტი თამაშითა და ძლიერი შორეული დარტყმით გამოირჩეოდა. ძირითადად ის 70-იანი წლების კიდევ ერთ ლეგენდასთან - **ფრანტიშეკ პოსპიშილთან** წყვილში თამაშობდა. თავისი ქვეყნის ნაკრებში 1967-78 წლებში მაჰაჩმა 293 მატჩი ჩაატარა და 37 შაიბა გაიტანა.

ჩეხმა მცველმა მსოფლიოს 11 ჩემპიონატსა და სამ ოლიმპიადაზე ითამაშა. 1972, 1977 და 1978 წლებში ის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა, გარდა ამისა, პლანეტის პირველობაზე ვერცხლის ოთხი და ბრინჯაოს სამი მედალი აქვს მოპოვებული. ის არც ოლიმპიადაზე დარჩენილა მედლების გარეშე: 1968 და 1976 წლების თამაშებზე ვერცხლი მიიღო, 1972 წელს - ბრინჯაო. ასევე დიდი მიღწევაა მაჰაჩისთვის 1976 წელს კანადის თასის ფინალში გასვლა, სადაც ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ორი მატჩი ნააგო NHL-ის ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ კანადის ნაკრებთან.

ოლდრჟიხ მაჰაჩი პოსპიშილთან ერთად 1999 წელს შეიყვანეს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის დიდების დარბაზში.

● კალათბურთი

ბეშიქთაში დურანტსაც ელაპარაკება

„ოკლაჰომა-სიტის“ ლიდერი **კევინ დურანტი** მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქეთის „ბეშიქთაშთან“. ამის შესახებ ESPN-თან კომენტარში მოთამაშის აგენტმა **აარონ გუდვინმა** განაცხადა. გარდა ამისა, იმავე აგენტის თქმით, ფორვარდი ასევე განიხილავს წინადადებებს ესპანეთიდან და რუსეთიდან.

„თურქული კლუბის წინადადება მაცდუნებელია, მაგრამ სხვა ქვეყნების ვარიანტებსაც განვიხილავთ. კევინს ჯერ არ მიუღწევია არც ერთ კლუბთან შეთანხმება, მაგრამ ღირსეულ ვარიანტს ვეძებთ. უნდა ვაღიაროთ, თურქული კლუბები აგრესიულ სატრანსფერო პოლიტიკას ეწევიან“, - აღნიშნა გუდვინმა.

აგენტმა ისიც დაამატა, რომ უცხოეთიდან მიწვევა აქვს მის მეორე კლიენტს, „ატლანტას“ წევრ **ჯამალ კროუფორდს**.

შეგახსენებთ, რომ „ბეშიქთაშმა“ უკვე გაიფორმა „ნიუ ჯერსი ნეტსის“ გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** და არც **კობი ბრაიანტის** გადაბირება გადაუფიქრებია.

▪ ▪ ▪

ამასობაში, იგივე „ბეშიქთაში“ NBA-ის კიდევ ერთ ლეგიონერთან, „ჰიუსტონ როკეტსის“ გამთამაშებელ **გორან დრაგიჩთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამ ტრანსფერის განხორციელებაში თურქულ კლუბს კონკურენტი ჰყავს სლოვენიის „ოლიმპიას“ სახით.

შეგახსენებთ, რომ სლოვენიელი მცველი თებერვალში გადავიდა „ფინიქსიდან“ „ჰიუსტონში“. შარშან დრაგიჩმა „როკეტსის“ შემადგენლობაში 22 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.7 ქულა, 2.6 მოხსნა და 2.5 პასი დააგროვა.



კევინ დურანტი

ლებრონსაც ოლიმპიადაზე უნდა

ლებრონ ჯეიმსი

კობი ბრაიანტის შემდეგ NBA-ის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გამოთქვა ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის სურვილი. ეს გახლავთ „მაიამი ჰიტის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც ისიც კი განაცხადა, რომ სხვა ვარსკვლავებსაც დაარწმუნებს ლონდონში გამგზავრების აუცილებლობაში.

„მომწონს საერთაშორისო არენაზე საკუთარი ქვეყნის სახელით თამაში, ამიტომაც ვისურვებდი გავმხდარიყავი იმ გუნდის ნაწილი, რომელიც ლონდონში ოლიმპიური ოქროს დაცვას შეეცდება“, - განაცხადა ლებრონმა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა NBA-ში მიმდინარე ლოკაუტზეც გააკეთა მოკლე კომენტარი: *„ამ საკითხში მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვფიქრობ, სეზონი წელს დაიწყება“*.

საინტერესოა, როგორ ატარებს დროს ლებრონი საზაფხულო არდადეგების დროს. როგორც აღმოჩნდა, ჯეიმსი პერიოდულად ვარჯიშობს „ჰიუსტონის“ ყოფილ ვარსკვლავთან **ჰაკიმ ოლაჟუონთან** ერთად.

„მართლაც შთამბეჭდავია ის, რასაც ჰაკიმმა კარიერის განმავლობაში მიაღწია. უნიჭიერესი მოთამაშე, რომელმაც უამრავი ტიტული მოიპოვა. მისი გამოცდილება სასარგებლოა ჩემთვის ინდივიდუალური მოქმედების მხრივ. ჩემი გუნდი შეიძლება საუკეთესო გახდეს, თუ მე პროგრესს გავაგრძელებ“, - ამბობს „მეფე“.

▪ ▪ ▪

ამასობაში, „მაიამი ჰიტის“ მეორე ლიდერი **დუეინ უეიდი** უსაქმოდ ყოფნას არ აპირებს. სააგენტო AP-ითვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ლოკაუტის სწრაფად დასრულების იმედი აქვს, მაგრამ თუ ასე მოხდა, კალათბურთელი აუცილებლად გადავა რომელიმე უცხოურ კლუბში სათამაშოდ.

ამასთან, უეიდი უარყოფს უახლოეს ხანში ერთ-ერთ ჩინურ კლუბში გადაბარგებას. ამ ინფორმაციას მან ჭორი უწოდა. დუეინმა ისიც აღნიშნა, რომ მზად არის თავად მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებებში ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ.

შაკი ჩხუბში მიდის

„ატლანტა ჰოქსის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კლუბი შეიძინა ბიზნესმენმა **ალექს მერუელომ**. ლოკაუტის გამო გარიგების პირობები არ გახმაურებულა.

მერუელო NBA-ის კლუბის პირველი ლათინოამერიკული წარმოშობის მფლობელი იქნება. 48 ნლის კალიფორნიელი ბიზნესმენი კუბელი ემიგრანტების შვილი გახლავთ.

„ეს დიდი პატივია. აღნიშნული გარიგება ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ვამაყობ იმით, რომ პირველი ლათინოამერიკელი ვარ ამ პოსტზე. იმედია, შევძლებ კლუბის სწორად მართვას და ყველა იამაყებს ჩემით. საუკეთესო ნამდვილად არ ვარ, მაგრამ შევეცდები წარმატების მიღწევას“, - განაცხადა მერუელომ.

▪ ▪ ▪

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** უკვე დიდი ხანია გამოთქვამს ინტერესს შერეული საბრძოლო ხელოვნების მიმართ. ამ სახეობას ორგანიზაცია UFC კურირებს და მისმა პრეზიდენტმა **დანა უაიტმა** საინტერესო განცხადება გააკეთა.

„შაკილი - ჩემი კარგი მეგობარია. ის ყოველთვის გამოხატავდა ჩვენსა და მთლიანად სპორტის ამ სახეობის მიმართ პატივისცემას, - ამბობს უაიტი. - *შაკს უნდა ამ საქმეში იყოს ჩართული. რა თქმა უნდა, ის ჩხუბს არ აპირებს, მაგრამ ჩვენი ბიზნესი მართლაც აინტერესებს. ვნახოთ, რა გამოუვა“*.

▪ ▪ ▪

საბოლოოდ გაირკვა, რომ ბრაზილიის ნაკრების გამთამაშებელი **მარსელინიო უერტასი** „ბარსელონაში“ გააგრძელებს კარიერას. კატალონურმა გრანდმა ამ ზაფხულს ყველაზე მოთხოვნად კალათბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შარშან უერტასი მეორე ესპანურ კლუბში - „კახა ლაბორალში“ თამაშობდა და მეორე ადგილზე გავიდა ევროლიგაზე შედეგიანი გადაცემების საშუალო რაოდენობით (5.5). მასზე წინ მხოლოდ „პანათინაიკოსის“ მცველი **დიმიტრის დიამანტიდისი** აღმოჩნდა. გარდა ამისა, უერტასი ევროლიგის მატჩებში 10.3 ქულასა (სამქულიანების რეალიზაცია - 44.2 პროცენტი) და 3.0 მოხსნას აგროვებდა.

▪ ▪ ▪

იტალიის ჩემპიონმა „მონტეპასკიმ“ ხელშეკრულება გააგრძელა ლიტველ ფორვარდთან **კშიშტოფ ლავრინოვიჩთან**. ახალი კონტრაქტი 2013-14 წლების სეზონის ბოლომდე იქნება ძალაში.

ლავრინოვიჩი ოთხი წელია თამაშობს „მონტეპასკიში“ და ოთხივე სეზონში იტალიის ჩემპიონის ტიტულს ეუფლებოდა. გარდა ამისა, მან სამჯერ მოიგო იტალიის თასი და ორჯერ ითამაშა ევროლიგის „ოთხთა ფინალში“. გასულ სეზონში ევროლიგაზე ლიტველის საშუალო მონაგარი 13.2 ქულასა და 4.2 მოხსნას შეადგენდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა



შაკილ ო'ნილი

● ჩოგბურთი. ტურნირები

ჩემპიონის გარეშე გააგრძელებენ

თანდათან ძალას იკრებს მონრეალის მასტერსი, რომლის მეორე სათამაშო დღეს მთავარი სენსაცია აღმოჩნდა მოქმედი ჩემპიონის, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანის **ენდი მიურეის** სენსაციური მარცხი.

ბრიტანელი ჩოგბურთელისთვის კანადური მასტერსი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ენდი აქ არავის უთმობდა პირველობას. თითქოს წელსაც ყველაფერი წესრიგში იყო. შოტლანდიელი საშინაო უიმბლდონის შემდეგ პირველ ტურნირს თამაშობდა. იქ მიურეი ზედიზედ მესამე გავიდა ნახევარფინალში და ისევ წააგო. მოკლედ, ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. მით უმეტეს, რომ მისი მეტოქე **კევინ ანდერსონი** ბოლო დროს განსაკუთრებულ საოცრებებს არ ჩადიოდა.

მაგრამ ენდიმ პირველივე გეიმი წააგო საკუთარ მოწოდებაზე. სამხრეთამერიკელი, თავის მხრივ, დამაჯერებლად აწოდებდა, რითაც სეტის ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება. ისე ჩანდა, რომ ბრიტანელი უბრალოდ ვერ შეეგუდა თამაშში. ის ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, ყოველთვის კარგად ვერ მიდიოდა ბურთთან და ვერ გრძნობდა თამაშს. თანაც, ბრიტანელს საკუთარი მოწოდებაც ვერ ეხმარებოდა. საბოლოოდ, მეორე პარტიაში ანდერსონმა სამი ბრეიკი გააკეთა, იმ დროს, როცა მიურეიმ მეტოქის მოწოდებას ვერაფერი მოუხერხა - 3:6, 1:6. ენდისთვის ეს მესამე სერიოზული ჩავარდნაა სეზონის მესამე საჰარდო მასტერსზე: ინდიან უელსსა და მაიამიშიც ბრიტანელი ასევე ორ სეტში აგებდა პირველი წრის მატჩებს.

„ყველაფერს ნელა ვაკეთებდი, თანაც მეჩვენებოდა, რომ თამაში ძალიან მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. ასეთი რამ წელს უკვე დამემართა. კარგად ვემზადებოდი და ბევრს ვვარჯიშობდი, რათა ამ მასტერსს ოპტიმალურ ფორმაში შევხვედროდი. ჩვეულებრივ, კანადაში კარგად ვთამაშობ. მაგრამ დღეს ბევრი არაფერი გამომდიოდა. ორივე სეტი საშინლად დავიწყე, ხოლო ისეთ მოთამაშესთან, როგორიც კევინია, ასეთი რამ დაუშვებელია. თავიდანვე მისთვის ინიციატივის მიცემის შემდეგ აღარაფრის შეცვლა არ შემეძლო“, - განაცხადა მატჩის შემდეგ მიურეიმ.

ბრიტანელმა რეიტინგში 1000 ქულა დაკარგა. მართალია, ამ ეტაპზე კლასიფიკაციაში მის მეოთხე ადგილს ვერავინ დაემუქრება, მაგრამ მესამე ადგილზე მყოფ **როჯერ ფედერერს** ბევრით ჩამორჩა. ანდერსონი კი თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. მან 2011 წელს მოგებათა რიცხვი 29-მდე აიყვანა, წინა პირადი რეკორდი კი 14 გამარჯვებას უდრიდა (2010 წელი). სამხრეთამერიკელმა ყველაზე კარგად გაზაფხულზე მაიამის მასტერსზე ითამაშა, სადაც მეოთხედფინალამდე გააღწია.

ანდერსონი ერთადერთი იყო, ვინც იმ დღეს მესამე წრის საგზური მოიპოვა. მეორე წრის დანარჩენი მატჩების ჩატარებას წვიმამ შეუშალა ხელი. ამიტომაც მაყურებელი პირველი რაუნდის შეხვედრათა ცქერით დაკმაყოფილდა.

ამ ეტაპზე ბრძოლას ორი განთესილი გამოეთიშა. ერთ-ერთი იყო რუსი **მიხაილ იუჟნი**, რომელმაც თანაბარი თამაში ჩაატარა ფრანგი **მიკაელ ლოდრას** წინააღმდეგ. ყველაფერი მესამე სეტის ბოლოს გადაწყდა, როცა იუჟნიმ მეტოქეს მატჩზე არ ჩააწოდებინა, მაგრამ ტაიბრეიკზე ვერ ივარგა - 3:6, 6:3, 7:6(4).

ასევე მოულოდნელობა იყო **ჟილ სიმონის** ორი სეტში წაგება გერმანელ **ფილიპ პეტცშნერთან**. მეცხრე ნომრად განთესილი ფრანგი ძალიან პასიურად გამოიყურებოდა, გარდა ამისა, მისი მეტოქე არც ერთ შანსს ხელიდან არ უშვებდა. პეტცშნერმა ორი თვის წინ ჰალეს ფინალში ითამაშა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი ტურნირის პირველი წრე წააგო და რეიტინგში მე-80 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

მეორე ფრანგულ-გერმანული დაპირისპირება **რიშარ გასკეს** გამარჯვებით დასრულდა. ფრანგმა ხუთი ბრეიკ-პოინტი მოიგერია **ფლორიან მაიერთან** მატჩში და ორ სეტში მოიგო - 6:3, 6:2. აღსანიშნავია, რომ გასკესთვის ეს იყო 250-ე გამარჯვება ATP-ის ტურში.

გასკემდე ბევრი უკლია კანადელ **ვაშეკ პოსპიშილს**. მან მოულოდნელად

გაოგნებული ენდი მიურეი

ორ საათსა და 23 წუთში დაამარცხა არგენტინელი **ხუან-იგნასიო ჩელა** და პროფესიულ ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა. აღსანიშნავია, რომ მასპინძელმა ჩოგბურთელმა 2:4-დან შეძლო მესამე სეტის გადარჩენა.

ATP

Rogers Cup

ტორონტო (კანადა). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

I წრე

რიშარ გასკე (საფ, 10)-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:2; **ვაშეკ პოსპიშილი (კან)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 4:6, 6:3, 6:4; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ჟილ სიმონი (საფ, 9) 7:5, 6:2; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:2, 7:5; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 11) 3:6, 6:3, 7:6(4); **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 12)**-მაიკლ იანი (აშშ) 2:6, 6:3, 6:1; **მაიკლ რასელი (აშშ)**-ალბერტ მონტანეზი (ესპ) 7:5, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 7:5, 6:1.

II წრე

კევინ ანდერსონი (ს. აფრ)-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:3, 6:1.

უილბლო კლაისტერსი

კლაისტერსი ტორონტოდან შიდის

ტორონტოში ქალების ტურნირის მორიგი დღე **კიმ კლაისტერსის** მარცხით იყო გამორჩეული. მონრეალის მსგავსად, აქაც წვიმდა, მაგრამ ყველა მატჩის დასრულება მოხერხდა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ 15 მატჩიდან მხოლოდ ერთში გახდა საჭირო სამი სეტის ჩატარება, სამი შეხვედრა კი ვადაზე ადრე დასრულდა ერთ-ერთი ჩოგბურთელის ტრავმის გამო.

მათ შორის გახლდათ ბელგიელი **კიმ კლაისტერსიც**. როგორც იცით, მას აპრილიდან მოყოლებული სხვადასხვა სირთულის ტრავმა აწუხებს და სრული დატვირთვით თამაშს ვერ ახერხებს. ბელგიელმა თითქმის მთლიანად გამოტოვა გრუნტის სეზონი, შემდეგ კი უიმბლდონზეც უარი თქვა. და აი, როგორც იქნა, კლაისტერსი დაბრუნდა კორტზე. მისი მეტოქე იყო ჩინელი **ჟიე ჟენგი**. გაჭირვებით, მაგრამ პირველი სეტი კიმმა მოიგო, მეორეში კი სამი გეიმი იყო გათამაშებული, როცა მუცლის კუნთის ტრავმის გამო ბელგიელმა თამაში მიატოვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ნაწილობრივ აქვს გაწყვეტილი მუცლის კუნთი. ამ წაგების გამო კლაისტერსმა 1000 სარეიტინგო ქულა დაკარგა და ორშაბათიდან კლასიფიკაციაში მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდება - მას რუსი **ვერა ზვონარევა** გაუსწრებს.

არადა, ყველა მოუთმენლად ელოდა მესამე წრეში კლაისტერსისა და **სერენა უილიამსის** დაპირისპირებას, მაგრამ ეს შეხვედრა აღარ გაიმართება. რაც შეეხება ამერიკელს, მან უპრობლემოდ გაიარა პირველი წრის ბარიერი - 46 წუთში გაუსწორდა უკრაინელ **ალიონა ბონდარენკოს** - 6:0, 6:3. პირველი სეტი 16 წუთში (!) დასრულდა, მეორეში კი თავიდან 3:3 იყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. შთამბეჭდავი გახლდათ ამ მატჩში „ვინერსების“ შეფარდება - 19:0 სერენას სასარგებლოდ.

დღის ერთ-ერთი მთავარი სიუპრიზი იყო მასპინძელი **ალექსანდრა ვოზნიაკის** იოლი გამარჯვება **შაარ პეერზე**. კანადელმა 43 წუთში გაანადგურა მეტოქე - 6:1, 6:0. ვოზნიაკმა აქტიური მოქმედებით 54 ქულა მოიგო, რაც შთამბეჭდავი შედეგია.

იტალიელი **რობერტა ვინჩი** 1:3-ს აგებდა პირველ სეტს და 0;2-ს მეორეს, მაგრამ მაინც შეძლო ბელგიელი **იანინა ვიკმაიერის** დამარცხება - 6:4, 6:2. ახლა ის მოქმედ ჩემპიონსა და მსოფლიოს პირველ ჩოგანს, დანიელ **კაროლინ ვოზნიაკის** შეხვდება.

WTA

Rogers Cup

ტორონტო (კანადა). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 2 050 000 დოლარი

I წრე

ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 11)-იუჯინ ბუშარი (კან) 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 13)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:4, 6:1; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16) 7:5, 4:6, 1:3 ციბულკოვას უარი; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-შუაი ჟენგი (ჩინ) 6:1, 6:1; **შუაი პენგი (ჩინ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:1, 7:5; **რობერტა ვინჩი (იტა)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:4, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა)**-მარია კირილენკო (რუს) 6:3, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-სარა ერანი (იტა) 7:5, 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:0, 6:3; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 2:0 დოკიჩის უარი; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 1:6, 6:4, 6:4; **სტეფანი დუბუა (კან)**-კატრინ ვორლე (გერ) 7:6(4), 6:1; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-შაარ პეერი (ისრ) 6:1, 6:0.

II წრე

ჟიე ჟენგი (ჩინ)-კიმ კლაისტერსი (ბელ, 2) 3:6, 2:1 კლაისტერსის უარი.

გვერდი მოამზადა

გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2012

ჩრ. ირლანდია-ფარერეები	4:0

ევრო 2013

UNDER 21

საბერძნეთი-ბელარუსი	2:3
ფინეთი-სლოვენია	1:0
ჩეხეთი-ანდორა	8:0
ჩრ. ირლანდია-ფარერეები	4:0

ამხანაგური მატჩები

იაპონია-კორეა	3:0
ჩინეთი-იამაიკა	1:0
ბოტსვანა-კენია	1:0
ყაზახეთი-სირია	1:1
აზერბაიჯანი-მაკედონია	0:1
ნიგერი-ტოგო	3:3
რუსეთი-სერბეთი	1:0
გაბონი-გვინეა	1:1
ლიტვა-სომხეთი	3:0
ლატვია-ფინეთი	0:2
ბელარუსი-ბულგარეთი	1:0
კვიპროსი-მოლდოვა	3:2
გამბია-კონგო	3:0
სენეგალი-მაროკო	0:2
ზიმბაბვე-ზამბია	2:0
კოტ დ'ივუარი-ისრაელი	4:3
უნგრეთი-ისლანდია	4:0
ალბანეთი-ჩერნოგორია	3:2
ნორვეგია-ჩეხეთი	3:0
ომანი-ბაჰრეინი	1:1
უკრაინა-შვედეთი	0:1
ლიხტენშტაინი-შვეიცარია	1:2
ს. აფრიკა-ბურკინა ფასო	3:0
ავსტრია-სლოვაკეთი	1:2
მალტა-ც. აფრიკა	2:1
სან მარინო-რუმინეთი	0:1
თურქეთი-ესტონეთი	3:0
გერმანია-ბრაზილია	3:2
იტალია-ესპანეთი	2:1
ირლანდია-ხორვატია	0:0
შოტლანდია-დანია	2:1
სლოვენია-ბელგია	0:0
უელსი-ავსტრალია	1:2
ბოსნია-საბერძნეთი	0:0
საფრანგეთი-ჩილე	1:1
ქუვეითი-ჩრ. კორეა	0:0
პორტუგალია-ლუქსემბურგი	5:0
ტუნისი-მალი	4:2

Under 21

იტალია-შვეიცარია	1:1
შოტლანდია-ნორვეგია	3:0
ჩერნოგორია-ბოსნია	3:1
პოლონეთი-დანია	1:0
შვედეთი-ჰოლანდია	3:0
უელსი-უნგრეთი	1:2

ინგლისი

ლიგის თასი

ოქსფორდი-კარდიფი	1:1 დ.დ. 1:3
ბორნჰოლმი-ჰიკ	2:6
ოლბორგ ჩანგი-ტისტედი	1:3
ალეროდი-ფრედრიკსბერგი	3:1
ასნესი-ნორდვესტი	0:6
ავარტა-ჰერლევი	0:3
ბალერუპი-გლოსტრუპი	3:3 პენ. 5:4
სკანდერბორგი-ვარდე	3:1
ფიძსი-ჰელსინგე	0:3
ფრედერიკსუნდი-ვანლეესი	0:6
ჰილერედი-კფუმ კოპენჰაგენი	3:2
ჰარტე-ფრედერისია	1:4
ოდერი-რინგკიობინგი	1:2
როდოვრე-იეგენსბორგი	1:4
ვერებრო-ჰვიდოვრე	1:5
ჰოლსტებრო-ორჰუსი	2:1
ეგედალი-ბ1908	1:1 დ.დ. 1:2
სკიოლდი-ელიტე	0:3

ჩეხეთის თასი

ბორეტიცე-კრომერიცი	1:4
დოსტა-ზნოიმო	1:1 პენ. 1:2
ბრუმოვი-ფრიდეკი	1:2
ვლაშიმი-ბუდეიოვიცე	0:3
კოლინი-კრალუვი	2:2 პენ. 2:3
ნოვა პაკა-ბოჰემიანსი	0:7
ჰერმანიცე-სლოვაცკო	0:2
ჰფკ ოლომოუცი-კარვინა	2:2 პენ. 2:4
ჰულინი-იეზლავა	0:3
მეტეორი-სლავია	1:6
ხრუდიმი-ბოლესლავი	0:3
მიკულოვიცე-დოლნი	4:0
პარდუბიცე-ოეზი	1:0
პოლნა-ბრნო	0:4
სეზიმოვო-პრშიბრამი	3:1
სლოვანი (ვ)-ლიბერეცი	0:4
სოკოლი-სლოვანი (რ)	7:3
სპიტინევი-სიგმა	2:3
სუმპერკი-ვიშკოვი	3:0

ჩოგბურთი

ATP. მონრეალი

ცონგა-ტომიჩი	6:3, 7:6
ფედერერი-პოსპიშილი	7:5, 6:3
ბერდიხი-დოლგოპოლოვი	4:6, 6:2, 6:3
ვავრინკა-რასელი	6:3, 6:2
კარლოვიჩი-პეტცშნერი	6:7, 7:6, 7:6
ალმაგრო-სტახოვსკი	6:2, 7:6
მონფილსი-ბოგომოლოვი	6:2, 7:6
გასკე-ბელუჩი	6:1, 6:4
ჯოკოვიჩი-დავიდენკო	7:5, 6:1

WTA. ტორონტო

სკიავონე-მაკაროვა	6:1, 6:3
საფაროვა-ჰალეპი	6:2, 6:4
ჰანტუხოვა-მარტინე სანჩესი	5:7, 2:6
ა. რადვანსკა-მარტიჩი	6:3, 6:3
პენეტა-ვოსკობოევა	6:2, 3:6, 2:6
ვოზნიაკი-ვინჩი	4:6, 5:7
სტოსური-ვოზნიაკი	6:3, 6:4
ს. უილიამსი-გორჯესი	6:1, 7:6

● TV პროგრამა

11 აგვისტო. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ჰერტა-ნიურნბერგი.
14:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-ბრაზილია.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური. ნანსი-ლილი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონისწინა მიმოხილვა.
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
20:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-ბრაზილია.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. გრაფსხააპი-აიაქსი.
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური. მარსელი-სოშო.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კურიტიბა.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. სან ანტონიო-იუტა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
19:00 ბადმინტონი.მსოფლიო თასი. ლონდონი. ინგლისი.
19:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა. მიმოხილვა.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მონრეალი. კანადა (LIVE).
00:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. სან ანტონიო-იუტა.

HTB-კლუბი (ონლაინი)

22:40 ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. I რაუნდი. შეფილდ უენსდი-ბლეკპული (LIVE).

HTB-კლუბი (ჩოგბურთი)

20:00 ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. მონრეალი. კანადა (LIVE).

EUROSPORT

17:00 ველოსპორტი. ბენილუქსის ტური. III ეტაპი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ტორონტო. კანადა (LIVE).

EUROSPORT-2

20:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. კვალიფიკაცია. კურშეველი. საფრანგეთი (LIVE).

● კრივი

კლიჩკო ვარჯიშობს, ოლონდ კიევში

სუპერმძიმენონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** პოლონელ **ტომაშ ადამეკთან** საჩემპიონო ბრძოლისთვის მზადება გააგრძელა. ეს შეხვედრა 10 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გაიმართება. თუმცა სანვრთნელი შეკრება არა ავსტრიაში, არამედ კიევში გრძელდება, სადაც უკვე ჩავიდა უფროსი კლიჩკოს მწვრთნელი **ფრიც ზდუნეკი**. მსოფლიოს ჩემპიონი იქამდე დარჩება უკრაინის დედაქალაქში, სანამ არ გაირკვევა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის **იულია ტიმოშჩენკოს** დაპატიმრებასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ უფროსმა კლიჩკომ მიატოვა ავსტრიაში სანვრთნელი ბანაკი და სასწრაფოდ უკრაინაში ჩაფრინდა. მოკრივე სადეპუტატო ფრაქციის - „დარტყმის" ლიდერია და მისი თქმით, არ ჩამოშორდება იმ ბრძოლას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს უკრაინაში დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად.

...

ცნობილმა ბრიტანელმა მოკრივემ **რიკი ჰატონმა**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ოფიციალურად გამოაცხადა დიდი რინგიდან წასვლა, სამწვრთნელო კარიერის დაწყება გადაწყვიტა. ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი უკვე მომავალ თვეში აპირებს სამწვრთნელო ლიზენციის აღებას, - წერს გამოცემა „მანჩესტერ ივნინგ ნიუსი". რიკი ამბობს, რომ მისი მიზანი მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონის გაზრდაა.

ჰატონი ამჟამად საკუთარ პრომოუტერულ კომპანია - Hatton Promotions-ში მუშაობს. მაგრამ მხოლოდ ამ როლით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

„მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობ. ჩემს პრომოუტერულ კომპანიაში შესანიშნავი სპეციალისტები მუშაობენ. ხალხიც მენდობა. ამიტომაც მათთან ერთად ვაპირებ რამდენიმე ახალგაზრდა მოკრივისგან მსოფლიოს ჩემპიონის შექმნას", - განაცხადა ჰატონმა.

● ამბები

პოლეი

იხვებმა მწვრთნელი შეინარჩუნეს

„ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობამ სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ **რენდი კარლაილთან**. „იხვების" დამრიგებელს მოქმედი ხელშეკრულების მიხედვით კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა გუნდში, მაგრამ ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ძალაში ახალი პირობები შევა.

კარლაილის ხელმძღვანელობით „ანაჰაიმი" 2007 წელს სტენლის თასის მფლობელი გახდა, გარდა ამისა, მწვრთნელს ეკუთვნის საკლუბო რეკორდი გამარჯვებების რაოდენობით - რეგულარული ჩემპიონატის 492 მატჩში 266 მოგება.

ოლიმპიზმი

ოლიმპიადა გადარჩება

ბრიტანეთის დედაქალაქში მომხდარი ბოლოდროინდელი არეულობების მიუხედავად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ გაისად ლონდონის ზაფხულის თამაშები უსაფრთხოდ ჩატარდება. იგივე განაცხადა ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორმა **დერილ სეიბელმა**.

ლონდონის ქუჩებში მომხდარი შეტაკებების შედეგად არც ერთი ოლიმპიური ობიექტი არ დაზარალებულა. სხვათა შორის, ეს ძალადობა დაემთხვა ბრიტანეთის დედაქალაქში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორი წევრის - **დენის ოსვალდისა** და **გილბერტ ფელის** ვიზიტს. ისინი ლონდონში სნორედ ოლიმპიური ობიექტების შესასწავლად იყვნენ ჩასულნი.

მკლელობა

გვატემალაში სომხებს კლავენ

გვატემალაში ორი სომეხი მწვრთნელი მოკლეს, რომლებიც ამ ლათინოამერიკული ქვეყნის ნაკრებში მუშაობდნენ. ესენი არიან 60 წლის **მანველ მალოიანი** და მისი 30 წლის ვაჟი **დავიდი**. ისინი გვატემალას დედაქალაქის ყველაზე დიდი სტადიონის - „მატეო ფლორესის" მთავარ შესასვლელთან ცეცხლსასროლი იარაღით გამოასალმეს სიცოცხლეს.

არაოფიციალური ინფორმაციით, ავტომობილი, რომელშიც მწვრთნელები ისხდნენ, ტაქსის შეეჯახა და მისმა მძღოლმა სომხებს ცეცხლი გაუხსნა. თუმცა, მეორე ვერსიით, იარაღიდან არა მძღოლი, არამედ ტაქსის ერთ-ერთი მგზავრი ისროდა, რომელსაც მწვრთნელებთან ჩხუბი მოუვიდა. თავიდან მან დავიდ მალოიანს სახეში ესროლა, მამა კი მაშინ მოკლა, როცა ის შვილისთვის დახმარების გაწევას ცდილობდა.

მამა-შვილი გვატემალაში 1999 წლიდან მუშაობდა.

● ფორმულა 1

ბერნი და ჰოლივუდი

ჰოლივუდისულ უფრო აქტიურ დაინტერესებას გამოთქვამს ფორმულა 1-ის მიმართ. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია 2012 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ამერიკის გრანპრის დაბრუნებით. აგრეთვე დოკუმენტური ფილმის - „სენას" წარმატებით, რომელიც წელს გამოვიდა დიდ ეკრანზე.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამერიკელი რეჟისორი **რონ ჰოვარდი** მხატვრული ფილმის გადასაღებად ემზადება, რომელიც 1976 წლის სეზონში **ნიკი ლაუდასა** და **ჯეიმს ჰანტის** დრამატულ დუელს ეხება.

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს - შეძლებენ თუ არა თანამედროვე კინემატოგრაფისტები **ჯონ ფრანკენჰაიმერის** წარმატების გამეორებას. ამ რეჟისორმა 1966 წელს შექმნა ლეგენდარული სურათი „გრანპრი", რომელიც ბევრ ქვეყანაში ნამდვილ ჰიტად იქცა.

ბევრს ახსოვს, რომ 90-იანი წლების ბოლოს **სილვესტერ სტალონე** სერიოზულად გეგმავდა ახალი ფილმის გადაღებას ფორმულა 1-ის შესახებ, მაგრამ საერთო ენა ვერ გამონახა **ბერნი ექლსტოუნთან**, ამიტომაც სლაიმ თავისი თრილერის მოქმედება ამერიკის კონტინენტზე გადაიტანა: გამოვიდა მეტად სუსტი და კრიტიკის მიერ სამართლიანად დაწუნებული ფილმი - Driven, რომელიც ChampCar-ის რბოლების მასალით გადაიღეს.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ კინოკომპანია Warner Brothers-მა ჰოლივუდის სცენარისტსა და რეჟისორს **ბენ იანგერს** შეუკვეთა მასშტაბური სცენარი ფორმულა 1-ის რბოლებზე. იანგერი უკვე ესწრებოდა უნგრეთის რბოლას, ამერიკაში დაბრუნებულმა კი ინტერვიუ მისცა ჟურნალ „თაიმსს".

„კომპანიას სერიოზული გეგმები აქვს, - განაცხადა მან. - არ მინდა Driven-ის მსგავსი ფილმის გადაღებებში მონაწილეობა. როგორც ჩანს, Warner Brothers-ს საკუთარი „გრანპრის" შექმნა სურს. ფილმში უნდა იყოს ბევრი ტექნიკა, გმირი კი ამერიკელი ავტომრბოლი იქნება".

რა თქმა უნდა, აქ მაშინვე წარმოიშვება ორი პრობლემა. ჯერ ერთი, დღეისთვის ფორმულა 1-ში არ არის ამერიკელი პილოტი. პერსპექტიულად მიიჩნევა ახალგაზრდა **ალექსანდერ როსი**, რომელიც მეოთხე ადგილს იკავებს „რენოს" მსოფლიო სერიაში, მაგრამ ფორმულა 1-ში მის დებიუტამდე ჯერ შორია. თუმცა ფილმი არა დოკუმენტური, არამედ მხატვრულია და მასში შესაძლებელი იქნება ისტორიული რეალობიდან გადახრები.

მეორე პრობლემა: ფორმულა 1-ზე ფილმის გადაღება შეუძლებელია, თუ ბერნი ექლსტოუნთან ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. ჭირვეული ბრიტანელი ყოველთვის ხისტ პოზიციას იკავებს იმ საკითხებში, რაც კომერციულ უფლებებს ეხება. თუმცა ბენ იანგერს კარგად ესმის, რომ სხვა გზა არ არსებობს. მისი სიტყვებით, მომავალი სურათის ბიუჯეტი 150 მილიონი დოლარი იქნება.

ბრიტანული ვებგვერდი Pitpass აქვეყნებს ბერნი ექლსტოუნის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რატომ ვერ შეძლო თავის დროზე სილვესტერ სტალონემ ფილმის გადაღებაზე მოლაპარაკება. სავარაუდოდ, ფორმულა 1-ით დაინტერესებული ნებისმიერი ჰოლივუდელი პროდიუსერისთვის სასარგებლო იქნება ამის ცოდნა...

„ჩვენ შეგვეძლო სტალონესთან გაგვეფორმებინა კონტრაქტი 50/50-ზე პირობით. მაშინ ყველაფერი გამოვიდოდა, - იხსენებს ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი. - სწორედ ასეთი იყო პირველადი გეგმა, ბანკები მზად იყვნენ ფინანსების გამოსაყოფად, სპონსორებსაც ვიპოვიდით.

მაგრამ სტალონემ ეს პირობა არ მიიღო. მან 20 მილიონი მოითხოვა ფილმში მონაწილეობისთვის და კიდევ 20 მილიონი იმისთვის, რომ რეჟისორად იმუშავებდა. ის მაშინ მართლაც იყო გატაცებული ფორმულა 1-ით, მაგრამ მასთან მოლაპარაკება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მსოფლიოს კინემატოგრაფიის წარმომადგენლები მიჩვეულნი არიან სხვის ხარჯზე მუშაობას. მათ არ უყვართ რისკზე წასვლა. სტალონე ამ ფილმში არაფრის ჩადებას არ აპირებდა. ის ამაზე მიჩვეული არ იყო. თუმცა ცუდი ასეთ პოზიციაში არაფერია, უბრალოდ, ეს ჩვენ არ გვაწყობდა".



სტალონე ფორმულა 1-ის ... ყო გატაცებული

შოტლანდიელი წითელი ბარონის ნაცვლად?

ბრიტანელი პილოტის **პოლ დი რესტას** მენეჯერი **ენტონი ჰემილტონი** აცხადებს, რომ „მერსედეს გრანპრის" თამამად შეუძლია იფიქროს შოტლანდიელი დებიუტანტის გადაბირებაზე.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ლეგენდარულმა **მიხაელ შუმახერმა** ისევ გადაკვრით ახსენა ამ სეზონის შესახებ სპორტიდან წასვლის შესახებ. მართალია, გერმანული საჯინიბოს ხელმძღვანელობას სურს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის შენარჩუნება, მაგრამ შუმის კონტრაქტში არსებობს პუნქტი, რომელიც მას ხელშეკრულების ნაადრევად განყვეტის უფლებას აძლევს. თუ მიხაელმა მაინც გადაწყვიტა წასვლა, მისი ადგილი, შესაძლოა, სწორედ პოლ დი რესტამ დაიკავოს.

შოტლანდიელი პილოტი დიდი ხანია „მერსედესის" პროტეჟედ ითვლება. ის შარშან გამოდიოდა საქართველო გუნდში და DTM-ის სერიის ჩემპიონიც გახდა. დი რესტას დღემდე კარგი ურთიერთობა აქვს შტუტგარტულ კონცერნთან.

მაგრამ მთავარი ის არის, წელს „ფორს ინდიას" ბოლიდით პოლმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საკვალიფიკაციო რბოლების უმრავლესობაში მან გამოცდილ თანაგუნდელ **ადრიან სუტილს** გაუსწრო, თუმცა რბოლებში შოტლანდიელს ნაკლებად უმართლებდა. გამონაკლისია ბოლო რბოლა უნგრეთში, სადაც დი რესტამ კარიერაში ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აჩვენა.

მოკლედ, პირველივე ეტაპებიდან ცხადი გახდა, რომ ამ პილოტს დიდი მომავალი აქვს. ესპანეთის გრანპრის შემდეგ შოტლანდიელის მენეჯერმა ენტონი ჰემილტონმა განაცხადა, რომ დი რესტას „მერსედესში" ხილვის იმედი აქვს: *„შუმახერს ყველანი დიდ პატივს ვცემთ, რადგან ის ფორმულა 1-ის ისტორიის ნაწილია, მაგრამ, როცა მიხაელი „მერსედესიდან" წავა, ჩვენ მისი ადგილის დასაკავებლად სერიოზულ ბრძოლას ვაპირებთ".*

...

დი რესტა და უფროსი ჰემილტონი

როგორც ჩანს, საბოლოოდ გაირკვა 2012 წელს ოსტინში ამერიკის გრანპრის ჩატარების თარიღი. **ბერნი ექლსტოუნმა** დაადასტურა, რომ აშშ-ის ეტაპი ივნისიდან ნოემბერში გადაიტანეს.

აშშ-ის გრანპრის ბგიან შემოდგომაზე გადატანა ფორმულა 1-ის ხელმძღვანელებს ცხელი ტექსასური ზაფხულით გამოწვეული პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას მისცემს.

მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, კალენდარში ცვლილება რთულ მეტეოროლოგიურ პირობებს არ უკავშირდება. უბრალოდ, ამერიკელები ვერ ასწრებდნენ ივნისისთვის ახალი ავტოდრომის ექსპლუატაციაში ჩაშვებას.

„ჩვენ უკვე გვაქვს კალენდრის პროექტი მომავალი წლისთვის. მასში რამდენიმე ცვლილება შევიტანეთ. მაგალითად, ოსტინის რბოლა ნოემბერში გაიმართება, რადგან ტექსასში ზაფხულში 40-გრადუსიანი სიცხეა. არ გვინდა, რომ დალასის გამოცდილება ისევ განმეორდეს", - განაცხადა ექლსტოუნმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა